CIAN MAGENTA YALLOW BLACK

რეკლამა
„ალიაში“
5 77 444 442

N167/3289/ 4 ნოემბერი 2015 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

„ო, როგორ მოენატრათ ქართველებს ქართული სისხლის დაღვრა“ — ვინ როგორ აფასებს დღის მთავარ მოვლენებს? 4



ღარიბაშვილის სანათესაო კვლავ სკანდალშია: ვინ მიითვისა 3 მილიონამდე თანხა — 4 შვილის დედამ თუ ჯანყარაშვილის მეგობარმა? 12



# თუკი ხელისუფლება ბოროტად იყენებს ძალაუფლებას, აქვს თუ არა ხალხს აჯანყების უფლება!

არჩევნების შემდეგ ბოროტად რომ სარგებლობს ხელისუფლება, მაშინ რა უნდა ქნას ხალხმა, რამდენიმე წელი უნდა ელოდოს, სანამ გადაირჩევენ? რა ბერკეტები არსებობს, რომ ასეთი ხელისუფლება მოიცილონ? 7



ალასანიადან ჯაფარიძესთან აბაშიძე და ცაგარეიშვილი მიდიან? 13



თაკო გაჩეჩილაძე გაქურდეს — „დილას რომ დაგხვდება მანქანის ნაწილი მოპარული, „ედიკას“ დროს როგორც იყო, 20 წლის მერეც იგივე მეორდება. სირცხვილია!“ 13



წინასაარჩევნოდ სააკაშვილი უფრო მეტ სიბინძურეს გამოყრის ივანიშვილზე, თუ ივანიშვილი უფრო მეტ სიბინძურეს გამოყრის სააკაშვილზე, ეს არავინ იცის 2



# ვის მფარველობაში ადანაშაულებენ დეპუტატ ზურაბ ტყემალაძის ვაჟს?

9



ბატონო გოგი, გამოტყდით, თქვენ ისიც ხომ არ იცით, კენედი ვინ მოკლა? 2



„ კაი, რა, სოფ, რა დამონტაჟებული, ღადაობ? ვის არ მოენატრებოდა უფასო ლამაზ-ლამაზი კაბები, კლიპები და ა.შ. ისე, რა ვნებიანი ხმა გქონდა, გოოგ. “ — რას წერენ სოფო ნიჟარაძეზე 8



უკრაინული მედია: რისთვის ჩაიყვანა სააკაშვილმა თბილისში 50 სპეცრაზმელი 3



გია ვოლსკი: „ბრაზაუსკა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო და ლიტვა სამშვიდობოს გაიყვანა. პოლონეთის პრეზიდენტმა კვაშნევსკიმ პოლონეთი ნატოს რიგებში შეიყვანა და ისიც კომუნისტური, მუშათა პარტიის პირველი მდივანი იყო“ 8



„დაუყოვნებლივი აღსრულების შეჩერება ბანკებზე არ ვრცელდება“ 13



ფინეთის ყველა მოქალაქე სახელმწიფოსგან თვეში 800 ევროს მიიღებს 13



„ნიჭიერს“ ბრალს სდებენ — „აი, „რუსთავი 2“ არის მართლა დასახური ტელევიზია. წნევა ამეწია სერიოზულად, საზიზღარ, ამაზრზენ, გულისამრევ ხალხთან ვცხოვრობთ და რატომ: „ნიჭიერში“ გამოვიდა ერთი გოგო, ჟანა წითელაური, ჩემი მეზობელი“ 6



რატომ ეცხადებიან სიზმრებში გარდაცვლილები ცოცხლებს 16



## ნეტა, რომელ სასამართლოს დამოუკიდებლობაზე საუბროს სერგო რატიანი, „ნაცებმა“ ერთ ადგილზე რომ ამოისვეს და მიწაში ჩადეს და „ოცნებამ“ კი მიწა მიაყარა?!



მოსამართლე თამაზ ურთმელიძის გადაწყვეტილებაზე „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით, კომენტარი გააკეთა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა სერგო რატიანმა. მისი შეფასებით, ეს იყო უკანონო და სასამართლო დამოუკიდებლობაზე ზიანის მიმტანი გადაწყვეტილება.

– ურთმელიძემ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა სასამართლო დამოუკიდებლობისა და სიტყვის თავისუფლების იდეას. კარგად გამოჩნდა, რისთვისაც იბრძოდა ხელისუფლება, ბიძინა ივანიშვილი. ეს იყო ავტორიტარული რეჟიმის გადაწყვეტილება, დახურონ „რუსთავი 2“. ჯერჯერობით აღსრულებას ვერ მოახდენენ მყისიერად, – აცხადებს სერგო რატიანი.

მოსამართლე თამაზ ურთმელიძის გადაწყვეტილებით, „რუსთავი 2“-ის 60 პროცენტის მფლობელი ქიბარ ხალვაში გახდა. (primetimenews.ge)

**უფრო რომ დავაზუსტოთ, თამაზ ურთმელიძის გადაწყვეტილება ასეთია:**

**– არ დაკმაყოფილდეს ქიბარ ხალვაშის მოთხოვნა შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ლოგოს ავტორად აღიარების შესახებ.**

**არ დაკმაყოფილდეს ქიბარ ხალვაშის მოთხოვნა გადაცემების: „ბოიარდის“, „უკანასკნელი გმირის“ და „ჯეო-ბარის“ საავტორო უფლებების მფლობელად აღიარების შესახებ;**

**არ დაკმაყოფილდეს მოთხოვნა შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ლოგოს უნებართვოდ გამოყენების შედეგად მიყენებული ზიანის 200 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით დაკისრების შესახებ;**

**არ დაკმაყოფილდეს ქიბარ ხალვაშის მოთხოვნა შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის მიმართ ზიანის 300 000 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ.**

**ბათილად იქნას ცნობილი ქიბარ ხალვაშსა და შპს „საქცემენტს“ შორის 2005 წლის 26 დეკემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც ქიბარ ხალვაშმა შპს „რუსთავი 2“-ს მისი კუთვნილი 60-პროცენტიანი წილიდან 22 პროცენტი გადაუფორმა შპს „საქცემენტს“.**

**ბათილად იქნას ცნობილი ქიბარ ხალვაშსა და შპს „გეოტრანს“ შორის 2006 წლის 17 ნოემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც ქიბარ ხალვაშმა შპს „რუსთავი 2“-ის კაპიტალის 38-პროცენტიანი წილი გადაუფორმა შპს „გეოტრანსს“.**

**მეშვიდე, ბათილად იქნეს ცნობილი შპს „პანორამასა“ და შპს „გეოტრანსს“ შორის 2006 წლის 17 ნოემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც განხორციელდა შპს „რუსთავი 2“-ის 40-პროცენტიანი წილის გადაფორმება შპს „გეოტრანსზე“.**

**გაუქმდეს, შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის პარტნიორების ლევან ყარამანიშვილის 22-პროცენტიანი, გიორგი ყარამანიშვილის 18-პროცენტიანი, შპს „ტელეკომპანია საქართველოს“ 51-პროცენტიანი და ნინო ნიჟარაძის 9-პროცენტიანი წილების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის 60-პროცენტიანი წილის მესაკუთრედ ცნობილ იქნას ქიბარ ხალვაში და 40-პროცენტიანი წილის მესაკუთრედ ცნობილ იქნას შპს „პანორამა“.**

## აი, ამ „ენის გასატეხს“ თავად როგორ წაიკითხავდი, გივიიიი?



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გივი თარგამაძე პრემიერის გამოსვლას სოციალურ ქსელში გამოეხმაურა. დეპუტატის თქმით, ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერის რანგშიც იმ ენაზე ამეტყველდა, როგორც ადრე გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებში:

– ვაიშვილოჰაკიმი გამოქინძქონდარკამაცერეცოებულა და ფარულ ჩანაწერებში რომ საუბრობდა, იმ ენაზე ამეტყველებულა პრემიერ-მინისტრის დარგში. შვილო, მთავარია, დაივიწყე, რომ პოლიტიკური ნიახური ხარ და 2016-ში მეორედ მოხვალ მთავრობაში. „ქართულმა ოცნებამ“ თავი ვერ შეიკავა და ოფიციალურ ვებგვერდზე სახალვაშე გადაწყვეტილება იზეიმა. მერე წაშალა, მაგრამ ფბ ოხერია, კვალი დარჩა. თოფაძე კიდევ გასცდა 75-წლიან ზღვარს და აღმოთქვა, ერთი კვირის წინ ვიცოდით, რა გადაწყვეტილება იქნებოდაო. სრულიად ქოცქიბარებმა სევდანარევი სიხარულით იზეიმეს ცოცხალ-მკვდარი ურთმელიძის დედისმგმობელი, მკვდრადშობილი გადაწყვეტილება. დღის ბოლოს კი მთელ ამ კამპანიას ელის მათთვის აუტანელი „არჩევანი“ გაბუნიასთან ერთად და ყოველდღიურად ეთერში დარჩენილი რ2-ს გადაცემები. მოდუნდით და მიიღეთ სიამოვნება... – წერს გივი თარგამაძე „ფეისბუკზე“. (ნიუპოსტი)

**აუხ, ეს როგორ მწარედ მოხვედრია ღარიბაშვილის ქინძი... უფრო სწორად, ღარიბაშვილის მიერ ნათქვამი, რომ ქინძებზე სერიოზულ კომენტარს არ გააკეთებდა. სრულიად „ნაციონალობა“ გამწარდებოდა ღარიბაშვილის სიტყვებზე და ალბათ, პრემიერს ისეთ გინებებს შეუთვლიდნენ, მტრისას.**

**ჰო, ნუ, „იშპილკავეთ“ ასე, ლანძღეთ ერთმანეთი ხან ენამოსწრებულად, ხან უცენზუროდ, მეტი მაინც არაფერი შეგიძლიათ არც ერთს და...**



## ბატონო გოგი, გამოტყდით, თქვენ ისიც ხომ არ იცით, კენედი ვინ მოკლა?



უმრავლესობის წევრი, „მრეწველთა“ ლიდერი გოგი თოფაძე „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით სასამართლო გადაწყვეტილებას აფასებს. მისი თქმით, მან დაახლოებით ერთი კვირის წინ იცოდა, რომ ხალვაშის სასარგებლოდ მიდის სასამართლო. ამის შესახებ თოფაძემ მოსამართლე თამაზ ურთმელიძის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კომენტირებისას განაცხადა, რომლის თანახმად, საკუთრების აღდგენის საკითხი ქიბარ ხალვაშის სასარგებლოდ გადაწყდა.

– ნამდვილად არ ვარ იურისტი, მაგრამ მე ერთი კვირის წინ ვიცოდი დაახლოებით, რომ ხალვაშის სასარგებლოდ მიდის სასამართლო. არ ვიყავი თბილისში და მაინცდამაინც დაინტერესება არ მქონდა, მაგრამ მე ისიც ვიცოდი, რომ ქიბარ ხალვაში ძალიან ნიჭიერი ბიზნესმენია და რადგან შეიტანა სარჩელი, ალბათ, იურისტებთანაც გაიარა კონსულტაცია, – განაცხადა თოფაძემ. (primetimenews.ge)

**საიდან იცოდა და დასკვნები გააკეთა, კაცო! აბა, თქვენ რა იფიქრეთ, ხელისუფლების დაკვეთას ასრულებს მოსამართლე თამაზ ურთმელიძე და გოგი თოფაძეც საქმის კურსში აქედან იყო? არ გრცხვენიათ, მის უბიწო სახელს ასეთ შეურაცხყოფას რომ აყენებთ? როდის იყო, რომ ურთმელიძე ვინმეს დაკვეთას ასრულებდა, გადაგვრევთ თქვენი მიკერძოებულობით, რა!..**

## გაგვაგებინეთ, ბოლოს და ბოლოს, უხერხებთ ლარს რამეს თუ ვერა?!



ეროვნულმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა, რომლის მიხედვითაც, ეროვნული ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში მცირედით გაუფასურდა.

კერძოდ, 4 ნოემბერს 1 აშშ დოლარის ოფიციალური ფასი 2,3993 ლარი იქნება. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსი, რომელიც 3 ნოემბრისთვის მოქმედებდა, 2,3987 ლარს შეადგენდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის თანახმად, ეროვნული ვალუტა ევროსთან მიმართებაში მცირედით გამყარდა. კერძოდ, დღეს 1 ევროს შეძენა 2,6335 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2,6441 ლარს შეადგენდა. (პირველი რადიო)

## რა კარგია ცხოვრება, ამის დედა ვატირე... ოღონდ სხვის ხარჯზე ცხოვრება!



„მედიატორის“ ინფორმაციით, 2015 წლის იანვარ-სექტემბერში კახი კალაძის სამინისტრომ 39 ტონაზე მეტი საწვავი მოიხმარა.

ენერგეტიკის სამინისტროში 9 თანამდებობის პირმა, ჯამში, 39 650 ლიტრი საწვავი მოიხმარა 3 კვარტალში.

ამ ციფრებით დასტურდება, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე თანამდებობის პირები, რომელთა შემოსავალი საკმაოდ მაღალია, დამატებით ბიუჯეტიდან ასიათასობით ლარის საწვავს მოიხმარენ.

კვლევამ აჩვენა, რომ სამუშაო დღეებში მინისტრი და მისი მოადგილეები, საშუალოდ, 60-დან 70 ლიტრამდე საწვავს მოიხმარენ, – აცხადებს ლევან ხაზეიშვილი. (პირველი რადიო)



## ისე, „რუსთავი 2“-ის თემა რომ არა, რა ეშველებოდა ქვეყანას, რაზე ვილაპარაკებდით, ააა?



უმრავლესობის დეპუტატი თამაზ მეჭიაური „რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას ეხმაურება.

როგორც დეპუტატმა „ნიუპოსტთან“ საუბრისას განაცხადა, ეს არის მეწილეებს შორის დავა და ამაში მთავრობის ჩარევა გამორიცხულია.

„მე ჩემს აზრზე ვრჩები და ვაცხადებ, რომ ეს მეწილეებს შორის დავაა. ეტყობა, მოსამართლემ მიიღო ერთ-ერთი მხარის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება. არ გამოვრიცხავ, რომ ტელეკომპანია იმდენჯერ გასხვისდა, კიდევ გამოჩდნენ სხვა ადამიანები, ვისაც „რუსთავი 2“-ზე პრეტენზია აქვთ. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, სანამ პაპუაშვილი სააკაშვილის პირადი მოსამართლე იქნება, მე მის გადაწყვეტილებებს არ ვენდობი, – განაცხადა მეჭიაურმა. (ნიუპოსტი)

**გადადიოდა ხელიდან ხელში... და მოდიოდა და მოდიოდა ულევი გესლი — ხან „ნაცებისგან“, ხან „ქოცებისგან“ და იყო კიდეც კრება მხიარული — სანახობას ნამდვილად არ აკლებთ ხალხს, ბატონებო, და პური გვაქვს თუ არა, ფეხებზე არ გკიდიათ? თავად კი ხართ გადასარევად და!..**

## წინასაარჩევნოდ სააკაშვილი უფრო მეტ სიბინძურეს გამოყრის ივანიშვილზე, თუ ივანიშვილი უფრო მეტ სიბინძურეს გამოყრის სააკაშვილზე, ეს არავინ იცის



– ხელისუფლება ჩანაწერების გავრცელებით, საზოგადოებაში ისტერიკის შემოტანას ცდილობს, – ამის შესახებ განცხადება, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა კახა კუკავამ გააკეთა. კუკავა უკრაინულ საიტზე ფარული ჩანაწერების გამოქვეყნების ფაქტს ეხმაურება და აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლება მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მისივე მეთოდებით მოქმედებს. კუკავა ამბობს, რომ ეს არის ბინძური მეთოდი ოპონენტთან საბრძოლველად, რომელიც, მისი განცხადებით, ბუმერანგის პრინციპით მუშაობს.

– ამ ჩანაწერების გავრცელების მიზანი იგივეა, რაც სააკაშვილის დროს იყო, ანუ ისტერიკის შემოტანა საზოგადოებაში. ამას აგრძელებს ივანიშვილი, სააკაშვილს კი ახლა ნამდვილად არ ამოელება ხმა იმიტომ, რომ თავად ამ მეთოდებს იყენებდა ჩვენს წინააღმდეგ, როდესაც ოპოზიციაში ვიყავით და ნამდვილად სამართლიანია, მაგრამ ერთ რაღაცას ვიტყვი – ღარიბაშვილმა მარტვილში ყოფნისას გამოაცხადა, რომ ვინც მახვილს აღმართავს, მახვილითვე განიგმირებაო. მე არ ვიცი, ბიბლიის ტექსტებში ღარიბაშვილი როგორ ერკვევა და წინადადების არსი რამდენად ესმის, მაგრამ მაგ წინადადების არსი ის არის, რომ ყველა ადამიანს მოუბრუნდება ბუმერანგივით, როგორც ექცევა სხვებს. ამიტომაც ეს ნათქვამი ქართულ რეალობაში ასე იქნება – ვინც გამოიყენებს ჩანაწერს, ჩანაწერითვე განიგმირება.

დღევანდელ ხელისუფლებას მინდა ვუთხრა, რომ მასაც მოუბრუნდება ეს. თანამედროვე ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა, რომ ყველაფერს მოუსმინო ყოველთვის და წინასაარჩევნოდ სააკაშვილი უფრო მეტ სიბინძურეს გამოყრის ივანიშვილზე, თუ ივანიშვილი უფრო მეტ სიბინძურეს გამოყრის სააკაშვილზე, ეს არავინ იცის. ჩემთვის, როგორც პოლიტიკური პარტიის ლიდერისთვის, მიუღებელია ერთი მხრიდანაც და მეორე მხრიდანაც ფარული კომპრომატების გამოქვეყნება და მე ვპირდები მათ, რომ, როდესაც ხელისუფლებაში მოვალ, ყველა ის ადამიანი, რომელმაც ჩაიწერა, რომელმაც შეინახა და გამოაქვეყნა ეს ჩანაწერები, ყველა ეს ადამიანი ძალიან გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთით გაემგზავრება საპატიმრო დაწესებულებებში. ეს არის წარმოუდგენელი სიბინძურე, ესე იგი ცოლი ქმარს რას უშვება ღამით, ესეც ტელევიზორში უნდა გახდეს განხილვის თემა. მე თუ მკითხავთ ამას სჯობს, შევარდნაძის დროს რომ კაცს იარაღისა და ნარკოტიკების ჩადებით აფუჭებდნენ. პოლიტიკური ოპონენტების გაფუჭებისთვის ისევ ნარკოტიკების ჩადება გამოიყენონ, ვიდრე მათ სექსუალურ სცენებს ვუყურებდეთ ყოველდღიურად. სააკაშვილი და ივანიშვილი რა ბინძურებიც არიან შინაგანად, ის სიბინძურე მოედინება მათგან ყოველდღიურად, – განაცხადა კახა კუკავამ. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

# უკრაინული მედია: რისთვის ჩაიყვანა სააკაშვილმა თბილისში 50 სპეცრაზმელი

უკრაინული ვებგვერდი uarevo.in.ua სატელეფონო საუბრების მორიგ ჩანაწერებს აქვეყნებს, რომლებშიც, ექსპრეზიდენტის გარდა, „ნაციონალური მოძრაობის" წევრები ნუგზარ წიკლაური და გივი თარგამაძე ფიგურირებენ.

ვებგვერდის ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ სამეგრელოდან თბილისში 50 ყოფილი სპეცრაზმელი გადაისროლეს, ოპერაცია კი მიხეილ სააკაშვილის მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობდა.

– ოპერაციის წარმატებაზე გივი თარგამაძე იყო პასუხისმგებელი, რომელიც საერთაშორისო ძებნაში იმყოფება. მან წარმატებით ჩამოიყვანა სააკაშვილის რეჟიმის საუკეთესო მებრძოლები თბილისში, რის შემდეგაც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე „ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტების მობილიზება და მათში ბოევიკების შერევა წარმატებით მოხდა, – წერს უარევო.ინ.უა. (timer.ge)

„ალია" ჩანაწერის ტექსტურ ვერსიას გთავაზობთ (სტილი დაცულია):

**ჩანაწერი №1**

მიხეილ სააკაშვილი: როგორი განწყობაა?

ნუგზარ წიკლაური: კაი განწყობა არი იქაც. ეხლა ესენი გამოდიან, რა ქვია, არასამთავრობოები, ისინი, მთელი ისა, 6 საათზე ხო იყვნენ, ეხლაც ეთერში არიან ყველანი. ხვალ ვიღაც იმეებს მოიყვანენ, ცნობად სახეებს და ისევ მთელი დღე ეთერში იქნებიან. ესე იგი, 10 საათზე მიდიან იქა, რა ქვია, სასამართლოსთან ნაწილი ხალხის და ჩვენი 3 ათასი კაცი, 2500 კაცი, ჩვენი, პლუს კობა და ისა, რა ქვია, კიდე ვიღაცეები. 3 ათას კაცამდე მოვა „რუსთავი 2"-თან. კარვები და რაღაცეები გვაქ, ყველაფერი გვაქ და ნუ, დაიწყებენ, ხვალ უკვე დამონტაჟებას და ყველაფერს, რა. ეხლა მე რასაც მეუბნებიან, აქვთ მაგათ ეგეთი სცენარი, რო ჩვენი ხალხი რო იქნება იქ, თვითონაც მობილიზაცია გაუკეთონ ერთი 600 კაცს, რა, ჰოდა, იქ მოხდეს „ქლეში", რაღაცა...

მიხეილ სააკაშვილი: ვიცი, პოლიცია მოვიდეს და იმასა ქნას...

ნუგზარ წიკლაური: პოლიცია და მერე იქა, ჰო... აი ესეთი ის არი, რა ქვია... ჩვენც ჩამოგვყავს ეხლა ვიღაც-ვიღაცები, ჩამოგვყავს ცოტა ისეთი ხალხი, რა 50 ადრე სპეცრაზმელი და რაღაც ეგეთი ხალხი სამეგრელოდან ჩამოგვყავს, აქ იქნებიან ჩვენთან... რა ვი, მე მგონია, რო ის არი, რა, მე მგონია, რო რაღაც ამყრალდა, რა... ხვალ გამოჩნდება კიდე იქ რა იქნება...

**ჩანაწერი №2**

მიხეილ სააკაშვილი: თუ არ გამოიყენეს, ეგ ნიშნავს, რო დღეს შეეშინდათ...

ნუგზარ წიკლაური: ჰო, არა, რამდენიმე დღეშიო, ალბათო, იმას ვიზამ, მივიღებო გადაწყვეტილებასო.

მიხეილ სააკაშვილი: ჰოდა, ამიტომ




არის საჭირო მობილიზაცია ეხლა, მაქსიმალური მობილიზაცია ქვეყნის მასშტაბით. უნდა რამოდენიმე დღეში, ყოველდღე კი არ უნდა იყოს, მერე სამ-ოთხ უნდა დავიწყოთ კიდე უფრო დიდი მიტინგი, კონცერტი უნდა...

ნუგზარ წიკლაური: ჰო, ესე იგი ჩვენ ესე ვფიქრობთ ეხლა რო თუ ეგრე თქვა ამან, რო მერე როდესღაც გამოვაცხადებო, აქ დავტოვებთ, ალბათ, ერთი რა ვიცი, 70-დან 100 კაცამდე, თუ ეგეც აუცილებლობა არის, რო კარვებში ვიღაცეები იყვნენ და მერე დავიწყებთ რაიონებში იმას და გამოცხადების წინა დღეს რო გაგვაგებინებენ, საჯარო გამოცხადება არის ეგა, ჩუმად ვერ გამოაცხადებს და მაგ დროისთვის უკვე...

მიხეილ სააკაშვილი: მთავარია, ხვალ დიდი კონცერტი გამართოს რუსთავმა...

ნუგზარ წიკლაური: ჰო... იმ დღიდან, როცა ეს განაჩენს იტყვის, რო უნდა გამოვაცხადოვო, აი, იმის მეორე დღიდან, როდესაც დაასახელებს, იქიდან იწყება რეალურად ეს პერმანენტული აქციები იმიტო, რო იმის მერე უკვე ვეღარ ვსაზღვრავთ ჩვენ, აღსრულებას როდის იწყებს. შეიძლება აღსრულება არ თქვას და ჩუმად გადასცეს აღსრულებას. ესე იგი ეგ სადღაც, სავარაუდოდ, ალბათ, მოხდება ერთი კვირის განმავლობაში, რა... ჰოდა, ნუ მაგ დროისთვის გვჭირდება ეს დიდი მობილიზაცია.

მიხეილ სააკაშვილი: კონცერტი იქნება, კონცერტია მნიშვნელოვანი. ჰოდა, განწყობა როგორი იყო ამ ხალხის?

ნუგზარ წიკლაური: არა, კაი განწყ-




ობაა. „რუსთავი 2"-ის ეზოში შემოვუშვით ხალხი და ეზოშია...

მიხეილ სააკაშვილი: რამდენია მანდ ხალხი?

ნუგზარ წიკლაური: არი აქ ხალხი. ეხლა გორიდან ერთი ყველაზე ცოტა 200 კაცი მაინც არი. ის 50 კაცი ჩამოგვივიდა ჩვენ, გუშინ რო გეუბნებოდი, სამეგრელოდან. იქიდან შეილება კიდე ჩამოყვანა ხალხის, მარა ეხლა მერე ცოტა ინფრასტრუქტურაც უკვე სხვანაირად უნდა მოეწყოს, რა. ჯერ არა გვაქ ისინი, რა ქვია, თორე შეიკვრება მანდ, 500 კაცამდე, საბოლოო ჯამში, აი, ეგეთ ორგანიზებულ ხალხს იმას ვიზამთ. გივი კიდე ვიღაცეებს ხვდება. ისა, რა ქვია. ერთი წამით, აგერ ვკითხავ ამას.



მიხეილ სააკაშვილი: დაუძახე აბა გივის.

ნუგზარ წიკლაური: მოდი, მაშინ დაელაპარაკე.

მიხეილ სააკაშვილი: აბა, ვინ დაამობოლიზირე, მითხარი.

გივი თარგამაძე: ნუ, მოკლედ არი, რა. საკმარისი რაოდენობით მომყავს, რა. ზოგი ისეთია – გაგდებულები, ზოგი ჩვენია, ზოგი ის არი, მარა ნუ, ჩვენ მთავარია, პირველ ნაწილს გავუძლოთ. პირველსაც გავუძლებთ, მეორესაც და მე მგონი, მესამესაც დაჟე, რა.

ჩანაწერის გავრცელებას ნუგზარ წიკლაური სოციალურ ქსელში შემდეგი კომენტარით გამოეხმაურა:

– ახლა მოვისმინე „ფსბ"-ივანიშვილის ახალი ჩანაწერები. ვაი, ვაი, ეს უტვინო და უთავმოყვარეო მავნებლები.

ერთადერთი დასკვნა მაქვს: სწრაფად გავყაროთ ქართული პოლიტიკიდან.

ჩანაწერებს გამოეხმაურა კობა ხაბაზიც:

– საქართველოს სახელოვანმა სუს-მა და კრემლმა აღარ დამიტოვა არჩევანი და უნდა ვაღიარო, რომ ჩემზეა საუბარი, რადგან კობა დავითაშვილზე ცოტა გამიჭირდება ამის დაბრალება. ნამდვილად, ალბათ, ჩემზეა საუბარი. ნამდვილად ვიყავით და ვიქნებით ტელეკომპანიასთან და ყველგან, სადაც ამ ხელისუფლების საწინააღმდეგო აქცია ჩატარდება. ეს არის დანაშაულებრივი ხელისუფლება. ისინი არიან პუტინისა და კრემლის მონები, რომლებიც ზღუდავენ თავისუფალ სიტყვას და რომლებმაც შესაძლოა, ჩვენი ქვეყანა კატასტროფის წინაშე დააყენონ. მსურს, რომ აქვე ვარ, ნუღარ მაწვალებენ და ბარემ შემიყვანონ, – განაცხადა ე.წ. მოდულის შენობასთან მყოფმა ხაბაზმა. (ნიუპოსტი)

**ამ ეტაპზე პატიმრობა თქვენთვის ბაირამობა იქნება — ჯერ გაუთავებელ, ბევრსაათიან დაკითხვებზე უნდა იაროთ, ყოველდღე აყუდებულები უნდა იყოთ გამომძიებლების კართან, აი, მხოლოდ ამის მერე, კი თუ შნო ექნათ გამომძიებლებსაც და ხელისუფლებაც კვლავ არ დაფრთხა, ამის მერე უნდა მიგაბრძანონ იქ, სადაც დიდი ხნის წინ უნდა მოხვედრილიყავით!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## 2016 წლიდან 20, 50 და 100 ლარის ნომინალის განახლებული ბანკნოტები გამოვა



2016 წლიდან საქართველოს ეროვნული ბანკი მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის – ლარის განახლებულ ბანკნოტებს გამოუშვებს.

განახლებული 20, 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები ეტაპობრივად გამოვა და მიმოქცევაში იქნება წინა ემისიების ბანკნოტებთან ერთად.

– ეს არის ლარის 20-წლიანი ისტორიის მანძილზე, ბანკნოტების დიზაინის პირველი მნიშვნელოვანი განახლება, ეს პროექტი აერთიანებს ფულის ნიშნების წარმოებასთან დაკავშირებულ რამდენიმე მნიშვნელოვან თარიღს, მოვლენასა და ფაქტორს: პირველი, როგორც მოგეხსენებათ, 2015 წელი ეროვნული ვალუტის საიუბილეო თარიღია, ეს იყო ახალი ეპოქა ფულის ისტორიაში, შესაბამისად, სიმბოლურად, დიზაინის მნიშვნელოვანი განახლებაც ამ თარიღს დავამთხვიეთ;

მეორე, მოგეხსენებათ, ეროვნული ბანკი, პერიოდულად ავსებს ფულის ნიშნის მარაგებს, რითაც ანაცვლებს მიმოქცევაში არსებულ უკვე გაცვეთილ და დაზიანებულ ფულის ნიშნებს ახალი ბანკნოტებით. მოცემული პერიოდისთვის ეროვნულ ბანკს მარაგების შევსება უწევდა, შესაბამისად, ეს იყო საუკეთესო დრო, ვინაიდან პროცესი არ მოითხოვდა დამატებით ფინანსურ რესურსს;

მესამე, ეს არის საერთაშორისო პრაქტიკა და ტექნოლოგიური პროგრესი – თავის დროზე ლარის ბანკნოტები საკმაოდ მაღალი სტანდარტის შესაბამისი იყო და პასუხობდა საერთაშორისო მოთხოვნებს, წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად დაიხვეწა ბეჭდვის პროცესი, შეიქმნა უფრო ძლიერი დამცავი ნიშნები, ახალი ტენდენციებია დიზაინის კუთხითაც – სწორედ ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, გვქონოდა განახლებული დიზაინის ფულის ნიშანი, რომელიც თავის ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს მსოფლიო ვალუტებს შორის, – განაცხადა პრეზენტაციაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ.

განახლდა ლარის ბანკნოტის ზომებიც. გამოყენებულია ნომინალების მიხედვით ბანკნოტების ზომების დიაგონალური, სიმეტრიული ზრდის პრინციპი. ლარის განახლებული ბანკნოტები დაცულია მომხმარებლისთვის მარტივად აღქმადი და ამავე დროს, თანამედროვე და მაღალტექნოლოგიური პროცესის შედეგად მიღებული დამცავი ნიშნებით. მათ შორის დატანილია ნომინალის ამომცნობი ნიშანი სუსტი მხედველობის მქონე პირთათვის.

განახლებული 20, 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტების დიზაინის ავტორი ბაჩა მალაზონიაა. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 5 და 10 ლარის ნომინალის ბანკნოტები მოგვიანებით განახლდება. (ipress.ge)

**მგონი, ვიზუალურად საკმაოდ მომხიბვლელია ახალი ბანკნოტები, ცუდად არ უმუშავიათ დიზაინის შეცვლაზე, მაგრამ კურსს რომ ვერაფერს უხერხებენ და ყოველდღე უფასურდება ეროვნული ვალუტა, 2016 წლამდე მიატანს კი ეს ცვლილება? საკითხავი აი, ეს არის!..**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნაცმოძრაობა" ლამის მეეზოვეებს აბრალებდა ჯაშუშობას და არტისტი დაკითხონ, დაიქცა ქვეყანა?!



– არტისტის დაბარება ე.წ. გადატრიალების საქმეზე მთელ ამ გამოძიებას კომიკურს ხდის, – განაცხადა სოფო ნიჟარაძის ადვოკატმა ბექა ბასილაიამ მომღერლის დაკითხვაზე დაბარებასთან დაკავშირებით.

– არტისტის დაბარება ე.წ. სახელმწიფო გადატრიალების საქმეზე, მთელ ამ გამოძიებას კომიკურს ხდის, მით უმეტეს, ფაბრიცირებული და ფალსიფიცირებული მასალების საფუძვლებზე. რა უნდა განვაცხადოთ ამაზე სერიოზულად, ერთადერთი მიზანი ამ დაბარებას აქვს, კონკრეტული პირების პირად ცხოვრებაში ჩარევა და დისკრედიტაცია, – განაცხადა ადვოკატმა ბექა ბასილაიამ. (sazogadoeba.ge)

**აი, გულის ამრევია, როცა „ნაცმოძრაობას" აქვს პრეტენზია სხვის პირად ცხოვრებაში ჩარევაზე, თუმცა გამოგიტყდებით და რა შუაშია სოფო ნიჟარაძის დაკითხვაზე დაბარება და პირად ცხოვრებაში ჩარევა, ეს ვერაფრით დავაკავშირეთ.**

## კანონზე მაღლა, ვერც ქინძი და ვერც სხვა მოქალაქე ვერ დადგება — პრემიერი სააკაშვილზე



ბოლო დღეებში გავრცელებულ ჩანაწერებს პრემიერი ეხმაურება და ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილის განცხადებებზე სერიოზული კომენტარის გაკეთება უჭირს.

– გავრცელდა აუდიოჩანაწერები ყოფილი პრეზიდენტის, ოდესის გუბერნატორის, რომელიც საკუთარ თავს ქინძს ეძახის. ეს სასაცილოა. ჩვენ ქინძის განცხადებაზე სერიოზულ კომენტარს ვერ გავაკეთებთ, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ დღეს სახელმწიფო იმაზე ძლიერია, ვიდრე სამი წლის წინათ. დღეს დემოკრატიული სახელმწიფო ვართ, სადაც კანონის უზენაესობა იქნება ყოველთვის დაცული. არც ერთი მოქალაქე არ იქნება კანონზე მაღლა, ვეც ქინძი და ვერც სხვა მოქალაქე, – ამბობს ღარიბაშვილი. (ნიუპოსტი)

**რაც გინდათ, ის თქვით, ბატონო პრემიერო, მაგრამ რასაც ვუყურებთ, სააკაშვილი სწორედ კანონზე მაღლა დგას. ყოველ შემთხვევაში, დასავლელი მფარველების წყალობით, მას პასუხი ვერაფერზე აგებინეთ და მხოლოდ გონებამახვილური კომენტარებით ფონს ვერ გახვალთ, შანსი არ არის!..**

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# „ო, როგორ მოენატრათ ქართველებს ქართული სისხლის დაღვრა“ — ვინ როგორ აფასებს დღის მთავარ მოვლენებს?

საკმაოდ ხმაურიანი გამოდგა 3 ნოემბერი – პროცესები ძირითადად „რუსთავი 2“-ის გარშემო ვითარდებოდა. ჯერ იყო და გადაცემა „ნიჭიერში“ ჟანა წითელაურის გამოსვლა სკანდალური გამოდგა და ბევრმა მისდამი ჟიურისა და აუდიტორიის დამოკიდებულება არაეთიკურად მიიჩნია, მერე კიდევ ერთი აუდიოჩანაწერი გამოქვეყნდა უკრაინულ საიტზე, რომელშიც მიხეილ სააკაშვილი ამჯერად ნუგზარ წიკლაურთან და გივი თარგამაძესთან ერთად განიხილავს „რევოლუციურ“ გეგმებს.

დღის მთავარი ამბების საჯარო სივრცეში გავრცელებულ შეფასებებს სწორედ ამ საკითხიდან ვიწყებთ:

„რუსთავი 2“-ის საქმის ვერდიქტი

**ქიბარ ხალვაში, ბიზნესმენი:**

– დღეს მოხდა ის, რისიც 10 წელია მჯერა და რისთვისაც ბრძოლა 10 წელია, არ შემიწყვეტია. დღეს სასამართლოში დამარცხდა მიშა სააკაშვილი, რომელიც უკვე აღარ არის ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის პატრონი.

ნიკა გვარამია, „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი:

– ფაქტობრივი მტკიცებულება გვაქვს იმის, რომ სასამართლო სისტემა საქართველოში დასრულებულია, სამართლიანი მართლმსაჯულება სასამართლოში ერთი ზონდერმოსამართლის ხელით დასრულდა და „რუსთავი 2“ დატოვებულ იქნა სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციის გარეშე.

**არჩილ გამზარდია, ექსპერტი:**

– ნიკა გვარამიამ ხელისუფლებას მოღალატეები უწოდა და გამოიწვია – ეგ არაფერი; კოლეგა მედიასაშუალებებს ხელისუფლებისგან დაქირავებულები, მართულები და მექრთამეები ეძახა და გამოიწვია – ეგ არაფერი; საკუთარ მაყურებელს კრიტიკის გამო, სულ ბრბო ეძახა და გამოიწვია – ესეც არაფერი;

ზედმეტად დემოკრატიული ქვეყანა და ტოლერანტი ხალხი ვართ, თორემ კი ვიცი, ასეთ დროს სხვაგან რას უზამდნენ მსგავსებს;

**სერგი კაპანაძე, საგარეო საქმეთა მინისტრის ექსმოადგილე:**

– „რუსთავი 2“ „წაართვა“ ხელისუფლებამ დღევანდელ მფლობელს და „გადასცა“ ხალვაშს. რა მოხდება აწი?

– „რუსთავი 2“ გაასაჩივრებს ამ განაჩენს და თუ არ იქნა პოლიტიკური ჩარევა, აუცილებლად მოიგებს.

– არხის პოპულარობა ისევ გაიზრდება. არხი, სავარაუდოდ, უფრო კრიტიკული გახდება. სამართლიანადაც!

– „რუსთავი 2“-ის საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც, იმედია, მალე დაკომპლექტდება, ასევე აქტიური ინსტრუმენტი გახდება ჟურნალისტებისა და მედიის უფლებების დასაცავად.

– ხელისუფლების რეიტინგზე ეს გადაწყვეტილება არ იმოქმედებს პოზიტიურად. ამაში დარწმუნებული ვარ.



– არჩევნების წინ „რუსთავი 2“-ის დახურვა/გადაცემა იქნება კატასტროფული ჩვენი ქვეყნის იმიჯისთვის. ამიტომ, გაზაფხულზე და ზაფხულზე ამაზე ფიქრი და ამის გაკეთება, იქნება სერიოზული ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯი.

– მანამდე კი, თითქმის სასიკვდილო დარტყმა მივაყენეთ ქვეყნის დემოკრატიულობის იმიჯს. თანაც გასაოცარ მეოთხე წელს, ყველა რომ უნდა გაოცებულიყო ჩვენი წარმატებებით.

– ის ხალხი, ვინც „რუსთავი 2“-ის დაცვას აპირებს უკანონობისგან, არსად წავსულვართ. ისევ აქ ვართ, და თუ საჭირო იქნება, ისევ მივალთ „რუსთავი 2“-თან, ან სასამართლოსთან ამ უფლების გამოსაყენებლად...

ისევ სკანდალური ჩანაწერები

**ირაკლი ღარიბაშვილი, პრემიერ-მინისტრი:**

– ჩვენ მოვისმინეთ კომენტარები იმასთან დაკავშირებით, რომ გავრცელდა ჩანაწერები ყოფილი პრეზიდენტის, ამჟამად ოდესის გუბერნატორის, რომელიც საკუთარ თავს ქინძს ეძახის. ჩვენთვის ეს სასაცილოა.

ჩვენ ქინძის განცხადებებზე ვერ გავაკეთებთ სერიოზულ კომენტარს.

**სოფო ნიჟარაძე, მომღერალი:**

– ეს არის აბსოლუტურად კომიკური სიტუაცია, რაშიც მე ვიმყოფები და ეს ემსახურება ჩემს პიროვნულ დისკრედიტაციას. ყველა შეკითხვას გაეცა პასუხი, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მიმაჩნია, რომ გამოქვეყნებული ჩანაწერი სხვადასხვა საუბრების კარგად გაკეთებული მიქსია და კოლაჟი.

**სალომე ზურაბიშვილი, საგარეო საქმეთა ექსმინისტრი:**

– მართლაც კომიკურია და მთელი ამ პროცესის დისკრედიტირებას ემსახურება (ვის სჭირდება სოფიო ნიჟარაძის დისკრედიტაცია???). რას ნიშნავს რომ პროკურატურა ყველაზე ნაკლებად საინტერესო პირს დაკითხვაზე იბარებს გადატრიალების წაქეზების საქმესთან დაკავშირებით? ეს იგივეა, რაც მიშას კოსტიუმებზე გამოდავება... ანუ სერიოზული საქმის გაშარჟება და არასერიოზულად წარმოდგენა... და ეს ვისგან მოდის? და ვის წისქვილზე ასხამს წყალს?

**რობერტ სტურუა, რეჟისორი:**

– რასაც წინასწარ ვგრძნობ!

ო, როგორ მოენატრათ ქართველებს ქართული სისხლის დაღვრა?! ო, მაპატიეთ, ნახევარ ქართველს და ლამაზ ტუტუცს – საყვარელს!

ახლა USA-ს ელჩს მისცემს ბრძანებით მომზადებულ სამკუთხედს და 25, 26 თუ 27-ში დედას უტირებენ მხდალ ქართველებს და მოშლილ საქართველოს.

და ჭადრაკის არჩემპიონი, ბედნიერი, თავის რძალს მოისვამს გვერდით და დაქცეულ საქართველოს ცოცხით მოუვლის.

ო, უბედურო ჩემო სამშობლო, ნაძირალები ვნახე ქორწილში და მივხვდი – დაღუპვა გელის! (kvirispalitra.ge)

## ესე იგი, არჩევნებამდე გაჭიმავს გვარამია პროცესს, მერე „ნაცმოძრაობა“ დაბრუნდება და...



ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ მოსამართლე თამაზ ურთმელიძის მიერ გამოტანილი განაჩენის შემდეგ „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში ჩართვისას კომენტარი გააკეთა. როგორც გვარამიამ აღნიშნა, პროცესებს მინიმუმ არჩევნებამდე გაჭიმავენ:

– ეს „რუსთავი 2“-ის მეომარი კოლექტივისა და ერთადერთი ფუნქციური დემოკრატიული ინსტიტუტის – საკონსტიტუციო სასამართლოს დამსახურებაა და არც ერთ ადამიანს თუ თანამდებობის პირს ამაში არანაირი წვლილი არ მიუძღვის. შეიძლება ვისაუბროთ საქართველოს პრეზიდენტზეც, რომელმაც დააფიქსირა ამასთან დაკავშირებით თავისი პოზიცია, მაგრამ პირდაპირი მოქმედების ძალა, განსხვავებით საკონსტიტუციო სასამართლოსგან, ცხადია, არ ჰქონდა. ეს ის ვითარებაა, როდესაც ყველა დემოკრატიულად განწყობილმა რიგითმა ადამიანმა უნდა მოახდინოს კონსოლიდაცია არა „რუსთავი 2“-ის ირგვლივ, არა სიტყვის თავისუფლების ირგვლივ, არამედ ქვეყანაში დარჩენილი უკანასკნელი შანსის ირგვლივ, რომ გადაარჩინონ დემოკრატია.

ჩვენ არ მივცემთ არავის უფლებას, ფინანსური პრობლემების გამო დავიხრჩოთ და ის შედეგი მივიღოთ, რაც ბიძინა ივანიშვილს უნდოდა.

როგორც მინიმუმ არჩევნებამდე ჩვენ ამ პროცესებს აუცილებლად გავჭიმავთ, – განაცხადა ნიკა გვარამიამ. (რეპორტიორი)

**ანუ ჯოჯოხეთი აღარ იქნება და გვარამია ახლა გაჭიმვას აპირებს — პროცესების გაჭიმვას ვგულისხმობთ და მერე, როცა 2016 წლის არჩევნებში „ნაცმოძრაობა“ გაიმარჯვებს, უი, დედა, აქ ამბავი ატყდება...**

**ვაიიი, მანამდე არ აგიდგეთ გვერდები, სანამ „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში არ დაბრუნდება!!!**



## ქალბატონო იუსტიციის მინისტრო, აგერ, პრეზიდენტი მზადაა, სააკაშვილს მოქალაქეობა შეუწყვიტოს და თქვენ რაღას ელოდებით?!




გიორგი მარგველაშვილი მზად არის, მიხეილ სააკაშვილს მოქალაქეობა შეუწყვიტოს. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ იუსტიციის სამინისტროს ჯერ შესაბამისი დასკვნით მათთვის არ მიუმართავს.

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი, გიორგი კვერენჩხილაძე აცხადებს, რომ, კანონმდებლობით, საქართველოს მოქალაქის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღება მოქალაქეობის შეწყვეტის უპირობო საფუძველია. (რეპორტიორი)

## გადადგეს კი არა, ვინც „თვითმკვლელი ღვთისმშობლის“ ნახატის გამო აღშფოთდა, ილიაუნიმ ქაჯებად და ფანატიკოსებად მონათლა!



– აბსოლუტურად ლოგიკური და სამართლიანია, რომ სასწრაფო წესით გადადგეს ილიას უნივერსიტეტის რექტორი და ყველა ის პირი, რომლებმაც მართლმადიდებელთა შეურაცხმყოფელი ნახატი გამოფინეს უნივერსიტეტის კედლებში, – აღნიშნულ ინიციატივას დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძე ავრცელებს. ამ განცხადებით ბრეგაძე ილიას უნივერსიტეტში გამოფენილ სურათს გამოეხმაურა, რომელზეც ღვთისმშობელი თავს იკლავს.

– „ღვთისმშობელი, რომელიც თავს იკლავს“, გახლავთ მილიონობით მორწმუნის შეურაცხყოფა და მათი რელიგიური გრძნობების დისკრიმინაცია. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ილიას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა (ვინც დაუშვა ეს ვანდალიზმი) გახლავთ წმინდა წყლის ექსტრემისტები, რომელთა ძირითადი მოვალეობაა ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლა. წარმოიდგინეთ, რომელიმე უმცირესობის შეურაცხმყოფელი ნახატი რომ გამოეფინა ვინმეს, რა ამბავი ატყდებოდა? ჯვარს აცვამდნენ და სამარცხვინო ბოძზე გააკრავდნენ. ვფიქრობ, აუცილებელია საზოგადოებრივი პროტესტი მებრძოლი ათეისტებისა და მათი მხარდამჭერი ნეობოლშევიკების მიმართ.

P.S. ვინც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამ სამარცხვინო გამოფენას, გახლავთ გიორგი მაისურაძე, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი. ეს მაისურაძე 90-იანი წლების დასაწყისში მუშაობდა პოლიციისა და „მხედრიონის“ ინფორმატორად, აჭერინებდა და აწამებინებდა ე.წ. ზვიადისტებს და ათასი სისაძაგლის ჩამდენი მანქურთია, – წერს სანდრო ბრეგაძე. (რეპორტიორი)



## რაღაც ძალიან ხშირად აკრიტიკებს ჭიაბერაშვილი ჯანდაცვის სამინისტროს, უწყება კი დუმს — რატომ?!



– საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბიუჯეტს წლის ბოლომდე მინიმუმ 94 მილიონი ლარი უნდა დაემატოს, რომ პროგრამამ დღემდე არსებულ რეჟიმში განაგრძოს ფუნქციონირება, – ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა, ზურაბ ჭიაბერაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, მთავრობამ ჯერჯერობით მხოლოდ 14 მილიონი „იპოვა“ ბიუჯეტის სხვა მუხლებში და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაგეგმილი წლიური ხარჯი 470 მილიონი ლარიდან 484 მილიონ ლარამდე გაზარდა.

ჭიაბერაშვილის განცხადებით, ჯერჯერობით არ ჩანს, საიდან მოიძიებს დავით სერგეენკო კიდევ 80 მილიონ ლარს.

– არადა ჯანდაცვის სამინისტროს დავალიანება საავადმყოფოების მიმართ 150 მილიონ ლარზე მეტია და საგანგებო ზომების მიღების გარეშე, მედპერსონალის მნიშვნელოვან ნაწილს უხელფასოდ მუშაობა ემუქრება 2016 წლის იანვრამდე, ვიდრე ახალი ბიუჯეტი არ ამოქმედდება. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის ბიუჯეტის პროექტში ამ პროგრამაზე 570 მილიონი ლარია გათვალისწინებული, ანუ ზუსტად იმდენით მეტი, რამდენითაც პროგრამის წლევანდელი ბიუჯეტი გაირღვა. როგორც უკვე არაერთხელ ვთქვი, დავით სერგეენკოს რამდენიმე ალტერნატივა აქვს:

1. მთავრობა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე კიდევ ამატებს თანხებს. სერგეენკოსთვის ეს ყველაზე ადვილი გამოსავალია, ღარიბაშვილი-ხადურისთვის – ყველაზე რთული. ეს რომ ადვილად გასაკეთებელი ყოფილიყო, პროგრამას არა 14, არამედ 94 მილიონ ლარს უკვე დაამატებდნენ.

2. ჯანდაცვის მინისტრი საავადმყოფოებში სამედიცინო რეგულირების სააგენტოს „სადამსჯელო რაზმებს“ აგზავნის და საავადმყოფოებისთვის 2013-14-15 წლებში უკვე გადარიცხული თანხების კორექტირებას იწყებს. ეს ნიშნავს, რომ საავადმყოფოებისთვის სამინისტროს მიმდინარე და ნოემბერ-დეკემბრის მომავალი დავალიანება კორექტირებისას „აღმოჩენილ“ ჯარიმებში გაიქვითება.

3. სამინისტრო უთანხმდება სამედიცინო სექტორს, რომ ნოემბერ-დეკემბერში საავადმყოფოებს თანხებს ვეღარ ან მინიმალურად ჩაურიცხავს და, სამაგიეროდ, 2016 წლის იანვარში, როცა ახალი ბიუჯეტი შევა ძალაში, ერთბაშად ჩაურიცხავს 150 მილიონ ლარზე მეტს.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, მე-2 და მე-3 ვარიანტებს დავით სერგეენკო უკვე იყენებს და მის მასშტაბს იმდენად გაზრდის, რამდენად ნაკლებადაც შეუვსებს ხადური დეფიციტურ 94 მილიონ ლარს.

უნდა გვესმოდეს, რომ ეს მდგომარეობა მედპერსონალის ხელფასების გაუცემლობაში, სამედიცინო მომსახურების ხარისხის დაქვეითებასა და პაციენტების მიერ ჯიბიდან გადახდების ზრდაში აისახება.

კიდევ ერთი პრობლემა – სამედიცინო პერსონალმა უხელფასოდ რომ მიატანოს იანვრამდე და ხმა არ ამოიღოს, თუ 2016 წლის დასაწყისში ჯანდაცვის სამინისტრომ ერთბაშად გაისტუმრა წელს დაგროვილი დავალიანება, შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ, ისედაც გაუბედურებულ ლარს რა დღე ელის. ეს კი იმავეს ნიშნავს, რაც ენერგეტიკაში მოხდა: დღეს გვიზოგავენ 1 თეთრს, ხვალ კი სანაცვლოდ ჯიბიდან 3 თეთრს გვაცლიან, – აცხადებს ჭიაბერაშვილი. (ინტერპრესნიუსი)

## დავით ოქიტაშვილი: ამ ჯალათების მმართველობის დროს ვინმეს რომ გაებედა მსგავსი ჩანაწერების გავრცელება, დაწვავდნენ!




საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტი დავით ოქიტაშვილი ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, ნიკა გვარამიასა და სოფო ნიჟარაძეს შორის სატელეფონო საუბრებისჩანაწერს ეხმაურება და აცხადებს, რომ ხელისუფლებამ დროულად უნდა გაატაროს შესაბამისი ზომები სააკაშვილის წინააღმდეგ.

„ადამიანი, რომელმაც საქართველოს მოქალაქეობაზე უარი თქვა, რომელიც თავისი კეთილდღეობისთვის ყველაფეზე მიდის, მოუწოდებს ხალხს სისხლისღვრისკენ და ჟურნალისტებს ასე დასცინის, ამაზე რა კომენტარის გაკეთება შეიძლება?! სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობაზე უარი თქვა საკუთარი სამომავლო გეგმების გამო. როცა ის ამას აკეთებს, როგორ შეუძლია თქვას, რომ უყვარს თავისი ქვეყანა.

მაგ ჯალათების მმართველობის პერიოდში ვინმეს რომ გაებედა, მსგავსი ჩანაწერები გაევრცელებინა, ციხეში კი არ გამოკეტავდნენ, პირდაპირ მოკლავდნენ, ქუჩაში დაწვავდნენ. სასამართლო გადაწყვეტილება წინაა, „რუსთავი 2“-ს არავინ ხურავს, ამ ფონზე იძახის, სისხლი დაღვარეთო. ამ სიტყვების გამო მარტო კი არ უნდა დაიჭირონ, უნდა დაწვან. ამ ადამიანის ხსენებაც აღარ მინდა, ის საქართველოს ოფიციალური მტერია.

ძალიან ბევრი მეგობარი მყავს უკრაინაში, ოდესაში. სააკაშვილი იქ ეზიზღებათ, ვერ იტანენ. ეს ჩანაწერებიც სპეციალურად ვრცელდება, რომ უკრანელმა ხალხმა დაინახოს იმ ადამიანის სახე, რომელიც წარმოჩენილია ვითომ დემოკრატიის შუქურად. ადამიანის სისხლზე ლაპარაკობს: მოკალით ბავშვი, მოკალით ქალი. ეს არის დემოკრატია?

ბოდიში და, ვინ ჩემი ფეხებია სააკაშვილი? ეს არის მკვლელი! ჩვენმა სახელმწიფომ დროულად უნდა მიიღოს ზომები, თორემ ხალხი გააკეთებს; თუ ხელისუფლება ამ უბედურებებს არ აღკვეთს, ამას ხალხი გააკეთებს“, – განაცხადა ოქიტაშვილმა.

ის ჟურნალისტებსაც მიმართავს:

„რუსთავი 2“ მომწონს თუ არ მომწონს, ეს სხვა თემაა, მაგრამ როდესაც მიხეილ სააკაშვილი ჟურნალისტს დასცინის, ეს არის სირცხვილი. ნოდარ მელაძეს ვიცნობ, ის ცუდია თუ კარგი, მომწონს თუ არა, ეს სხვა თემაა. მინდა, მოვუწოდო „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებს, ბევრ რამეზე დაფიქრდნენ, რადგან მათ იყენებენ იარაღად თავიანთი კეთილდღეობისთვის. საკუთარ საქმეს რომ გაინაღდებენ, მერე ყველას ერთად მიაგდებენ“, – დასძინა ოქიტაშვილმა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „მე შევაგინებდი დედას ურთმელიძეს, მაგრამ არ მიუვა, არ ცნობს დედას“



პოლიტიკური მოძრაობა „იმედის“ თავმჯდომარე ირინა სარიშვილი მოსამართლე ურთმელიძის გადაწყვეტილებას ეხმაურება, რომლის მიხედვითაც „რუსთავი 2“-ის 100% წილის მფლობელად ქიბარ ხალვაში გამოცხადდა.

„მე როგორც სტაჟიანი, ასევე უსამართლოდ ბრალდებული სახლემწიფო გადატრიალების მცდელობაში, ნამდვილად ვერ დავიჯერებ იმას, რაზეც ხელისუფლება საუბრობს. ჩვენ ძალიან ლოკალურად განვიხილავთ იმ პრობლემას რასაც ჰქვია, „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ ბრძოლა.

არც ერთი პოლიტიკოსი არ საუბრობს იმ საგარეო ფაქტორებზე, რაც, ჩემი ღრმა რწმენით, გახდა მთავარი მიზეზი ასეთი მარიონეტული ხელისუფლების ამგვარი ქმედებების. „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ შეტევები დაიწყო კარგა ხნის წინ. „გაზპრომის“ შემოყვანის შემდეგ ხელისუფლებამ აშკარად მოუმატა ჩანაწერების რაოდენობას და გავრცელებას. აშკარად გაზარადა მოსახლეობაში დაპირისპირების მუხტი. ამის უკან ერთადერთი რამ შეიძლება იყოს. მე არ მგონია „ნაციონალურ მოძრაობას“ თუ ვინმე სხვას დაუჭერს მხარს, ვინმეს გასარკვევი იყოს. მაგრამ როცა „რუსთავი 2“ რჩება ერთადერთ ტელევიზიად, რომელიც არ არის რუსული, ამ შემთხვევაში მე, როგორც ქართველი და არა რომელიმე პარტიის წევრი, ვალდებული ვარ დავიცვა, ტელევიზიის თავისუფლება და არსებობა“. – განაცხადა სარიშვილმა. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ივანიშვილის დავალებით გაგზავნილი წერილი?



საზოგადოება „ივერიის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, ნიკა რურუა თვლის, რომ უკრაინისგან საქართველოს პრემიერ-მინისტრის წერილს რეაქცია არ მოყვება. როგორც რურუა ამბობს, საქართველოს ხელისუფლებამ სტრატეგიულ პარტნიორთან, უკრაინასთან ურთიერთობა ჯერ კიდევ „მაიდნის" აქციების დროს გაიფუჭა, ხოლო ის ფაქტი, რომ მაღალი თანამდებობის პირები კიევში ვიზიტით არ ჩასულან, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას „აცივებს". რაც შეეხება წერილს, რურუა თვლის, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ის ბიძინა ივანიშვილის დავალებით გაგზავნა:

„ამ წერილის ავტორს ჩემი აზრით დაავალეს ამ წერილის გაგზავნა და ის დაემორჩილა. თავისმა პატრონმა, ივანიშვილმა დაავალა ეს წერილი და გააგზავნინა იმიტომ, რომ რაღაცნაირად რეაგირება მოეხდინათ მათთვის არასასიამოვნო ამბეზე. მაგრამ თავისთავად ფაქტი, რომ არც ერთხელ არ ჩასულა არც ერთი, არც პრემიერი და არც სხვა მაღალი თანამდებობის პირი უკრაინაში, იქ მეორე მაიდნის შემდეგ, დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ. ის, რომ ისინი იანუკოვიჩს უჭერდნენ მხარს და გვახსოვს მინისტრ კალაძის განცხადებები, რომ ყველაფერი ერთ ქუჩას, გრუშევსკის ქუჩას არ ცდება და ეს ყველაფერი, ხალხის პროტესტი იქ იყო დადგმული და არარეალური, ეს ყველაფერი, მიანიშნებს იმაზე, რომ უკრაინასთან ურთიერთობა გააფუჭა ამ მთავრობამ და ვერანაირი წერილების გაგზავნა ამ გაფუჭებულ ურთიერთობას ვერ გამოასწორებს. პირიქით, უფრო გააფუჭებს. ეს არის დემარშის წერილი, ამას დიპლომატიაში ქვია დემარში და ეს კიდევ უფრო გააუცხოვებს ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს – უკრაინის სახელმწიფოს დღევანდელი საქართველოსგან. რაც ბუნებრივია, არის დღევანდელი მთავრობის პასუხისმგებლობა", – განაცხადა ნიკა რურუამ. (პირველი რადიო)

## „თოფაძე აქ მხოლოდ ჭანჭიკია



იურისტი გიორგი მშვენიერაძე საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, თამაზ ურთმელიძის გადაწყვეტილებას ეხმაურება. მშვენიერაძე კომენტარს აკეთებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, გოგი თოფაძის მორიგ ხმაურიან განცხადებაზე, რომ მან ერთი კვირის წინ იცოდა რას გადაწყვეტდა მოსამართლე და ამბობს, რომ თოფაძე ცრუობს და სხვა მაღალი პოლიტიკურუ თანამდებობის პირების განცხადებებსაც იხსენებს:

„მე ვფიქრობ, რომ ბატონი თოფაძე ცრუობს, რომ ერთი კვირის წინ იცოდა. მან ერთი კვირის წინ კი არა გაცილებით ადრე იცოდა, რომ ეს პროცესი, რომელიც მიდიოდა იყო არა მხოლოდ ხალვაშის, არამედ მმართველი პოლიტიკური გუნდის სასარგებლოდ მიმდინარე პროცესი და მე ვფიქრობ, საქართველოში ძალიან იშვიათად თუ იპოვით ადამიანს, არ აქვს მნიშვნელობა მის პოლიტიკურ შეხედულებებს და პოლიტიკურ გემოვნებას, რომელსაც ეჭვი ეპარებოდა იმაში, რომ სარჩელის აღძვრის მომენტიდანვე საქმე მანამდე იყო გადაწყვეტილი, სანამ სარჩელს შეიტანდა ბატონი ხალვაში. ძალიან მცდარია, ჩვენ ამ მომენტში ვიწრო სამართლებრივ ჭრილში რომ დავიწყოთ მსჯელობა გადაწყვეტილების კანონიერებაზე მაშინ, როდესაც ჩვენ მისი დასაბუთებული ვარიანტი არ გვაქვს ნანახი. იმიტომ, რომ სამოტივაციო ნაწილი ჯერჯერობით არ ჩაბარებია მხარეებს.

თუკი განცხადებებზე მიდგება საქმე, ჩვენ გაცილებით უფრო მაღალი და დიდი პოლიტიკური გავლენის მქონე პირები შეგვიძლია გავიხსენოთ. მაგალითად ყოფილი პრემიერ-მინისტრი, რომელიც ჯერ კიდევ პრემიერობის დროს აცხადებდა, რომ კანონიერ მესაკუთრედ მიიჩნევდა ტელეკომპანიის არა დღევანდელ მესაკუთრეს, არამედ სხვა პირებს. მან ახსენა ბატონი ხალვაშის გვარიც და ახსენა ასევე დვალის და აქიმიძის გვარებიც. აქედან გამომდინარე ეს პროცესი და თავად ის ფაქტი, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება თვლიდა, რომ ამ კომპანიის მესაკუთრეები უნდა ყოფილიყვნენ არა დღევანდელი მმართველები ყარამანიშვილები არამედ ის, ვინც ხელისუფლების პირდაპირი ჩარევით მოიგო სასამართლო პროცესი, ყველასთვის ცხადი იყო. ასე, რომ თოფაძე აქ მხოლოდ ჭანჭიკია, უბრალოდ მან გააკეთა ეს განცხადება, თორემ ჩვენ ეს განცხადებები ძალიან ხშირად გვსმენია მანამდეც. ზოგადი შეფასებით, ეს გადაწყვეტილება რაც ვნახეთ, მის მიღებაში ჩართული იყო ხელისუფლების სამივე შტო, ეს იყო ბრძოლა „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ", – განცხადა მშვენიერაძემ. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „გახსოვთ ალბათ, წინა ხელისუფლება მოსახლეობას ანტენებს და „თეფშებს“ უყადაღებდა...“




საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე „ნაციონალური მოძრაობის“ ბრალდებებს, იმის შესახებ, რომ ხელისუფლება მედიაზე ზეწოლას ახორციელებს, პასუხობს:

„ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებს ხელისუფლებისგან არაფერი ემუქრებათ, მთავარია მიხეილ სააკაშვილისგან არ დაგემუქროთ რამე იმიტომ, რომ ისეთ რაღაცებს ვისმენ, ეჭვი მიჩნდება.

გახსოვთ ალბათ წინა ხელისუფლება იქამდეც კი მივიდა, რომ ანტენებს და თეფშებს უყადაღებდა მოსახლეობას. სადღაც სოფელში, გლეხის სახლში მივიდოდნენ და თეფშებს უხსნიდნენ, რომ არ მიეღოთ სიგნალი გარკვეული არხებიდან, მადლობა ღმერთს ეს დრო დასრულდა“. – განაცხადა კობახიძემ. (რეპორტიორი)

## „როგორც ტენდენცია გვიჩვენებს, გამოქვეყნებული ჩანაწერი საბოლოო არ არის“




საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, უკრაინულ ინტერნეტ გვერდზე გამოქვეყნებულ აუდიო ჩანაწერებს გაგრძელება კვლავ ექნება.

„რა სცენარსაც ფარულ ჩანაწერებში ვხედავთ, არის საგანგაშო და შეურაცხმყოფელი. დაველოდები გამოძიებას, თუმცა, როგორც ადამიანს, მოთმინების ფიალა მევსება. არ ვაპირებ საკანონმდებლო ორგანოში პოლიტიკურად გახრწნილი ძალის გვერდით ჯდომას, ამიტომ ჩვენ, ალბათ, პოლიტიკურ პოზიციებზე ჩამოვყალიბდებით. გამოძიებას რაც შეეხება, ვფიქრობ, ჩვენს უსაფრთხოების სამსახურებს აქვთ შესაბამისი ოპერატიული ინფორმაცია. როგორც ტენდენცია გვიჩვენებს, გამოქვეყნებული ფარული ჩანაწერები საბოლოო არ არის“. – აღნიშნა სესიაშვილმა. (რეპორტიორი)

## „ნიჭიერს“ ბრალს სდებენ – „აი, „რუსთავი 2“ არის მართლა დასახური ტელევიზია. წნევა ამეწია სერიოზულად, საზიზღარ, ამაზრზენ, გულისამრევ ხალხთან ვცხოვრობთ და რატომ: „ნიჭიერში“ გამოვიდა ერთი გოგო, ჟანა წითელაური, ჩემი მეზობელი“



„ფეისბუკ“-მომხმარებელი მარიამ შოშიაშვილი სოციალურ ქსელში წერს:

– გ თ ხ ო ვ თ, ყ ვ ე ლ ა მ წ ა ი კ ი თ ხ ო თ!!!!!!!

აი, „რუსთავი 2“ არის მართლა დასახური ტელევიზია. წნევა ამეწია სერიოზულად, საზიზღარ, ამაზრზენ, გულისამრევ ხალხთან ვცხოვრობთ და რატომ: „ნიჭიერში“ გამოვიდა ერთი გოგო, ჟანა წითელაური, ჩემი მეზობელი.

ამ გოგოს ყველაფერი დალაგებული ვერ აქვს. 15 თუ 16 წლის ასაკში დედა მოუკვდა ხელებში და ფსიქოლოგიურად ცოტა ვერ არის (არ ვაყენებ შეურაცხყოფას). საერთოდ არ აპირებდა ეს გოგო „ნიჭიერში“ გასვლას. მგონი, მე ჟანას ერთადერთი მეგობარი ვარ, არავისთან არ აქვს კონტაქტი. ცხოვრობს ბებიასთან ჩემი ფანჯრის პირდაპირ არსებულ სახლში, 75 წლის ბებიასთან ერთად. მშობლები გარდაეცვალა და ბებიასაც და შვილიშვილსაც ინახავს ბიძა, რომელიც ცხოვრობს და მუშაობს კიშინიოვში. ამ ბიძასაც ჰყავს ცოლი და შვილები....

მოკლედ, ჟანას არც დაესიზმრებოდა „ნიჭიერში“ მისვლა, რომ არა ერთი შემთხვევა: ერთხელ ბანკში იყვნენ მისული, გამოგზავნილი ფულის ასაღებად. ვიღაცამ დაინახა, შეატყო, რომ ვერ იყო, რადგან „უცნაურად“ იცვამს და დაუწყო, – მეო „ნიჭიერის“ უფროსი ვარო და დარწმუნებული ვარ, ნიჭიერი გოგო ხარ, ალბათ, მღერი და ცეკვავო და წამოდი, „ნიჭიერში“ ჩაგწერთო... ესეც გაჰყვა ბებიასთან ერთად და მთელი ზაფხული დაჰყავდათ რაღაც ჩაწერებზე. აქეზებდნენ, ნიჭიერი ხარ, ულამაზესი ხარ, საუკეთესო ხარ... ამასაც სჯეროდა და იმედი ჰქონდა, რომ გაიმარჯვებდა... მე, რა თქმა უნდა, ვაფრთხილებდი, რომ არ გასულიყო, მაგრამ არ მიჯერებდა...

სიმღერებიც რაღაც სასწაულები შეურჩიეს; ჯერ იყო და ლელა წურწუმიაო, მერე ეს მაილი საირუსი...

ან რა ჩააცვეს, ან რა ათქმევინეს, ან რაზე შეახტუნეს?! და ეს ამაზრზენი ხალხი, ჟიური, (და ყველაზე მეტად გვარამიაზე მეშლება ნერვები), უტიფრად დასცინის ამ გოგოს!!!! ამაზრზენია, უბრალოდ, გული მერევა მათზე... ჩვენ რომ გვგონია, რომ თვითონ მიდის ეს ხალხი „ნიჭიერში“, თურმე თვითონ მიჰყავთ, რომ შოუ ყურებადი იყოს!!! ეს ჟანასთვის ხომ უფრო დიდი სტრესია?!

ყველას გთხოვთ, გაავრცელოთ, რომ ყველამ ნახოს და იცოდეს რა ამაზრზენი, ყალბი და უჯიშო ხალხი მუშაობს „რუსთავი 2“-ში...

მე ნამდვილად გამეცინებოდა „ჟანას ნომერზე“, რომ არ მცოდნოდა, ვინ არის და რისი გამკეთებელიცაა!!!!!

„ფეისბუკით“ გავრცელებულ ამ განცხადებას სრულიად სამართლიანად საზოგადოების სერიოზული აღშფოთება მოჰყვა, რასაც „ნიჭიერის“ გუნდმა შემდეგნაირად უპასუხა:

„გვინდა გამოვეხმაუროთ ჟანა წითელაურის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს. როგორც მისი მეგობარი აცხადებს, ჩვენს თანამშრომელს ჟანა უნახავს ბანკში და შემდეგ მოიყვანა „ნიჭიერში“. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ჟანა წითელაური თავისი ფეხით მოვიდა „ნიჭიერის“ პრექასთინგზე.

უფრო დეტალურად: „ნიჭიერის“ პრექასთინგების დროს ის, სავარაუდოდ, იმყოფებოდა რომელიღაც გადაცემის ჩაწერაზე დამსწრედ და იქიდან გამოსულმა გაიგო „ნიჭიერის“ პრექასთინგის შესახებ. ჰკითხა დაცვას, სად უნდა მოსულიყო. კოორდინატორმა მიასწავლა ადგილი, სადაც პრექასთინგი ტარდებოდა, როგორც ზოგადად ხდება ხოლმე.

პრექასთინგზე მოსულმა, მან განაცხადა, რომ არის მომღერალი, მოდელი, მოცეკვავე და დიზაინერი და თავისივე სურვილით გამოვიდა „ნიჭიერში“, როგორც მომღერალი.

რაც შეეხება რეპერტუარს, საბოლოო სიტყვა ყოველთვის ეკუთვნის კონკურსანტს, რა სიმღერას შეასრულებს ან საერთოდ მიიღებს თუ არა მონაწილეობას პროექტში“.



## აბა, ამ ყველაფრის მერე როგორ უნდა ვისაუბროთ მთავრობის მიღწევებზე და იმაზე, რომ ქვეყანა წინ მიდის?!



წინა თვესთან შედარებით, 2015 წლის ოქტომბერში ფასები გაიზარდა სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, ასევე ფარმაცევტულ ნაწარმზე.

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ინფლაციის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, წინა თვესთან შედარებით, 2015 წლის ოქტომბერში საქართველოში ინფლაციის დონემ 0,8 პროცენტი შეადგინა. საქსტატის ინფორმაციით, მოცემულ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები გაიზარდა 0,9 პროცენტით, რაც თვის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0,26 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები ძირითადად გაიზარდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: რძე, ყველი და კვერცხი (3,3 პროცენტი) და ბოსტნეული და ბაღჩეული (6,5 პროცენტი). ჯგუფში ფასები შემცირდა ხილსა და ყურძენზე (-9,2 პროცენტი); ჯანმრთელობის დაცვა: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 2,0-პროცენტიანი ზრდა, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,20 პროცენტული პუნქტით აისახა. ჯგუფში ფასები ძირითადად გაზრდილი იყო ფარმაცევტულ ნაწარმზე (6,7 პროცენტი); სასტუმროები, კაფეები და რესტორნები: ჯგუფზე ფასები გაიზარდა 2,0 პროცენტით, რამაც 0,11 პროცენტული პუნქტით მოახდინა გავლენა ინდექსის მთლიან ცვლილებაზე.

საქსტატის ინფორმაციით, 2015 წლის ოქტომბერში 2014 წლის ოქტომბერთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 5,8 პროცენტი შეადგინა. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: 12-თვიან პერიოდში ფასები გაიზარდა 4,1 პროცენტით და ჯგუფის წვლილმა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 1,27 პროცენტული პუნქტი შეადგინა. აღსანიშნავია ფასების მნიშვნელოვანი მატება შემდეგ ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (22,2 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (15,6 პროცენტი) და ყავა, ჩაი და კაკაო (10,4 პროცენტი); ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაიზარდა 11,1 პროცენტით, რამაც წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 1,04 პროცენტული პუნქტით იქონია გავლენა. ფასები ძირითადად გაიზარდა ფარმაცევტულ ნაწარმზე (27,4 პროცენტი); ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება: ჯგუფზე ფასები გაიზარდა 13,1 პროცენტით, რამაც წლიურ ინდექსზე 0,82 პროცენტული პუნქტით იქონია გავლენა; საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 8,2-პროცენტიანი ზრდა, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,70 პროცენტული პუნქტით აისახა. აღნიშნული ზრდა, ძირითადად, ელექტროენერგიის, აირისა და სათბობის სხვა სახეების ქვეჯგუფზე ფასების 10,5 პროცენტით ზრდით იყო გამოწვეული. (bpn.ge)



## რატომ არ იცვლება საწვავის ფასი ქართულ ბაზარზე?




ბოლო ერთი წლის განმავლობაში „შავი ოქროს“ ფასი მთელ მსოფლიოში თანდათან დაეცა. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ნავთობი კიდევ უფრო გაიაფდება. ანალოგიური პროგნოზი აქვთ მსოფლიო ბანკს, საერთაშორისო ანალიტიკურ ცენტრებსა და უმსხვილეს ნავთობკომპანიებს, რომლებიც ერთხმად ადასტურებენ, რომ მსოფლიოში ნავთობის დაბალი ფასი კვლავაც შენარჩუნდება. მათი თქმით, ირანისთვის სანქციების მოხსნით, მსოფლიოში ნავთობის წარმოება დღეში მილიონი ბარელით გაიზრდება, ხოლო მსოფლიო ბანკის პროგნოზით, 2016 წლიდან, ირანის ნავთობის ბაზარზე დაბრუნება ფასების კიდევ უფრო შემცირებას გამოიწვევს.

რა მდგომარეობაა საქართველოს საცალო ქსელში? – ჩვენთან, ბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურებზე, 1 ლიტრი საწვავის საშუალო ფასი ასეთია: სუპერი 2,07-2,10 ლარი ღირს; პრემიუმი – 1,99-2,05 ლარი; რეგულარი – 1,83-1,98 ლარი; დიზელი გ-62 – 1,77-1,80 ლარი; ევრო დიზელი – 1,92-1,99 ლარი. ხოლო არაბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურებზე 1 ლიტრი საწვავის ფასი 25-30 თეთრით ნაკლებია.

შედარებისთვის: რეგულარის ტიპის საწვავის საშუალო ფასი 2014 წლის 4-6 დეკემბრისთვის საქართველოში 1.93 თეთრი იყო, ხოლო თვის ბოლოს მისმა ფასმა 10 თეთრით დაიკლო და 1.83 შეადგინა. დაახლოებით იგივე მდგომარეობაა სხვა ტიპის საწვავზეც. როგორც ვხედავთ, საწვავის ფასი საქართველოში თითქმის არ შეცვლილა, რაც კარგა ხანია, დიდ კამათსა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

ანალიტიკოსი ბექა კემულარია მიიჩნევს, რომ მსოფლიოში ნავთობის ფასი მოთხოვნა-მიწოდებაზეა დამოკიდებული, მაგრამ ფასებზე არანაკლებ გავლენას ახდენს წმინდა პოლიტიკური ინტერესები. ამიტომ ძნელია წინასწარ რაიმეს თქმა.

– თუ ირანის ემბარგო მოიხსნება, ნავთობის მიწოდება გადააჭარბებს მასზე მოთხოვნას და ეს უმნიშვნელოვანესი პროდუქტი კიდევ უფრო გაიაფდება. ეს კი ნავთობმომპოვებელ ქვეყნებზე უარყოფითად აისახება, რადგან მათი ექსპორტის დიდი წილი ნავთობზე მოდის. რაც შეეხება ისეთ ქვეყნებს, რომლებიც მომპოვებლები არ არიან, ნავთობის ფასის შემცირება მათთვის კარგია, რადგან ამ დროს ქვეყნიდან ნაკლები უცხოური ვალუტა გაედინება...

იმას, რომ ნავთობის გაძვირება ქართულ ბაზარზე არ აისახება, ბექა კემულარია კომპანიებს შორის არსებული კარტელური შეთანხმებით ხსნის:

– კონკურენციის სააგენტომ დააჯარიმა 5 ყველაზე მსხვილი კომპანია საქართველოში, რადგან ისინი ფასებს შეთანხმებულად აწესებენ. აქედან გამომდინარე, ნავთობის გაიაფება-არგაიაფება პირდაპირ არ აისახება ჩვენთან არსებულ საცალო ფასზე, რადგან ეს კომპანიების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ნავთობკომპანიებმა გააპროტესტეს კონკურენციის სააგენტოს დასკვნა და გაასაჩივრეს, რის გამოც საქმე სასამართლოს გადაეცა. როდის დასრულდება ეს სასამართლო, არავინ იცის, თუმცა ფაქტია, რომ სააგენტომ შეისწავლა, დაადასტურა კარტელური შეთანხმება და მსხვილი კომპანიები დააჯარიმა კიდეც. ახლა სასამართლოში უნდა გაირკვეს, რამდენად სამართლიანი იყო ეს ჯარიმა და რატომ არ იცვლება საწვავის ფასი ქართულ ბაზარზე, – აღნიშნავს ბექა კემულარია.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი არ უარყოფს, რომ ნავთობის ფასი მსოფლიოში ძალიან დაბალ ნიშნულზეა.

ვანო მთვრალაშვილი: ნავთობის ფასი ბოლო თვეების განმავლობაში თანდათან ეცემოდა და დღეს წამყვან სანავთობო ბირჟებზე 43-48 დოლარის დიაპაზონში მერყეობს. ეს 2009 წლის შემდგომ ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ამის ფუნდამენტური მიზეზია ის, რომ დღეს ნავთობის მიწოდება მსოფლიოში აჭარბებს მასზე მოთხოვნილებას. არსებობს სხვა, არანაკლებ სერიოზული მიზეზებიც, კერძოდ, ოპეკ-ის ქვეყნებს არ შეუმცირებიათ ნავთობის მოპოვება და არც აპირებენ მის შემცირებას. ადრე, როდესაც ნავთობის ფასი ეცემოდა, ისინი ამცირებდნენ ნავთობის მოპოვებას, რასაც ბაზარზე ნაკლები ნავთობის მიწოდება მოჰყვებოდა და ფასები არათუ მცირდებოდა, იზრდებოდა კიდეც. თუ ამას დავუმატებთ ირანისთვის ემბარგოს მოხსნას და აშშ-ის მიერ სტრატეგიული მარაგების გახსნას, ნავთობის ფასი მომავალშიც დაბალი იქნება. გარდა ამისა, ეკონომიკური ზრდა შენელდა ჩინეთში, ეს ქვეყანა აშშ-ის შემდგომ ნავთობის ყველაზე დიდი მომხმარებელია და მისი ეკონომიკის შეფერხებამ ნავთობზე მოთხოვნა შეამცირა. ამ მიზეზების ერთობლიობა განაპირობებს, რომ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის დაბალი ფასი კვლავაც შენარჩუნდება, – აღნიშნავს ვანო მთვრალაშვილი.

ვანო მთვრალაშვილის შეფასებით, რთულია იმის თქმა, თუ რა დონემდე შემცირდება ნავთობის ფასი, რაც შეეხება საქართველოს, აქ „შავი ოქროს“ ფასს სულ სხვა ფაქტორები განსაზღვრავს.

– ნავთობზე დაბალი ფასის გამო დოლარი მყარდება. დოლარის გამყარებას კი ლარის გაუფასურება მოჰყვა. სწორედ ამიტომ, რამდენადაც უნდა შემცირებულიყო საქართველოში საწვავის ფასი, იმდენად ვერ შემცირდა: მოგეხსენებათ, ნავთობკომპანიები პროდუქციას დოლარში ყიდულობენ და მერე ლარში ყიდიან. თუ ლარი გამყარდება, შესაბამისად, საწვავის ფასიც შემცირდება. ჩვენს ოპონენტებს უნდა ვუთხრა: რატომ არ აქცევენ ყურადღებას, რამდენად გაუფასურდა ლარი დოლართან მიმართებით? – შარშან 1 დოლარი 1,7 ლარი ღირდა, ახლა კი, 2,4 ლარი ღირს. თუ ეროვნული ვალუტა გაუფასურებას განაგრძობს, საწვავის ფასი საქართველოში ვერ შემცირდება. ამიტომ, სულაც არ მიკვირს, რომ ნავთობკომპანიები არ დაეთანხმნენ კონკურენციის სააგენტოს დასკვნას და გაასაჩივრეს, – ამბობს ვანო მთვრალაშვილი. (bpn.ge)



## კი არ გვჯერა, მაგრამ ამ სიტყვების მოსმენა მაინც გვსიამოვნებს




– თუ ჩვენ გვექნება ჯანსაღი ეკონომიკური ზრდა საშუალოვადიან პერსპექტივაში, ლარს ექნება გამყარების ტენდენცია, – ამის შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, გიორგი ქადაგიძემ ლარის კურსთან დაკავშირებით დასმული შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა.

როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა აღნიშნა, სხვა თანაბარ პირობებში ლარის მეტ მერყეობას არ ელოდება.

– ლარის კურსთან დაკავშირებით შემიძლია გავიმეორო კიდევ ერთხელ იგივე, რომ სხვა თანაბარ პირობებში ჩვენ ლარის მეტ მერყეობას არ ველოდებით. მიუხედავად იმისა, რომ მცურავი, გაცვლითი კურსის პირობებში მოკლევადიანი მერყეობა ნორმალურია. უფრო მეტიც, თუ ჩვენ გვექნება ჯანსაღი ეკონომიკური ზრდა, საშუალოვადიან პერსპექტივაში ლარს ექნება გამყარების ტენდენცია, – განაცხადა გიორგი ქადაგიძემ. (bpn.ge)

## 18 წლის ბიჭმა ტყიბულის ტყეში ქალბატონი მოკლა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1997 წელს დაბადებული ნუკრი კ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 2 ნოემბერს ტყიბულის მიმდებარე ტყის მასივში, ურთიერთშელაპარაკებისას 1974 წელს დაბადებული მაია ჯ. მოკლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში ტყიბულშივე დააკავეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით). (ნიუპოსტი)



# თუკი ხელისუფლება ბოროტად იყენებს ძალაუფლებას, აქვს თუ არა ხალხს აჯანყების უფლება!



**არჩევნების შემდეგ ბოროტად რომ სარგებლობს ხელისუფლება, მაშინ რა უნდა ქნას ხალხმა, რამდენიმე წელი უნდა ელოდოს, სანამ გადაირჩევენ? რა ბერკეტები არსებობს, რომ ასეთი ხელისუფლება მოიცილონ?**



*ნინო სამხარაძე*
*599 71-14-22*

ფარული აუდიოჩანაწერი №2, მიხეილ სააკაშვილი: „მანდ სისხლისღვრა იქნება, რომ იცოდე, სტო პრო, ქინძი ვიყო...“ ამჯერად ქვეყნდება სააკაშვილისა და მისი ფავორიტი მომღერლის, სოფო ნიჟარაძის სატელეფონო საუბრები და სააკაშვილის გვარამიასთან აუდიოჩანაწერი.

მიხეილ სააკაშვილი გვარამიას სატელეფონო საუბარში ეუბნება: „ველაპარაკე კეზერას, ვიზიარებ, რომ არ შეიძლება ჟურნალისტების კოლექტივის შეშინება, წაიმუშავე სათითაოდ ყველასთან, რომ გაითვალისწინონ. გოგიჩაიშვილი რომ იძახის, რევოლუცია არ მინდაო, აუხსენი ყველას, რომ გაყრიან სათითაოდ. გვარამია სააკაშვილს სთხოვს, რომ თემურ ჯანაშიას (ყოფილი ექსპრეზიდენტისა და სახელმწიფო დაცვის ყოფილი უფროსი. – ნ.ს.), დაცვის ორგანიზება გააკეთოს, რაზეც სააკაშვილი პასუხობს, რომ საჭიროა საქმეში ჩართონ სპეცრაზმელები და დაუკავშირდეს გივი თარგამაძეს, რომელიც იცნობს სპეცრაზმელებს.

მიხეილ სააკაშვილისა და მისი ფავორიტი მომღერლის სოფო ნიჟარაძის სატელეფონო საუბრიდან კი ვიგებთ, რომ სააკაშვილმა ეს-ესაა შეხვედრა დაამთავრა „პოროსთან“, სავარაუდოდ, გულისხმობს პოროშენკოს და ქალბატონ სოფოს აუწყებს, რომ კონკრეტული ამბავი გადაწყვეტილია და 26 ოქტომბერს ოდესაში მერის არჩევნების შემდეგ სალაპარაკოდ უნდა მოემზადოს მომღერალი. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სააკაშვილი ნიჟარაძეს აფრთხილებს, – მანდ სისხლისღვრა იქნება, რომ იცოდეო. სოფო ნიჟარაძე კითხვას სვამს: რა პონტში? აქა, ჩვენთან? – ხო, ალბათ, იქნება.

როგორც ხედავთ, სისხლიანი რევოლუციის საქმეში ჩნდება შეთქმულების მეოთხე მონაწილე, სოფო ნიჟარაძის სახით, რომელიც სააკაშვილს რაპორტს აბარებს და უხსნის, რომ „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებს ეშინიათ. მაგალითად მოჰყავს ნოდარ მელაძე: „ნოდარ მელაძეა ყველაზე ჩაჯმული, ჩვეულებრივად სუნი ასდის შორიდან. რომ ვხედავ, ვგრძნობ მის მოსვლას...“ სააკაშვილი ნიჟარაძეს ამშვიდებს: „ეგ თავიდან ყოველთვის ეგრეა, პირველი სისხლი რომ იქნება, მერე ნახავ, ნოდარ მელაძე გახდება საველე მეთაური...“ როგორც ხედავთ, სურათი ძალიან მძიმეა, იმაზე მძიმეა, ვიდრე ჩვენ ეს წარმოგვიდგენია.

მომღერალი ნიჟარაძე და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის ყოფილი უფროსი ჯანაშია, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დაკითხვაზე 3 ნოემბერს დაიბარა. რა თქმა უნდა, არავის აქვს ილუზია, რომ ისინი გამოძიებასთან ითანამშრომლებენ, წინა ჩანაწერისგან განსხვავებით, მოვისმინეთ გვარამიას კომენტარი, რომ ეს იყო ფაბრიკაცია, მაშინ, როცა პირველ აუდიოჩანაწერზე განმარტა, რომ ხმაც მისია და შინაარსსაც ადასტურებს, შეთქმულების მონაწილეებმა უნდა იცოდნენ, რომ უფრო სკანდალური ჩანაწერები დაიდება, ჩვენ ამას ვაცხადებთ არა კონკრეტული ინფორმაციის საფუძველზე, არამედ მოვლენების დინამიკიდან გამომდინარე და მათ უკეთ იციან, ამ ჩანაწერებში რაზე საუბრობენ. ასე რომ, წინ უფრო მეგასკანდალები გველის და ეს აუცილებლად მივა ლოგიკურ დასასრულამდე.

გვარამია „საზოგადოებრივი არხისა“ და ტელეკომპანია „იმედის“ მისამართით იმუქრება, აპროტესტებს ამ ჩანაწერის გასვლას, მათ ადანაშაულებს, რომ აუდიოფირი უკრაინული სააგენტოს გავლით კი არ მოხვდა მათთან, არამედ სპეცსამსახურებმა მიაწოდეს და აფრთხილებს, რომ თავისუფალი პროკურატურის პირობებში მათ პასუხს მოსთხოვს და აზღვევინებს. აი, ეს იცის დაუსჯელობის სინდრომმა...

საინტერესოა, რა პოზიცია ექნება უკრაინის პრეზიდენტს, პოროშენკოს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის წერილზე. წერილში ნათქვამია, რომ სააკაშვილის, ბოკერიასა და გვარამიას აუდიოჩანაწერი შეიცავს ანტისახელმწიფოებრივი ძალადობრივი ქმედებებისკენ კონკრეტულ მოწოდებებს და აღნიშნავს, რომ მსგავსი ქმედებები საქართველოსა და უკრაინის მეგობრულ ურთიერთობებს არ შეეფერება. ამ მოწოდებებმა შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას საქართველოში უსაფრთხოებასა და სტაბილურობას და უკრაინის პრეზიდენტს ამ საკითხით დაინტერესებას სთხოვს.

ჩვენ, ასევე, გვაქვს ლეგიტიმური უფლება, ვიფიქროთ, რომ უკრაინის პრეზიდენტი პოროშენკო საქართველოს პრემიერ-მინისტრის თხოვნას არ გაიზიარებს, რადგან შესაძლოა, რევოლუციურ სცენარში ისიც ჩართული იყოს და სააკაშვილის თანამოაზრედ და თანამებრძოლად მოგვევლინოს ამ სისხლიან რევოლუციაში, რომელსაც ოდესის გუბერნატორი აანონსებს. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს სოფო ნიჟარაძესთან სააკაშვილის საუბარი, სადაც ის ნიჟარაძეს მიანიშნებს, რომ ეს წუთია პოროშენკოსთან შეხვედრა დაასრულა. განიხილავდა თუ არა იგი პოროშენკოსთან სისხლისღვრის სცენარს? ამ კითხვაზე სააკაშვილი თავისი ქმედებით სცემს პასუხს, რადგან ის რეკავს საქართველოში ნიჟარაძესთან და სისხლისღვრის სცენარზე ესაუბრება. საინტერესოა, თუკი გამოქვეყნდა სააკაშვილისა და პოროშენკოს საუბრები, სადაც ისინი საქართველოში სისხლიან რევოლუციას გეგმავენ, ვინ უნდა დაკითხოს პეტრო პოროშენკო და რა მოხდება შემდეგ? დავდგებით თუ არა გამაოგნებელი რეალობის წინაშე, როცა სააკაშვილის მიერ წოდებული „იდიოტი უცხოელები“ გვეტყვიან, რომ დაუშვებელია სატელეფონო საუბრების ფარული მოსმენა და მისი გამოქვეყნება.

**კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ყოფილი გენერალური პროკურორი გია მეფარიშვილი, „ალიასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პროცესს სამართლებრივად აფასებს:**

**— რამდენად მართებული იყო, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, რაც გულისხმობს ხელისუფლების ანტიკონსტიტუციური გზებით დამხობის მცდელობას.**

– საინფორმაციო საშუალებებმა რა ინფორმაციაც გაავრცელეს და რაც გამოიკვეთა ცალკეული საგამოძიებო მუშაობის ჩატარების შემდეგ, სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ გამოძიების დაწყების კანონით განსაზღვრული საბაბი ნამდვილად არის. ასევე, ქმედებაში არსებული დანაშაულის ნიშნები სახეზეა და გამოძიება ვალდებული იყო, ამაზე რეაგირება გაეკეთებინა.

**— ჩვენს თვალწინ ხდება დანაშაულის შემცველი საუბრების ტირაჟირება, ვისმენთ კონკრეტულ მოწოდებებს ექსპრეზიდენტის მხრიდან, რომ აუცილებლად მოხდება სისხლისმღვრელი რევოლუცია, საჭიროა „ბოევიკების“, სპეცრაზმელების საქმეში ჩართვა, ადამიანების ცემა-ტყეპა და ა.შ.**

– გეთანხმებით, რომ საზოგადოება დაბნეულია, გაორებულია და რაც ყველაზე მთავარია, ეს ხელისუფლება აშკარად კარგავს მომხრეებს. ის პროცესები, რომლებიც დღეს საქართველოში ვითარდება ჩემში ბადებს ძალიან ბევრ კითხვას, რომელსაც სჭირდება პასუხების გაცემა. მე მგონი, არა მარტო მე ვარ ასეთ გაუგებარ მდგომარეობაში, არამედ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა. ახლა ვთქვათ, რაში გამოიხატება ეს... კოალიცია „ქართული ოცნება“ მოსახლეობას ჰპირდებოდა სამართლიანობის აღდგენას, კეთილი უნდა ენება ყველას და როგორც კი ხელისუფლების ბერკეტები აიღეს, ეს პროცესიც უნდა დაეწყოთ. სამწუხაროდ, სამართლიანობის აღდგენის პროცესი არ განხორციელდა. მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე გადაწყვეტილება იქნა მიღებული ცალკეული ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებით, მაგრამ ის ფუნდამენტური საკითხები, როგორიც იყო პოლიტიკური პატიმრების რეაბილიტაციის საკითხი, პოლიტიკური დევნილების დაბრუნება, უსაფუძვლო მსჯავრდებები, რაზეც ძალიან ბევრი ადამიანია გასამართლებული, ეს საკითხები შესაბამის საკანონმდებლო დონეზე გადაწყვეტას ითხოვს. ეს გადაწყვეტილება კი არ არის მიღებული.

სამართლიანობის აღდგენის ნაწილში სკეპტიკურად ვარ განწყობილი და ეს პროცესი, ალბათ, არ განხორციელდება. ასე რომ, „ქართულ ოცნებას“, როგორც საარჩევნო ბლოკს, ამ მინუსს აუცილებლად გაუხსენებენ. ეს პროცესი გაჩერდა, ახლა ისიც ვთქვათ, რა იყო ამის მოტივი. პირველი მოტივი, რაც გამოკვეთილია, ალბათ, იყო ძალიან დიდი ზეწოლა, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, მათ შორის, ჩვენი „მეგობარი ქვეყნების“ მხრიდან, სხვათა შორის, ისინი ამას არც მალავენ. დააკვირდით, როგორი ზეწოლაა ევროპის საბჭოდან, ევროპარლამენტიდან, სხვადასხვა ქვეყნებიდან. ასე რომ, როგორც ჩანს, ეს პრობლემა იოლი გადასაწყვეტი არ აღმოჩნდა. დღევანდელმა ხელისუფლებამ ამ მიმართულებით რადიკალური გარღვევა ვერ მოახდინა და პიარკამპანია ვერ აწარმოა. კვალიფიციურობის კუთხით კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, დგება საკითხი იმ თანამდებობის პირების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით და მხედველობაში მყავს პროკურორები, პოლიციის თანამშრომლები და მოსამართლეები, რომლებმაც ამ მძიმე წლებში გადაწყვეტილების მიღება მოახდინეს და რომლებიც დიდ გაღიზიანებას იწვევენ. ამ მიმართულებითაც არაფერია გაკეთებული, ესეც რეაგირებას მოითხოვს. ეჭვი მაქვს, დღევანდელი ხელისუფლება ამის გამკეთებელი არ არის, თუმცა ერთი რამ უნდა ვთქვა, აუცილებლად მოვა ხელისუფლება, რომელიც ამ საქმეებით დაკავდება. ნებისმიერი ხელისუფლება ვალდებული იქნება, სიმართლეს თვალი გაუსწოროს და რეაბილიტაციის პროცესი განახორციელოს.

**— ბატონო გია, აუდიოჩანაწერის ავთენტურობა თავის დროზე დაადასტურეს ბოკერიამ, სააკაშვილმა და გვარამიამ. მეტიც, სააკაშვილმა განმარტა, რომ ძალადობას დავუპირისპირდებით ძალით, დემოკრატიას ევროპული კონვენციის საფუძველზე დავიცავთ და იერიშს ხელისუფლებაზე დემოკრატიის სახელით მივიტანთ.**

– სრული აბსურდია, გამახსენდა 1991 წელი, როცა საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება განხორციელდა და 2003 წელი, როცა მეორე სახელმწიფო გადატრიალება განახორციელეს. მაშინ საქართველოში საუბარი იყო, რომ თითქოს, საერთაშორისო სამართალი ითვალისწინებს აჯანყების უფლებას და ადამიანების უფლებაა, ხელისუფლების ძალადობის შემთხვევაში დაუპირისპირდნენ ძალით, მათ მხედველობაში ჰქონდათ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, კერძოდ, პრიამბულის მე-3 აბზაცი ითვალისწინებს ამის შესაძლებლობას. სრული პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ ეს არ შეესაბამება სინამდვილეს, ხელისუფლების შეცვლის მხოლოდ ერთადერთი გზა არსებობს, ეს არის არჩევნები. ძალადობრივი გზით ხელისუფლების დამხობას კანონი და სამართალი არ ცნობს. თუ ასეთი რამ ხდება, უნდა დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი და სახელმწიფომ ამ დანაშაულს პასუხი უნდა გასცეს. რაც შეეხება ადამიანთა უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, კერძოდ, პრიამბულის მე-3 აბზაცს, იქ ასეთი ჩანაწერი არ არსებობს, აქ საუბარია მხოლოდ მთავრობისა და ხელისუფლების ვალდებულებებზე, მოუხმონ გონიერებას იმიტომ, რომ არ დაუშვან ხელისუფლების შეცვლა, არავითარი მსგავსი ჩანაწერი, რომ ვინმეს უფლება აქვს სახელმწიფო გადატრიალების, თუკი სახელმწიფო ძალადობს, ასეთი რამ იმ ჩანაწერში არ არსებობს. ასე რომ, ვერ გავიზიარებ მოსაზრებას, რომ ძალადობრივი გზით ხელისუფლების დამხობა არის შესაძლებელი და კანონიერი. ძალადობრივი გზით კონსტიტუციური ხელისუფლების დამხობა დასჯადია, სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

**— თუკი ხელისუფლება ბოროტად იყენებს ძალაუფლებას, აქვს თუ არა ხალხს აჯანყების უფლება, რა გამოსავალი რჩება?**

– ამ შემთხვევაში ერთადერთი სამართლებრივი გამოსავალი არის არჩევნები. ყველა სხვა ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს შემოთავაზებული, არის კანონსაწინააღმდეგო. ვინაიდან სამართლებრივად ხელისუფლების წყარო არის ხალხი, მათ აქვთ ხელისუფლების შეცვლის უფლება არჩევნებით, ან რეფერენდუმით.

**— ეგ გასაგებია, ის მაინტერესებს, არჩევნების შემდეგ ბოროტად რომ სარგებლობს ხელისუფლება, მაშინ რა უნდა ქნას ხალხმა, რამდენიმე წელი უნდა ელოდოს, სანამ გადაირჩევენ? რა ბერკეტები არსებობს, რომ ასეთი ხელისუფლება მოიცილონ?**

– როდესაც ბოროტად სარგებლობს ხელისუფლება, მაგალითად, რუმინეთში იყო 1988 წელს, როდესაც ჩაუშესკუს რეჟიმი დაამხეს და ბევრმა ქვეყანამ ეს გზა გაიარა. თუმცა, ამ შემთხვევაში იურიდიული და ისტორიული ასპექტები ერთმანეთს არ ემთხვევა. კანონმდებლობით იგი შეფასებული უნდა იყოს როგორც მართლსაწინააღმდეგო და დასჯადი. თუ ხელისუფლების წინააღმდეგ ხდება ამბოხება, აჯანყება, ეს უნდა იყოს შეფასებული, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედება და ყველა შემთხვევაში სახელმწიფო გადატრიალებად უნდა იყოს შეფასებული. თუმცა პოლიტიკური და ისტორიული ასპექტები შეიძლება განსხვავებული იყოს. ეს არის ამ პრობლემის ერთ-ერთი ყველაზე სადავო საკითხი.

**— სააკაშვილზეც გკითხავთ. თუკი მტკიცებულებების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მთავარი დამნაშავე არის მიხეილ სააკაშვილი, ამ შემთხვევაში რა ღონისძიებას მიმართავს საქართველოს ხელისუფლება, რათა მოხდეს უკრაინის მოქალაქის, მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირება?**

– მისი ექსტრადირება ვერ მოხდება, ის არის უკრაინის მოქალაქე, იმიტომ, რომ არსებობს კონსტიტუციური პრინციპი, ეს მოქმედებს როგორც საქართველოში, ასევე უკრაინაში და თითქმის ყველა ქვეყანაში, რომ ქვეყნის მოქალაქე, რომელიც იმხილება კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში, არ შეიძლება გადაეცეს სხვა ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს გამოძიების ან სისხლის სამართლებრივი დევნის განსახორციელებლად, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა. ეს გახლავთ საერთაშორისო დანაშაულები, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში საერთაშორისო დანაშაულზე საუბარი არ მიდის. საერთაშორისო დანაშაულში იგულისხმება კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული. ასე რომ, სააკაშვილის ექსტრადირება არ მოხდება, ვინაიდან კონსტიტუცია ამ შესაძლებლობას არ იძლევა. რა თქმა უნდა, ქართულ მხარეს უფლება აქვს, საკითხი გამოძიოს, შესაბამისი რეაგირება მოახდინოს, ვნახოთ, რა გადაწყვეტილებებს მიიღებენ, არ მინდა მოვლენებს დავასწრო.

# „კაი, რა, სოფ, რა დამონტაჟებული, ღადაობ? ვის არ მოენატრებოდა უფასო ლამაზ-ლამაზი კაბები, კლიპები და ა.შ. ისე, რა ვნებიანი ხმა გქონდა, გოოგ.“ — რას წერენ სოფო ნიჟარაძეზე

უკრაინული საიტის მიერ სატელეფონო საუბრების ჩანაწერების გავრცელების შემდეგ, „ფეისბუკის“ პირად გვერდზე კომენტარი გააკეთა სოფო ნიჟარაძემ:

– „ფსბ“-ს დამონტაჟებულ სიყალბეზე სერიოზული კომენტარის გაკეთება სრულ სისულელედ მიმაჩნია, გასაგებია რის გაკეთებასაც ცდილობენ, უნდათ, ღირსება შეგვილახონ და რაც კიდევ უფრო მძიმეა, ტალახში ამოსვარონ ქვეყნის იმიჯი!

რაც შეეხება ნოდარ მელაძეს, ის არის საუკეთესო ჟურნალისტი, ამავე დროს ის ჩემი მეგობარია, მე ის მიყვარს და იმედია, ამ ფაბრიკაციამ არ შელახა მისი ღირსება!

ვადასტურებ ჩემს სოლიდარობას და მხარდაჭერას „რუსთავი ორის“ მთელი კოლექტივის მიმართ! – დაწერა სოფომ.

პოსტს ინტერნეტ-მომხმარებელთა აქტიური გამოხმაურება მოჰყვა. მათი ნაწილი ჩანაწერს მონტაჟს უწოდებს და მომღერლის გამხნევებას თბილი სიტყვებით ცდილობს, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც სალანძღავ და შეურაცხმყოფელ სიტყვებს არ იშურებენ:

– ანუ დამონტაჟებულია მელაძის შეურაცხყოფა, სახელმწიფო გადატრიალება და ჰაი-ჰუი, მარა ფაქტი, რომ მიშას ესაუბრები, ამას რა ვუყოთ, სოფოიია.... ძალიან ბევრი ვიცინე... მიუზიკლი სახელად სულთანი და სულთანშა :)))) ისა და ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი და ცნობილი მომღერალი რომ განსჯის საგანი იქნება სულ ნებისმიერ ამბავში, არ გაგიგია??? რა ვიცი, „პროფილში“ რომ ელაპარაკა გულწრფელად, მიშას ვურეკავო, მაშინ „ლავსთორი“ იქნებოდა და ეხლა განსჯის საგანია??? ნუ მორალისტობთ, ძალიან გეხვეწებით, რა. ნიჟარაძე კი არა კლინტონს, ბერლუსკონის და სხვა ამაზე მაგარ ტიპებს უდებენ ჩანაწერებს და ქვეყნებს იმიჯი არ ელახებათ. ესენი ვინ არიან, მართლა ქინძები )) ძაან გავხალისდი.

– ვაიმე, სოფ, შენზე ვერც წარმოვიდგენდი, რომ მსგავსს იტყოდი. შენ ხომ სათნოების განსახიერება ხარ. ყველაფერი დამონტაჟებულია, ფუი მაგათ. შენ არ ინერვიულო, სევდა არ მიაკარო შენს ხითხითა სახეს, მპუა მპუა ))

– არ მაინტერესებს, რაა სიმართლე და რა – არა, არც შენი პირადი ცხოვრება მაინტერესებს. აინტერესებს იმას, ვისაც საქმე არ აქვს და თავისი პირადი არ გააჩნია. სოფია, ვგიჟდები შენზე, უზომოდ მიყვარხაარ.

– უარყოფს ეს ადამიანი და რას ლანძღავ. ჯერ დაამტკიცონ, მაგის უნარიც თუ აქვთ, დადგმაც არ გამოსდით კარგად, თუ ქიბარის მოწმის გამოსვლას გავითვალისწინებთ, მე არ მჯერა ივანიშვილის დადგმული კადრების, რომელიც „ნაციონალებს“ უწოდებდა მძარცველებს და თვითონ გაგვიორმაგა ყველაფერი და უარესად გვძარცვავს. მათ აკრიტიკებდა მოსმენებზე – თვითონ უსმენს. „იმედში“ შევარდნაზე აკრიტიკებდა – „რუსთავი ორში“ შევარდა. ყველამ ვნახეთ, პირდაპირ არა, მაგრამ როგორც ასეთი კაცის მე არ მჯერა, საქმის კეთებაზე არაფერს ვამბობ, უფრო არკეთების გადაფარვა მგონია, ეს და მართლაც დაგვიდგა საოცარი 4 წელიწადი, ოღონდ საპირისპირო მნიშვნელობით.



**კარგი, მაგას გადავყლაპავთ, რომ ნოდარ მელაძე ჩაამონტაჟეს. იმიტომ, რომ სულ არ გვაინტერესებს ამ შემთხვევაში ნოდარა. მაგრამ სისხლის ღვრის ხსენებაზე როგორი ურეაქციო ხარ ეს გულჩვილი გოგო, ჰა? ჟიურის წევრი რომ იყავი სხვადასხვა გადაცემებში, რამდენჯერმე მახსოვხარ აცრემლებული და ნუთუ შენი დებისა და ძმების სისხლისღვრას ასე უემოციოდ ატარებ?**

– ნოდარიზე რაც თქვი, ის განაღვლებს მხოლოდ, არიქა, არ ეწყინოსო და აქ ჩანს კიდევ ერთი შენი სიჩერჩეტე. ნოდარი წყალსაც წაუღია იმასთან შედარებით, რაც შენ და მიშიკომ საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის ესკალაციის შესახებ „მადიანად“ ისაუბრეთ. ისწავლე არსებითისა და არაარსებითის ერთმანეთისგან გარჩევა. კომენტარები კი არა, მარგალიტები არ ამოგიცვივდეს ახლა პირიდან. გარდა ამისა, შენი და მიშას რაღაც ბურტყუნი ქვეყნის იმიჯს რატომ დააზიანებს? არც მიშაა პერონი და არც შენ ხარ ევიტა.

– არც მე მჯერა! რა ეკითხება სოფოს პოლიტიკასთან! მე არ მახსოვს ამ გოგოს როდისმე პოლიტიკური განცხადება გაეკეთებინოს!! სოფო მსხვერპლია ამ ავანტიურის!!

– ვისი რა საქმეა, სოფია მიშას საყვარელი იქნება, მეგობარი თუ ცოლისდა. ღმერთმა ეს ცხოვრება ერთხელ მომცა და ისე ვიცხოვრებ, როგორც გამისწორდება. მიდი, სოფო, მიაწექ!

– ძააან ბევრი კომენტარია იმის შესახებ, რომ თითქოს მიშა და სოფო საყვარლები არიან. ხალხნო, ზოგ-ზოგიერთებს მთვარე რო თეთრია, იმას ვერ დაგაჯერებთ კაცი და საიდან, როდის, სად დაინახეთ მიშა და სოფო ერთად ან თუნდაც რომელიმემ წაასწარით საწოლში თუ რააა, ვერ გავიგე. ასე ყველანი როგორ აყევით ვიღაცის იდიოტურ ჭორებს და ხუმრობებს, სიცხვილია, მეტი არაფერი. სოფოზე და სააკაშვილზე ჭორაობას ჯობია რამე სასარგებლო საქმე აკეთოთ!

– სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას რომ სოფოს აბრალებთ, ეს ხომ ძალიან დიდი სისულელეა და წარმოუდგენელი ამბავი... და დანარჩენს რაც შეეხება, ეგ ჩვენი საქმე არაა და ცხვირს ნუ ჩავყოფთ. ისიც საკმარისზე მეტია, რომ უსმენენ და მერე აქვეყნებენ. თავისუფალი ადამიანია, უნდა ყოფილ პრეზიდენტს დაელაპარაკება ტელეფონით, უნდა მოქმედს... და უნდა „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტზე ილაპარაკებს და უნდა „იმედისაზე“... და კიდევ, უნდა უხამსად ილაპარაკებს და უნდა ზრდილობიანად. თავისუფლებაზე რომ გვაქვს პრეტენზია, სხვის თავისუფლებასაც პატივი ვცეთ. ნუ დავიგრძელებთ ცხვირებს! :)

– ყველაფერს რუსეთს როგორ აბრალებთ, მოსასმენი იყო და უსმენდნენ, ნეტა როგორი სინდისით უარყოფენ ამ ყველაფერს, პირადი არავისი არ მაინტერესებს, მაგრამ ასე როგორ სძულთ ქართველი ერი და საქართველო, რომ სისხლისღვრაზე საუბრობენ სულ, ღმერთის არ ეშინიათ? ყველას მიეზღვება თავისი, ჩვენ გვეჩქარება, თორემ ღმერთი არასდროს აყოვნებს.

– კაი, რა, სოფ, რა დამონტაჟებული, ღადაობ? ვის არ მოენატრებოდა უფასო ლამაზ-ლამაზი კაბები, კლიპები და ა.შ. ისე, რა ვნებიანი ხმა გქონდა, გოოგ.

– სოფო, დაიკიდე, რუსეთის უხამსი ჭორებით ვინც საზრდოობს, ისინი დაიჯერებენ და მაგათ უფრო უარესის სჯერათ, რომ რუსეთი გადაარჩენთ, ეგ რაღა გასაკვირია. ისე, ეს კომენტარიც რო არ გაგეკეთებინა, ბევრად უკეთესი იქნებოდა.

– სოფო, მე მჯერა შენი. შენ ხარ უსაყვარლესი და უნიჭიერესი, ლამაზი ქალბატონი, რომელსაც ამდენ ტალახს ესვრიან და ვიცი, რომ გული გტკივა და რთულია ამდენი რამის ატანა, მაგრამ პოპულარობა თავის მსხვერპლს მოითხოვს, ეგრე არაა. არსებობს ძალიან ბევრი არარეალიზებული ადამიანი, რომლებსაც სიტყვა კაცთმოყვარეობა ცხოვრებაში არ გაუგიათ და ამიტომ ისინი წარმოადგენენ ბრბოს, შენ კი ამ ბრბოს ყურადღებას ნუ მიაქცევ, აქ ილია მოკლეს, გაიხსენე...

– არ მომისმენია და არც მოვუსმენ! ეს ბიძგვინას მდაბიური პასუხი იყო მელაძის მაგარი სიუჟეტის:) სოფო გაბრაზებულიც მიყვარს და მომღიმარიც, მელაძე კი ერთ-ერთი საუკეთესო ტელეჟურნალისტია ქართულ ტელესივრცეში:)

– კარგი, მაგას გადავყლაპავთ, რომ ნოდარ მელაძე ჩაამონტაჟეს. იმიტომ, რომ სულ არ გვაინტერესებს ამ შემთხვევაში ნოდარა. მაგრამ სისხლის ღვრის ხსენებაზე როგორი ურეაქციო ხარ ეს გულჩვილი გოგო, ჰა? ჟიურის წევრი რომ იყავი სხვადასხვა გადაცემებში, რამდენჯერმე მახსოვხარ აცრემლებული და ნუთუ შენი დებისა და ძმების სისხლისღვრას ასე უემოციოდ ატარებ?

– ყველამ თავის ბოზ მამიდას მიხედოს!!!!!! ჩანაწერზე ბევრი ვიცინე, როდის იყო უმაღლესი რანგის პირი სატელეფონო საუბრისას საყვარელ ქალთან ასეთ თემებზე საუბრობს, თან ვინ არ იცის, რომ გვისმენენ და საწყალმა მიშამ არ იცოდა, ნწ, ნწ, ნწ...

– არ გამოგივა ფბ-ზე თავის მართლება, ყველამ კარგად იცის მიუხედავად შენი თავის მართლებისა შენი ურთიერთობები სააკაშვილთან, ცუდად დაასრულებ, იცოდე, თავხედო. შენ ხარ მოღალატე, ვერც აცნობიერებ საერთოდ, რას აკეთებ.

– მე ერთი ვიცი: ეს შენი ხმა არ არის! შენს ხმას კი ფანტასტიკურად ვიცნობ! ლაივშიც და ტელეფონშიც! მიყვარხარ ძალიან, ჩემო სიხარულო! – ულამაზესი ფერია ხარ და საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა, რა სიბინძურეებს გაავრცელებენ. ჩვენ ერთად შევცვლით რეალობას.

– ეგრე მოგიხდება, შე ქაჯო, რა გეგონა, შეგრჩებოდა კისკისი და თბილი საუბარი, ან რას გიშვრება ესეთს ეგ გიჟი, მის სისხლისმღვრელ გეგმას რომ ემხრობი, თან ძალიან მალე რომ გსურს განხორციელება. (ambebi.ge)



## გია ვოლსკი: „ბრაზაუსკა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო და ლიტვა სამშვიდობოს გაიყვანა. პოლონეთის პრეზიდენტმა კვაშნევსკიმ პოლონეთი ნატოს რიგებში შეიყვანა და ისიც კომუნისტური, მუშათა პარტიის პირველი მდივანი იყო“



– ხშირ შემთხვევაში ადამიანები სხვა კატეგორიით ფასდებიან, ვიდრე ეს გია თორთლაძეს – „პადოშას“ წარმოუდგენია, – ამის შესახებ ჟურნალისტებს უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გია ვოლსკიმ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეფასებისას განუცხადა, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო კანონი, რომელიც ყოფილი სსრკ-ისა და საქართველოს სსრ-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტების წევრების, რაიონული და საქალაქო კომიტეტების მდივნების, ახალგაზრდული ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტების ბიუროების წარმომადგენლების მიერ სახელმწიფო თანამდებობის დაკავებას კრძალავს.

– სახელმწიფოში მთავარია, დაფასდეს ადამიანი, მისი პროფესიონალიზმი და არ იყოს ორიენტირებული იმაზე, რომ ადამიანის ბოთლით გაუპატიურება დაუშვას. ასევე, განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო ყველა კადრის მიმართ. ბევრი ადამიანი ვიცი კომუნისტური წარსულის გარეშე, რომელიც ნაძირალაა, არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას და არაპროფესიონალია. საქართველოში ადამიანები ცოტა სხვა კეტეგორიით უნდა შეფასდნენ. ბრაზაუსკა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო და ლიტვა სამშვიდობოს გაიყვანა. პოლონეთის პრეზიდენტმა კვაშნევსკიმ პოლონეთი ნატოს რიგებში შეიყვანა და ისიც კომუნისტური, მუშათა პარტიის პირველი მდივანი იყო. ხშირ შემთხვევაში ადამიანები სხვა კატეგორიით ფასდებიან, ვიდრე ეს გია თორთლაძეს – პადოშას წარმოუდგენია, – აცხადებს გია ვოლსკი.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „თავისუფლების ქარტიას“ ეხება, რომლის ავტორი და ინიციატორი თავის დროზე გია თორთლაძე იყო. (ინტერპრესნიუსი)



## ბათუმის ბავშვთა საავადმყოფოში ბავშვის გარდაცვალებას ექიმების უყურადღებობას უკავშირებენ



ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრში 9 წლის ბავშვის გარდაცვალებას მშობლები ექიმების უყურადღებობას უკავშირებენ. ცერებრალური დამბლის მქონე მოზარდი საავადმყოფოში 3 ნოემბერს გარდაიცვალა.

როგორც გარდაცვლილის დედამ ინგა სანიკიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ღებინებითა და მაღალი სიცხით მოზარდი პირველად 30 ოქტომბერს მიიყვანა საავადმყოფოში, ექიმებმა გადასხმა გაუკეთეს, რის შემდეგაც სიცხემ დაუკლო, თუმცა, მისივე თქმით, ექიმებმა ბავშვს სათანადო ყურადღება არ მიაქციეს და გამოკვლევები არ ჩაუტარეს. ინგა სანიკიძე აცხადებს, რომ შვილი იმავე დღეს გაიყვანა საავადმყოფოდან, 2 ნოემბერს კი მდგომარეობის გაუარესების შემდეგ ისევ კლინიკაში მიიყვანა.

– სულ ვთხოვდი, რომ ბავშვი კრუნჩხვიანია და მოდით, გადახედეთ, გამოიკვლიეთ-მეთქი. ვერ შემომყავდა ექიმები პალატაში, სანამ არ ვუთხარი, ჯანდაცვის სამინისტროში დავრეკავ-მეთქი. მერე დადგნენ ფეხზე, შეამოწმეს და მითხრეს, ვირუსი აქვს, გადასხმას გავუკეთებთ და სიცხე დაუკლებსო. ბავშვი 9 წელი მკურნალობის ქვეშ მყავდა, ცერებრალური დამბლა ჰქონდა, ექიმებს ვთხოვე, თბილისში გამატანეთ-მეთქი, მაგრამ რეანომობილი არ გამომიძახეს. დღეს დაუდგინეს თირკმლის გაუმტარობა, ფილტვების ანთება და შაქრის დაცემა. დღეს გარდაიცვალა ჩემი შვილი, – განაცხადა ინგა სანიკიძემ.

ოჯახი საავადმყოფოს თხოვნით მიმართავს, ბავშვის ცხედარი არ გაკვეთონ.

გარდაცვლილი ლუკა ბ.-ს ოჯახი ბათუმის მიმდებარედ ე.წ. ოცნების ქალაქში ცხოვრობს, სადაც 1000-მდე თვითნებურად შესახლებული ოჯახია. ოჯახს სოციალურად დაუცველის სტატუსი აქვს. (ინტერპრესნიუსი)



## ვლადიმერ გურგენიძე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტიდან განთავისუფლდა

ვლადიმერ გურგენიძე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტიდან განთავისუფლდა. პრემიერ-მინისტრის ბრძანება 23 ოქტომბრიდან გურგენიძის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ, მთავრობის ადმინისტრაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

საგარეო უწყების ინფორმაციით, ვლადიმერ გურგენიძემ პოსტი საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა.

ამ დროისთვის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეების თანამდებობებს მიხეილ ჯანელიძე (პირველი მოადგილე), დავით დონდუა, გიგი გიგიაძე, დავით ჯალაღანია და ხათუნა თოთლაძე იკავებენ. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# ვის მფარველობაში ადანაშაულებენ დეპუტატ ზურაბ ტყემალაძის ვაჟს?

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80


გივი კუბლაშვილი
ირაკლი გეგეშიძეს

**„რამდენადაც ჩვენთვის გახდა ცნობილი, შპს „ქვენიფელის“ დირექტორის ძმა მიხეილ ბიბილური (კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, 50% წილის მფლობელი) და ირაკლი გეგეშიძე წლების წინათ ყოფილან ბიზნესპარტნიორები. ეს ის ირაკლი გეგეშიძეა, რომელსაც დეპუტატ ტყემალაძის შვილი „კრიშავს“**

**მონიტორინგის ცენტრ „მედიატორში“ ამჯერად ბაღდათის რაიონის ადგილობრივ თვითმმართველობაში არსებულ კორუფციულ გარიგებებსა და ე.წ. „ატკატებზე“ საუბრობენ.**

**რაში იხარჯება ქვეყნის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მილიონობით ლარი და რას პასუხობს „ალიას“ კითხვებს თავად ბაღდათის გამგებელი?**

**„ალიას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წევრი, გივი კუბლაშვილი ესაუბრა:**

**— ბაღდათის გამგეობამ 2015 წლის 2 მარტს გამოაცხადა 1 000 000-ლარიანი ტენდერი, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო ბაღდათი-საკრაულის გზის 4-6-8 კმ მონაკვეთის რეაბილიტაცია. აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა კომპანიამ, „ბორანმა“ და შპს „ქვენიფელმა“.**

თანხების მიხედვით, გამარჯვებული გახდა კომპანია „ბორანი“ 930 000 ლარით, თუმცა გაურკვეველი მიზეზების გამო აღნიშნულ კომპანიას გამგეობამ მისცა დისკვალიფიკაცია. მიზეზად, მოთხოვნების ვერდაკმაყოფილება მოიტანა, რასაც „ბორანის“ ხელმძღვანელობა არ დაეთანხმა და გადაწყვეტილება გაასაჩივრა, თუმცა უშედეგოდ.

**— რა მოიმიზეზა გამგეობამ?**

– გამგეობამ კომპანია „ბორანის“ მიერ შესასრულებელი სამუშაოების არასაკმარისი გამოცდილება მოიმიზეზა. მას შემდეგ, რაც დოკუმენტაციას გავეცანით, ეს საკამათოა.

ტენდერის გამოცხადების დროს გამგეობას ტექნიკურ მოთხოვნებში არ ეწერა რამე კონკრეტული ღირებულების სამუშაოების შესრულების გამოცდილება, ანუ მოთხოვნილი იყო მხოლოდ ანალოგიური საქმიანობის შესრულების გამოცდილება და არა ანალოგიური საქმიანობის გარკვეული თანხით შესრულება. მხოლოდ მას შემდეგ მოითხოვა გამგეობამ 9 000 000 ლარის გამოცდილება, რაც „ბორანმა“ მიუტანა მისი გამოცდილების დამადასტურებელი საბუთები. უფრო რომ დავაკონკრეტოთ, „ბორანმა“ მიიტანა თითქმის 13 მილიონის გამოცდილება, თუმცა გამგეობამ უთხრა, რომ 6 მილიონი ლარის შესრულება კომპანიას ქვემოიჯარეების ხარჯზე აქვს მიღებული, რაც აბსოლუტურად გაურკვეველი და მიუღებელი არგუმენტია.

ამის შემდეგ, გამარჯვებულად, ბაღდათის გამგეობამ გამოაცხადა შპს „ქვენიფელი“, რომელიც აღნიშნული საქმიანობისთვის 950 000 ლარს ითხოვდა. გამგეობამ ხელშეკრულება დადო და სამუშაოებიც დაიწყო.

ამ ყველაფერში, თითქოს არაფერი მნიშვნელოვანი, მაგრამ ყველაზე საინტერესო ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შესრულებული სამუშაოს შემოწმებას მოჰყვა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სამხარაულის ექსპერტიზამ დადო დასკვნა, სადაც წერია, რომ აღნიშნული გზის მონაკვეთის შეკეთება, არა 950 000 ლარი, როგორც ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, არამედ გაცილებით ნაკლები დაჯდა, რაც თავად გამგებელმაც დაადასტურა ბაღდათის საკრებულოს სხდომაზე, თუმცა კონკრეტული თანხა არ დაუსახელებია და არც დასკვნის დოკუმენტს ასაჯაროებს.

ზემოთქმულმა ფაქტებმა გააჩინა ეჭვი, რომ პირველი კომპანიის დისკვალიფიცირება მიზანმიმართულად მოხდა, რადგან აშკარაა, რომ, თუ სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნაში მართლა არის მოყვანილი ის ფაქტი რაც ჩვენთვის გახდა ცნობილი, გამგებელი ირაკლი გეგეშიძე აშკარა კორუფციულ გარიგებაშია და სამუშაოებიდან ე.წ. „ატკატი“ აქვს აღებული.

**— რა იცით შპს „ქვენიფელზე“? რა კომპანიაა, ვისია და ა.შ. ვინ „კრიშავს“ ამ კომპანიას?**

– რამდენადაც ჩვენთვის გახდა ცნობილი, შპს „ქვენიფელის“ დირექტორის ძმა მიხეილ ბიბილური (კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, 50% წილის მფლობელი) და ირაკლი გეგეშიძე წლების წინათ ყოფილან ბიზნესპარტნიორები. ეს ის ირაკლი გეგეშიძეა, რომელსაც დეპუტატ ტყემალაძის შვილი „კრიშავს“. ამ საკითხზე გესაუბრეთ კიდეც „ალიას“ გასულ ნომერში (აღნიშნული ტყემალაძემ ჩვენთან საუბრისას უარყო. – დ.ლ.). შპს „ქვენიფელი“ არის თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში რეგისტრირებული. დაარსებულია 2012 წელს, დირექტორი გახლავთ ივანე ბიბილური.

**— რამდენად ხარისხიანად და დროში შეასრულა სამუშაოები შპს „ქვენიფელმა“?**

– ამაზე პასუხი უნდა გაეცეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ლაბორატორიის მიერ გაკეთებულ დასკვნას ვიხილავთ, რასაც გამგებელი არაფრით არ თმობს.

**— სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს ვინ მიმართა?**

– რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია და ეს ინფორმაცია სამხარაულის ბიურომაც დაგვიდასტურა, ექსპერტიზის ბიუროს თავად გამგეობამ მიმართა. თუმცა მოკვლევის აუცილებლობის მიზეზი უცნობია.

**— სამხარაულის ექსპერტიზის ბიურო რატომ არ ასაჯაროებს დასკვნებს?**

– სამხარაულის ბიუროს არ აქვს უფლება ექსპერტიზის შემკვეთის გარეშე გასაჯაროების.

**— თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, რა დაჯდა რეალურად ეს სამუშაოები? ანუ რამდენი „მოტეხეს“?**

– რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, სამუშაოების შესრულება არათუ 950 000 ლარი არამედ 500 000 ლარამდე დაჯდა, ამას, თავისთავად, არ ვამბობთ მტკიცებით ფორმაში. ამას მოკვლევა სჭირდება.

**— რას ითხოვთ?**

– მოვითხოვთ, აღნიშნული ფაქტით დაინტერესდეს სახელმწიფო აუდიტი და გამგეობაში დანაშაულებრივი ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში, ჩაერთოს ანტიკორუფციული სააგენტო.

**— უამრავჯერ მიმართეთ პროკურატურას, სარევიზიო კომისიებს სხვადასხვა საქმეებზე და თუ მოჰყვა რომელიმეს შედეგი? თუ არა, თუ მოიკითხეთ ეს საქმეები და რას გისახელებენ მიზეზად?**

– პროკურატურა ჩვენ მიერ შეტანილ განცხადებებზეც რატომღაც დუმს, მიზეზად კი უამრავ საქმეს ასახელებს, თითქოსდა არ ჰყოფნით არც ადამიანური რესურსი და არც დრო. ამიტომაც, ამჯერად ჩვენ მივმართავთ ანტიკორუფციულ სააგენტოს.

**„ალია“ ბაღდათის გამგებელს, ირაკლი გეგეშიძეს დაუკავშირდა:**

– პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ მე სატენდერო საკითხებში არ ვერევი და შესაბამისად, ვერავის გავამარჯვებინებდი. ამისთვის არსებობს სპეციალური სატენდერო კომისია.

**— რატომ მიმართეთ სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს საკითხის კვლევის თხოვნით? თქვენც რაიმემ დაგაეჭვათ ფინანსურ საკითხთან დაკავშირებით?**

– სათანადო თხოვნა, თუ მომართვა იყო საკრებულოს სათანადო კომისიისგან. გვთხოვეს გადაგვემოწმებინა მიმდინარე სამუშაოები, თითქოს ვიღაცის საჩივარზე. შემდეგ კი, როცა გადავამოწმეთ, საჩივარი არ არსებობდა. თითქოს, ვიღაცამ სიტყვიერად გამოთქვა უკმაყოფილება ფასზე. რომ არ ყოფილიყო საკითხი სადავო, მივმართეთ სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს.

**— რა დასკვნა დადო ბიურომ?**

– დასკვნაში წერია, რომ ვინაიდან არ არსებობს ამის კვლევის მეთოდიკა, ამას ვერ დაგიდასტურებთო.

**— კუბლაშვილის ინფორმაციით, ამ გზის სარემონტო სამუშაოების შესრულება ბევრად უფრო იაფი დაჯდა, ვიდრე 950 000 ლარია.**

– ალბათ, კუბლაშვილს ამბიცია აქვს, რომ სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროზე უფრო კომპეტენტური იყოს. ვინც არ უნდა იყოს ადამიანი, გინდა „მედიატორის“ და გინდაც გლადიატორის წარმომადგენელი, ასე არ უნდა ისროდეს სიტყვებს უსაფუძვლოდ. მოსთხოვოს ბიუროს დასკვნა და ნახოს, იქ რა წერია.

**— როგორც ამბობს, მოითხოვა, მაგრამ დამკვეთის ნებართვის გარეშე არ მიაწოდეს.**

– მე მომმართოს და მე მივაწვდი.

**— ირაკლი გეგეშიძე აშკარა კორუფციულ გარიგებაშია და სამუშაოებიდან ე.წ. „ატკატი“ აქვსო აღებული — ამასაც ამბობს კუბლაშვილი.**

– რა სისულელეა! ეს გივი ცნობილი პიროვნებაა, აქაც გვინახავს პირადად, ცნობილი დემაგოგია, ამიტომ მე მის ნასაუბრებზე სერიოზულ კომენტარს ვერ გავაკეთებ.

**— „შპს „ქვენიფელის“ დირექტორის ძმა მიხეილ ბიბილური და ირაკლი გეგეშიძე წლების წინათ ყოფილანო ბიზნესპარტნიორები“. ამ საკითხზე რას გვეტყვით?**

– მე ათობით კომპანიაში მქონია წილები, ბიზნესები, მაგრამ ასეთი გვარი არ მახსოვს.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „დედამ რომ გაიგო, მისმა შვილმა მეზობელი მოკლა, ინსულტი დაემართა, არავინ იცის, გადარჩება თუ არა“



ქუთაისში ავტოქარხნის ტერიტორიაზე მომხდარმა მკვლელობამ ე.წ. ლტოლვილთა კორპუსი შეძრა, – 18 წლის გ.კ. 30 წლის შავლეგ გ-მ დანით დაჩეხა, შემდეგ გასისხლიანებული მიატოვა და მიიმალა. ფაქტი მით უფრო ამაზრზენია, რომ მოკლული და მკვლელი მეზობლები არიან და თურმე ოჯახებით ახლობლობდნენ კიდეც. ისინი ერთ კორპუსში პირველ და მესამე სართულებზე ცხოვრობდნენ. ტრაგედიის დეტალებს კორპუსის ერთ-ერთი მაცხოვრებელი მოგვიყვა.

ო.ლ:

– ყველა შეძრული ვართ მომხდარით. უმეტესობა ამ კორპუსში მცხოვრებნი კოდორიდან ლტოლვილები ვართ, ერთმანეთს ვერ ვშორდებით და ერთმანეთის ყველაფერი ვიცით. თუმცა ის არ ვიცით, რა საქმე უნდა ჰქონოდა 18 წლის ბიჭთან 30 წლის კაცს, რა უნდა დაეშავებინა ამ პატარა ბიჭს ისეთი, სასიკვდილოდ რომ გაიმეტა?! თანაც, ისე მოკლა, იმასაც რომ ვერ იტყვი, ტვინი რაღაცამ აურიაო, თურმე ჩაფიქრებული ჰქონია და საწყალს კორპუსის ეზოში დანით დახვდა, ჯერ უთქვამს, – სიგარეტი არ გაქვთ, მომაწევინეთ, ბიჭებოო.

– ანუ გარდაცვლილი მარტო არ იყო?

– ამხანაგთან ერთად იყო. გარდაცვლილი წესიერი ბავშვი იყო, სკოლა არ დაამთავრა, პროფესიულ სასწავლებელში შევიდა, – ვიმუშავებ და ცოტა ფული მექნებაო. ახლა დალხინებულად არავინ ცხოვრობს, სახლში კიდევ 2 დედმამიშვილი ჰყავს, ეტყობა, იფიქრა, ოჯახს დავეხმარებიო.

– მკვლელობა სიგარეტის გამო მოხდა?

– სიგარეტი არაფერ შუაშია, ბიჭებმა რომ უთხრეს, იმ უნამუსოს, არა სიგარეტი არ გვაქვსო, – მაინც გზაზე გადაუდგა, – არა უშავს, მაშინ აქვე მაღაზიაში წამომყევით, მარტო წასვლა მეზარება, თან ლუდსაც ვიყიდიო. ესენიც გაჰყვნენ მორჩილად, რას მოიფიქრებდნენ, რომ მაღაზიაში მოსაკლავად მიერეკებოდა.

ის მაღაზია, რომელშიც ლუდი იყიდეს, ორად არის გაყოფილი, ერთ ნაწილში დახურული კაფეა. მკვლელმა ლუდის ყიდვის შემდეგ ბიჭები ამ კაფეში შეიყვანა და მოკლულის ამხანაგს უთხრა, – ცოტა ხანს გადი, ამას უნდა დაველაპარაკოო. ესეც გამოვიდა, აზრზეც ვერ მოვიდა, რა ხდებოდა. რა აფიქრებინებდა, რომ ამხანაგს დანით დაუჩეხავდნენ. იდგა თურმე და ელოდებოდა, როდის გამოვლენო. ამასობაში კაფეში სკამის წაქცევის ხმა გაიგონა და მაინც შევარდა. შევარდნისთანავე იმხელა იღრიალა საწყალმა, – მიშველეთო, რომ გამყიდველიც შეჰყვა.... საშინელი სურათი დახვდათ, მკვლელი ბიჭს თავზე ადგა და ჩეხავდა. ისეთი გამხეცებული იყო, თურმე ახლოს ვერ მიეკარნენ. გამყიდველი კიოდა, შველას ითხოვდა, მაგრამ ხალხი და სასწრაფო რომ მივიდა, მათ მოსვლასაც აღარ ჰქონდა აზრი, ბიჭი მკვდარი იყო...

– თუ მკვლელი დანით ჩასაფრებული ელოდებოდა მსხვერპლს, გამოდის, რომ მკვლელობა დაგეგმილი იყო. რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამის მიზეზი, შურისძიება? იქნებ წინასწარ რაიმე უსიამოვნება ჰქონდათ?

– რა ინციდენტი უნდა მოუვიდეს 30 წლის კაცს მასზე 12 წლით უმცროს ბიჭთან, თუკი ის ადამიანურად ცხოვრობს?

– მკვლელობაში ბრალდებულს ფსიქიკური პრობლემები ხომ არ ჰქონდა?

– მაგის არაფერი ეტყობოდა. აქ ყველა ყველას ვიცნობთ და ეგ არ გამოგვეპარებოდა. ოჯახიც ჰქონდა შექმნილი, 3 თვის შერთული ცოლი ჰყავს და გიჟი რომ ყოფილიყო, ხომ არ გაუჩერდებოდა! მაგან ყველა დაასამარა თავის გარშემო, ვინც დანით დაჩეხა, მისი დედა ხომ სამუდამოდ დაასამარა, თავისი საკუთარი დედაც შეიწირა, ამ უკანასკნელმა რომ გაიგონა, მეზობლებისთვის შვილი მოუკლავთო, გიჟივით შევარდა მათ ბინაში და კიოდა, – ვინ გაგიმეტა, შვილო, დანა ვინ დაგარტყაო. ის კი არ იცოდა, რომ მისმა შვილმა გაიმეტა. დედამ რომ გაიგო, მისმა შვილმა მეზობელი მოკლა, ინსულტი დაემართა, არავინ იცის გადარჩება თუ არა.

P.S. შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქუთაისში მომხდარ ფაქტზე დაკავებულია შავლეგ გ. გამოძიება საქართველოს სსკ-ს 108-ე, განზრახ მკვლელობის მუხლით მიმდინარეობს. (kvirispalitra.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ეუთომ და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ თურქეთში ჩატარებული არჩევნები ნეგატიურად შეაფასეს



ეუთომ და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ თურქეთში ჩატარებული არჩევნები ნეგატიურად შეაფასეს. როგორც „დოიჩე ველე“ წერს, ამის შესახებ ერთობლივ ანგარიშშია საუბარი. საპარლამენტო ასამბლეის დეპუტატის, ანდრეას გროსის განცხადებით, თურქეთში წინასაარჩევნო კამპანია არასამართლიან გარემოში, დაშინების ფონზე ჩატარდა. თავის მხრივ, ეუთო-ს წარმომადგენელმა, იგნასიო სანჩეს ამორმა აღნიშნა, რომ მედიაზე ზეწოლა განხორციელდა.

„დოიჩე ველე“ აღნიშნავს, რომ ანალოგიური განცხადებები აშშ-შიც გაკეთდა. თეთრმა სახლმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ თურქეთში, ოპოზიციურად განწყობილ მედიასაშუალებებსა და ჟურნალისტებზე ზეწოლა ხორციელდებოდა.

თურქეთში, კვირას ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის პარტიამ გაიმარჯვა. მმართველ გუნდს არჩევნებში მონაწილეთა 49,4 პროცენტმა დაუჭირა მხარი. (ინტერპრესნიუსი)

## „სტრასბურგის სასამართლოს დასკვნით, ბესლანში 344 ბავშვი რუსი სპეცრაზმელების ბრალეულობით დაიხოცა“



სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ბესლანში ბავშვები არა ჩეჩენი მოჯაჰედების, არამედ რუსი სპეცრაზმელების ბრალეულობით დაიხოცნენ.

ამის შესახებ „კავკაზ ცენტრი“ ვარშავაში გამომავალ გაზეთ „Gazeta Wyborcza“-ზე დაყრდნობით წერს.

როგორ ირკვევა, ევროპული სასამართლოს მოსამართლეების დასკვნით, მოსკოვმა ვერ წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულებები, რომ 344 ბავშვი ბესლანში ჩეჩენმა მოჯაჰედებმა დახოცეს.

– ადამიანის უფლებათა სასამართლომ საფუძვლად 2004 წლის 1-ელ სექტემბერს დახოცილი ბავშვების მშობლების საჩივრები გამოიყენა, რომელიც 2007 წელს იქნა წარდგენილი. სასამართლომ არასაკმარისად მიიჩნია მტკიცებულებები იმისა, თითქოს ბავშვები ჩეჩენი მოჯაჰედების ბრალეულობით დაიხოცნენ, სამაგიეროდ მოიპოვება უამრავი მტკიცებულება იმისა, რომ პატარების სიცოცხლე რუსი სპეცრაზმელების მიერ განხორციელებულმა აფეთქებებმა შეიწირა, – ნათქვამია სტატიაში. (accent.com.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## დიმიტრი პესკოვი — სირიაში რუსეთის სამხედრო ოპერაცია და ეგვიპტეში მომხდარი კატასტროფა სხვადასხვა საკითხებია



– სირიაში რუსეთის სამხედრო ოპერაცია და ეგვიპტეში მომხდარი კატასტროფა სხვადასხვა საკითხებია, რომლის ერთმანეთთან დაკავშირება საჭირო არ არის, – ეს განცხადება პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა გააკეთა და დასძინა, რომ აღნიშნულ საკითხზე ბევრი სპეკულაციაა.

დიმიტრი პესკოვის ინფორმაციით, ვლადიმერ პუტინი 4 ნოემბერს, ეროვნული ერთობის დღეს, სანქტ-პეტერბურგში არ ჩავა, რადგან ღონისძიებები მოსკოვში აქვს დაგეგმილი.

პესკოვის ამ განცხადების პარალელურად, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ეგვიპტეში, რუსული სამგზავრო თვითმფრინავის ჩამოვარდნის ადგილზე მომუშავე ექსპერტებმა აღმოაჩინეს ელემენტები, რომლიც ლაინერის კონსტრუქციას არ ეკუთვნის. ამის შესახებ რუსული სააგენტო „ტასი“ საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით იტყობინება. წყაროს თანახმად, ნაპოვნი ელემენტები ექსპერტიზაზეა გადაგზავნილი.

მანამდე სააგენტო „ინტერფაქსმა“ წყაროებზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, სპეციალისტებმა ლაინერის ეკიპაჟისა და დისპეტჩერის საუბარი გაშიფრეს. საუბრიდან ირკვევა, რომ ავიაკატასტროფამდე ცოტა ხნით ადრე თვითმფრინავის ბორტზე ფრენისთვის არადამახასიათებელი ხმაური გაისმა.

წინასწარი ვერსიით, ლაინერის ჩამოვარდნის მიზეზი ტექნიკური გაუმართაობა გახდა. ავიაკომპანია „კოგალიმავია“ ამტკიცებს, რომ ავიაკატასტროფა გარე ზემოქმედებამ გამოიწვია.

ამერიკული ანალიტიკური სააგენტო „სტრატფორი“ კი არ გამორიცხავს, რომ ლაინერის ჩამოვარდნის მიზეზი ბორტზე მომხდარი აფეთქება იყო. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## მამუკა გორგოძე მსოფლიო რაგბის „საოცნებო გუნდის“ წევრად დასახელდა



რაგბის მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებისთანავე, რომელიც ახალი ზელანდიის გამარჯვებით დასრულდა, Rugby World Cup-ისა და ტურნირის სპონსორის „სოსიეტე ჟენერალის“ 2015 წლის მსოფლიო თასის ერთობლივი „საოცნებო გუნდი“ (Dream Team) დასახელდა, რომელშიც 6 ნომრის პოზიციაზე ქართველი ბორჯღალოსანი მამუკა გორგოძეა წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, წლევანდელ მსოფლიო თასზე ტონგასთან და ახალ ზელანდიასთან მატჩის საუკეთესო მორაგბედ, სწორედ მამუკა გორგოძე აღიარეს. (ნიუპოსტი)



## 35 დაღუპული და ათობით დაშავებული — ნეპალში ავტობუსი ხევში გადაიჩეხა

ნეპალში ავტოკატასტროფის შედეგად მინიმუმ 35 ადამიანი დაიღუპა, ათობით კი დაშავდა. „ბიბისის“ ინფორმაციით, სამგზავრო ავტობუსი გზიდან გადავიდა და 200 მეტრის სიღრმის ხევში გადავარდა. ტრაგიკული შემთხვევა დედაქალაქ კატმანდუდან 85 კილომეტრში მოხდა.

სამართალდამცავი ორგანოების ცნობით, ავტობუსი მგზავრებით იყო სავსე, რამდენიმე მგზავრი ავტობუსის სახურავზეც იჯდა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა..

## უკრაინის გენერალურ პროკურორზე თავდასხმა სცადეს



კიევში გენერალურ პროკურორზე თავდასხმა სცადეს. ამის შესახებ უკრაინის უშიშროების სამსახურის პრესმდივანმა ელენა გიტლიანსკაიამ განაცხადა. მისივე თქმით, ვიქტორ შოკინის კაბინეტი უცნობმა პირებმა დაცხრილეს. ინციდენტისას გენერალური პროკურორი უწყების ხელმძღვანელ პირებთან თათბირს ატარებდა. თავდასხმის შედეგად არავინ დაშავებულა. სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია. (ghn.ge)



## თელავში 33 წლის მამაკაცმა თავი ჩამოიხრჩო

ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანში მცხოვრებმა 33 წლის მამაკაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მამაკაცმა თელავში თავი ჩამოიხრჩო.

არსებული ინფორმაციით, მან თავის მოკვლა ადრეც სცადა. თვითმკვლელობის მიზეზი უცნობია. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# ეკლესიის მოძღვარი ილიაუნის დირექციის წინააღმდეგ

*ნინო ლაბარტყავა*
*571 99-92-33*



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოქვეყნებული მკრეხელური „სურათის“ ირგვლივ, რომელზეც მიდგომილი ღვთისმშობელი თავს იკლავს(!!!), აღშფოთება არ ცხრება. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ამ „ნახატს“ ქვეყნისა და სარწმუნოების შეურაცხყოფა უწოდა. ილიაუნის აკადემიურმა საბჭომ კი საპასუხო განცხადება გამოაცხო, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების თანახმად, ვალდებულია, უზრუნველყოს პროფესორის აკადემიური თავისუფლება, რაც გულისხმობს მეცნიერული ინტერესის მქონე ნებისმიერ თემაზე მსჯელობის შესაძლებლობას; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საზოგადოებას არასოდეს ჰქონია ვინმეს შეურაცხყოფისა და სამოქალაქო სიმშვიდის დარღვევის განზრახვა; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის დაიცავს თავისი პროფესორებისა და სტუდენტების გამოხატვის თავისუფლებას ნებისმიერი ინსტიტუტის ცენზურისგან; ადამიანებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათი უფლებები დაირღვა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული კონფერენციით, აქვთ შესაძლებლობა, მიმართონ შესაბამის სამართლებრივ გზებს.





**„ალია“ ჯვართამაღლების ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი მამა თეოდორე გიგნაძე ესაუბრა:**

**— მამაო, როგორ ფიქრობთ, რას ემსახურებოდა ამ „ნახატის“ უნივერსიტეტში გამოფენა? ილიაუნში ადრეც ყოფილა დაახლოებით, მსგავსი ფაქტები, იგივე მკრეხელური შინაარსის „ნაწარმოებების“ პრეზენტაცია რომ ავიღოთ.**

– ძალიან მსუბუქად რომ ვთქვათ, ეს არის უკულტურობის გამოვლინება. მეორე: ეს არის ვერცოდნა და ვერ გაგება ქართველი ერისა. მე ისტორიკოსი არ ვარ, მაგრამ ვიცი, რომ საქართველოს ისტორიაში ბევრჯერ ყოფილა უცხო სახელმწიფოების მხრიდან ერთგვარი „შემოთავაზება“ – ჩვენ კომფორტს შეგიქმნით და თქვენი კულტურა და სჯული უარყავითო. ამათ ჰგონიათ, რომ ეს ე.წ. დასავლური კულტურა, ამერიკული ცივილიზაცია ჩვენთვის იმდენად მისაღებია, რომ საკუთარი სიწმინდეების შეურაცხყოფას შევეგუებით. სურთ, „ერთი მუჭა“ ვიღაცა „ბნელი მართლმადიდებლები“ მარგინალები გახადონ და ამით გაიმარჯვონ, მაგრამ მე მინდა ყველას ვუთხრა, ეს ადამიანები, ვინც ასე მოიქცა, თავად გახდებიან ცოტა ხანში მარგინალები, როგორც თავის დროზე საქართველოს გასაბჭოებაში მონაწილე ქართველები გახდნენ. ამიტომ ისინი ვერაფერს მიაღწევენ, მაგრამ სამწუხაროა იმ თითოეული ადამიანის ხვედრი, რომელიც ასე იმძიმებს საკუთარ ხვედრს, შეურაცხყოფს ღვთისმშობელს, რომლის შეურაცხყოფასაც თავის დროზე მუსლიმანი და მონღოლი დამპყრობლებიც კი ერიდებოდნენ. არ ვიცი, ამას რა დავარქვა... ამ საკითხში ესეც მინდა ვთქვა: გავრცელებული საზიზღარი კადრებით, სადაც ადამიანთა შეურაცხყოფა იყო, ჩვენ, სამწუხაროდ, მთელ მსოფლიოში მოვიჭრით თავი ისევე, როგორც თავს ვიჭრით ჩვენი ქართველებით, რომლებიც ევროპაში ქურდობენ, როგორც ჩვენი ბიჭების მიერ საკუთარი დედის გინებით. ახლა ეს მკრეხელობაც დაემატა – თავი მოვიჭერით საკუთარ სულში ჩანერწყვებით!

**— მართალია, ეს „სურათი“ ადრეც არსებობდა, მაგრამ მისი გამოფენა ილიაუნში სულ ახლახან მოხდა.**

– დიახ, ეს „სურათი“ დიდი ხანია არსებობს, მაგრამ მაშინ ის სოციალურ ქსელში ვრცელდებოდა ვიღაც ადამიანების მიერ. მაგრამ როდესაც ეს უკვე უნივერსიტეტში იქნა გამოფენილი, ეს არის მკრეხელობის იდეოლოგიის რანგში აყვანის მცდელობა! ეს უკვე სახელმწიფოებრივი დანაშაულია, რადგან იწვევს დესტრუქციულ მოქმედებას და ადამიანებს ერთმანეთს უპირისპირებს!

**— ხალხში დიდი აღშფოთება გამოიწვია ამ „სურათმა“. იყო თუ არა ეს გამიზნული პროვოკაცია?**

– ყველამ იცის, რომ ამით გამოიწვევდნენ მორწმუნე ქრისტიანების აღშფოთებას. სახარებაში რომ არის – ღმერთის არა რცხვენოდა, კაცის არ ეშინოდაო, ამათ შემთხვევაში ზუსტად ასეა, ღმერთის არ რცხვენიათ და კაცის არ ეშინიათ. მოკლედ, ღმერთის არ სწამთ, ჩვენი არ ეშინიათ, მაგრამ ის მაინც ხომ იციან, რომ საზოგადოებაში ამას განხეთქილება შეაქვს? ჩვენ გვახსოვს, ერთერთმა მწერალმა საკუთარი დედის შეურაცხყოფა აღწერა თავის წიგნში. როცა ადამიანს შეუძლია, საკუთარ დედაზე ამგვარი რამ წეროს, როცა ადამიანს შეუძლია, მთელი მსოფლიოს დედაზე, ღვთისმშობელზე ამგვარი რამ გააკეთოს, ეს ამ ადამიანების პირადი პრობლემაა, მაგრამ, როდესაც ეს განათლებული, ინტელექტუალი ხალხი (უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ვგულისხმობ) ამას საჯაროდ უწყობენ გამოფენას, ისინი სერიოზული დამნაშავეები არიან ერის წინაშე! რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში, ისტორია ამათ თავის ადგილს მიუჩენს.

**— ილიაუნის დირექციას რომ მოუსმინოთ, ეს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაა...**

– მღვდელი ვარ და ასეთი მაგალითის მოყვანა მიჭირს, მაგრამ მე რომ რომელიმე მათგანის ოჯახის წევრის ფოტო საჯარო დაწესებულებაში გამოვამზეურო შეურაცხმყოფელ მდგომარეობაში, ეს კარგი იქნება? მოეწონებოდათ? ესეც ხომ მაშინ გამოხატვის თავისუფლებაა?! როდესაც ორჯონიკიძე აქ არმიას მოუძღვებოდა, რას ამბობდა, რა ტერმინებით საუბრობდა, როგორ იყო ამ საუბრებში თავისუფლება, დემოკრატია, ხალხზე ზრუნვა, სამშობლო... გაოგნდებით, ის ყველაფერი როგორი ლამაზი სიტყვებით იყო შენიღბული, მაგრამ ჩვენ ვიცით სინამდვილეში, რა მოჰყვა ამას. ანუ მთავარი ის კი არ არის, რას ამბობენ, მთავარია, რომ ეს ქმედება, იდეოლოგიის რანგში აყვანილი მკრეხელობა, დესტრუქციის მცდელობაა, რადგან ეს იწვევს ბზარებს ერის ორგანიზმის მთლიანობაში. როგორც არ უნდა გაამართლონ და როგორი ლიბერალურ-დემოკრატიული ტერმინოლოგიითაც არ უნდა შეალამაზონ, მათი ქმედება არის დანაშაულებრივი!

ღვთისმშობელი არის მთელი ევროპული რენესანსის შთაგონების წყარო, ხალხო! ეს ადამიანები უბრალოდ, ველურები არიან, კაციჭამია ტომის წარმომადგენლებიც კი არ შეურაცხყოფდნენ ღვთისმშობელს ასეთ მდგომარეობაში! მე კომუნისტურ პერიოდში ვარ გაზრდილი, კაცო, ათეისტებსაც ვიცნობდი და მსგავსი არაფერი მინახავს! ეს რა კოშმარია?! და ამ ყველაფრის იდეოლოგები არიან პედაგოგები, რომლებმაც მომავალი პედაგოგები უნდა აღზარდონ!

**— სოციალურ ქსელს რომ თავი გავანებოთ, არ უნდა იყოს კონტროლი, რომ უნივერსიტეტში მაინც არ ხდებოდეს ასეთი რამ?**

– დიახ, ეს ყველაფერი არის საშინელება და საბოლოო ჯამში, ესენი ვერ ხვდებიან, რომ ისინი საკუთარ მარადიულ სიცოცხლეს წირავენ, დღეს არიან, ხვალ გარდაიცვლებიან და პასუხს აგებენ ღმერთის წინაშე. მართლა მეცოდებიან... ამქვეყნიური თვალსაზრისითაც, ეს ყველაფერი მათ შვილებს, მათ შვილიშვილებს მოუბრუნდებათ, მათ ოჯახებში შემოვა ეს უბედურება. საერთოდ, ადამიანის ბუნება ასეთია: როდესაც ის ღმერთს წყდება, ხორცით ცხოველს ემსგავსება და სულით – ეშმაკს. თქვენ განსაჯეთ, რა მდგომარეობაშია მათი სულები, ვინც ასეთ წარმოუდგენელ მკრეხელობას სჩადის!

**— რა შეიძლება ხალხმა ასეთ დროს გააკეთოს? ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ჩვენს რელიგიურ გრძნობებს შეურაცხყოფს და ამას „გამოხატვის თავისუფლებით“ ამართლებს.**

– მე ვფიქრობ, ქრისტიანმა უნდა გააძლიეროს სულიერი ცხოვრება, რადგან სინათლეს ისეთი ძალა აქვს, რომ მას ბნელი ვერ ერევა. რაც შეეხება სხვა სანქციებს, სხვა მხარეს – ეს უკვე სახელმწიფოს საზრუნავია. მე ვფიქრობ, რომ სახელმწიფო, რომელიც თავის წიაღში ასეთი სასწავლებლის არსებობას, ან სასწავლებელში ამგვარი დირექციის არსებობას უშვებს, ამით სახელმწიფო დასუსტდება. როგორც იურისტები ამბობენ, ცნობილ ევროპულ ქვეყნებში, იგივე გერმანიაში, ასეთი ქმედება არის დასჯადი და ამას ვერავინ გაბედავს! საფრანგეთში რომ არ არის დასჯადი, რა შედეგებიც მიიღეს, კი ვიცით.

**— დიახ, არც ისე დიდი ხნის წინ გავხდით იმ ტრაგედიის მომსწრენი, რაც გამომცემლობა „შარლი ებდოს“ თანამშრომლების თავს დატრიალდა მათ მიერ გამოქვეყნებული კარიკატურების გამო...**

– იქაც დაიწყეს ჯერ ქრისტიანული სიწმინდეების შეურაცხყოფა, მერე გადავიდნენ ისლამზე. ქრისტიანებს ამაზე რეაქცია არ ჰქონდათ, რადგან ბოროტებას ბოროტებით არ პასუხობენ, მაგრამ ისლამის შეურაცხყოფით რაც მიიღეს, კი ნახეს. ეტყობა, ესენიც ასე აპირებენ: თუ ქრისტიანობის შეურაცხყოფა შედეგს არ გამოიღებს, არ არის გამორიცხული, სხვა რელიგიების შეურაცხყოფა დაიწყონ, რასაც ძალიან მძიმე შედეგები მოჰყვება! მოკლედ, არ ვიცი, ეს ადამიანები ჩვენი სახელმწიფოს მტრები არიან! კიდევ ერთი ნიუანსი: ძალიან ბევრი ადამიანი წუხს იმაზე, რომ ქართველ მოსახლეობას რუსეთის მიმართ სიმპათიები უჩნდება და უძლიერდება. როცა მე ასეთ პრეტენზიას მეუბნებიან, მეღიმება და ვპასუხობ, – მერედა, ვერ ხვდებით, ამაში ვინ არის დამნაშავე-მეთქი? აბა, ნახეთ სტატისტიკა: 2003 წლამდე ქართველ კაცს რუსეთს ვერ გააგონებდი, ხოლო 2003 წლის მერე, როდესაც ეს აღვირახსნილობისა და უზნეობის ქადაგების კამპანია დაიწყო და რასაც დასავლეთს უკავშირებდნენ, რადგან დასავლელი „ენჯეოები“ ქადაგებდნენ ამ უბედურებას, ამან გამოიწვია ხალხის შინაგანი აღშფოთება და დაიწყო სიმპათიის ვექტორის ჩრდილოეთით წანაცვლება. ყველაზე საოცარი იცით, რა არის? ისევ სტატისტიკური მონაცემები რომ ვნახოთ, 2008 წლის ომის შემდეგ, ეს სიმპათია კიდევ უფრო გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი აგრესორი და დამპყრობელია! რატომ? არსებობს ღირებულებათა და ფასეულობათა იერარქია: სამშობლო, მიწა, არის დიდი ფასეულობა, მაგრამ ეს არ გადაფარავს კიდევ უფრო დიდ ფასეულობას, რასაც ადამიანური ღირსება და მარადიული სიცოცხლე ჰქვია! შენ რომ მოდიხარ, ჩემს ადამიანურ ღირსებას ლახავ და ფოჩიან კანფეტად მაწვდი ჩემი სამშობლოს ვითომ თავისუფლებას, ქართველი კაცის შინაგანი ბუნება ამას უარყოფს. ამიტომ დღეს თუ ვექტორი ჩრდილოეთისკენ არის წანაცვლებული, ეს მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთის ე.წ. მომხრეების ბრალია და თვითონ დასავლეთის დისკრედიტაციას ახდენენ, თითქოს ევროპა არის ჰომოსექსუალიზმი, სიწმინდეების შეურაცხყოფა და სხვა არაფერი... მე არ ვიცი, სად გამოიჩეკნენ ასეთი ადამიანები, ჩვენი კულტურის და ყოველგვარი სიწმინდის ასეთი მოძულეები. მე კითხვა მიჩნდება: ამ ადამიანებისთვის საერთოდ რაიმე არის წმინდა?!

# ღარიბაშვილის სანათესაო კვლავ სკანდალშია: ვინ მიითვისა 3 მილიონამდე თანხა — 4 შვილის დედამ თუ ჯანყარაშვილის მეგობარმა?

ურთიერთბრალდებები წყალმომარაგების კომპანიიდან 3 მილიონამდე თანხის მითვისებაზე. პრემიერის ნათესავის, ზვიად ჯანყარაშვილის მეგობარი, არჩილ ცაბუტაშვილი კატეგორიულად უარყოფს ყველა იმ ბრალდებას, რომელიც კომპანიის მთავარმა ბუღალტერმა მის მიმართ გამოთქვა.

კერძოდ, ბუღალტერი თამარ ფხოველიშვილი, რომელიც თებერვალში მეუღლესთან და კიდევ ერთ პირთან ერთად დააკავეს, ამბობს, რომ კომპანიიდან თანხების მოპარვის სქემა არჩილ ცაბუტაშვილმა მის მოადგილესთან, კახა სოლოღაშვილთან ერთად დაგეგმა.

ბრალდებულმა დუმილი 2 ნოემბერს დაარღვია და ასევე აღნიშნა, რომ ამ სქემაში მონაწილეობა ცაბუტაშვილმა შესთავაზა და უარი შვილის მძიმე ავადმყოფობის გამო ვერ თქვა. ბრალდებულის ინფორმაციით, კომპანიიდან მითვისებული თანხებიდან 20% შეთანხმების მიხედვით მისი იყო, ხოლო უშუალოდ ცაბუტაშვილთან პირადად აქვს მიტანილი 1 700 000 ლარი.

თამარ ფხოველიშვილის თქმით, წყალმომარაგების კომპანიის მაშინდელი დირექტორი ზვიად ჯანყარაშვილის ახლო მეგობარი და ნათესავია და დანაშაულებრივი სქემის განხორციელებაში „მწვანე შუქი“ ცაბუტაშვილს სწორედ ჯანყარაშვილმა აუნთო.

გამოძიებაში ცაბუტაშვილი დაკითხეს, თუმცა, როგორც საქმის პროკურორმა განმარტა, მის მიმართ ამ დროისთვის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა. პროკურორმა მაია სამადაშვილმა ისიც თქვა, რომ არც ჯანყარაშვილის საწინააღმდეგო მასალები აქვს გამოძიებას. თუმცა, უკვე დაკავებული პირების საქმიდან გამოყოფილია სხვა საქმე, რომელზეც გამოძიება გრძელდება და არ არის გამორიცხული, თანხების მითვისების საქმეში სხვა პირების დანაშაულიც გამოიკვეთოს.

გარდა ამისა, ambebi.ge-მ დაცვის მხარისგან მიიღო ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, ცაბუტაშვილი, რომელიც წყალმომარაგების კომპანიიდან რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილედ დაინიშნა, კომპანიაში მუშაობისას საკმაოდ მდიდრულად ცხოვრობდა.

„მან იყიდა 135-ათასიანი ავტომობილი „ლენდ კრუიზერი“, რომელიც სამინისტროში გადასვლის შემდეგ წაიყვანა და სამინისტროს ბალანსზე გადააფორმა. გარდა ამისა, მას ეკეთა 40-ათასიანი საათი და შეიძინა 40-ათასიანი ძაღლი ბოო. საზღვარგარეთ, რესტორანში დახარჯა 3 ათასამდე დოლარი“, – აცნობეს ambebi.ge-ს დაცვის მხარის წარმომადგენლებმა.



თამარ ფხოველიშვილი, რომელიც 3 მილიონამდე თანხის მითვისების გამო დააკავეს და დღემდე მეუღლესთან ერთად პატიმრობაშია, ამბობს, რომ 30 წელია ცაბუტაშვილთან მეგობრობს. არჩილ ცაბუტაშვილი რამდენიმე კვირის წინ სასამართლოშიც დაიკითხა მოწმის სახით, თუმცა მან თქვა, რომ დანაშაულებრივ სქემასთან არანაირი შეხება არ აქვს.

**ფხოველიშვილის ჩვენების შემდეგ ჩვენ წყალმომარაგების კომპანიის ყოფილ დირექტორსა და მინისტრის ყოფილ მოადგილეს არჩილ ცაბუტაშვილს დავუკავშირდით, რომელიც ფხოველიშვილისა და ზოგადად, დაცვის მხარის ინფორმაციას აბსურდს უწოდებს:**

**— ბატონო არჩილ, თამარ ფხოველიშვილმა ჩვენებისას აღნიშნა, რომ მითვისებული 3 მილიონამდე ლარიდან, 1 მილიონ 700 ათასი ლარი პირადად აქვს თქვენთვის გადმოცემული. ასეა?**

– ეს ცილისწამებაა, მეტი რა გითხრათ.

**— ის ამბობს, რომ მეგობრები იყავით და სწორედ ამიტომ დასთანხმდა დანაშაულებრივ სქემას...**

– ეს არის სისულელე, 4 შვილის დედა აღმოჩნდა თაღლითი. გამოძიება გაარკვევს ყველაფერს და უკვე გარკვეულიც ექნება, ალბათ. ყველაფერს ნახავთ. ვინც დასასჯელია, ის დაისჯება აუცილებლად და თუ მე ვარ დასასჯელი, მეც დავისჯები. დღეს არავინ არავის არაფერს არ აპატიებს, მერწმუნეთ. ეგ არის თაღლითი! თაღლითური ჯგუფი იყო შექმნილი, ფულს იპარავდნენ და მალავდნენ.

**— დაცვის მხარემ ჩვენ მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ კომპანიაში მუშაობის პერიოდში, თქვენ იყიდეთ ძვირად ღირებული ავტომობილი, კერძოდ 135 ათასი გადაიხადეთ „ლენდ კრუიზერში“, რომელიც კომპანიიდან წასვლის შემდეგ, სამინისტროს ბალანსზე გადაიყვანეთ...**

– რა სისულელეა, რა სისულელეა!

**— ასევე — ძაღლი ბოო, რომელშიც 40 ათასია გადახდილი...**

– რა სისულელეა, რეებს ამბობენ, უბრალოდ. ცილისწამება სადამდე მიდის, ვერ გამიგია. ეს არის სისულელე. ჯერ გაარკვიონ ფასები, მერე ვინ რა იყიდა, როგორ, რანაირად... ენას ძვალი არ აქვს და თავის მართლებაში არ მინდა გადავიდე. მე ვითანამშრომლე გამოძიებასთან და ყველაფერს დაადგენს გამოძიება.

**— თქვენთვის, ალბათ, ისიც არის ცნობილი, ფხოველიშვილმა რა თქვა ჯანყარაშვილზე...**

– ყველაფერი სისულელეა, ცილისწამება და სისულელე. გამოძიება ყველაფერს დაადგენს. ერთია, რომ იტყვი, მეორე – ხომ უნდა შეესაბამებოდეს სიმართლეს. წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო – ფული მოიპარეს და სხვისკენ ხელი გაიშვირონ, ასე ხომ არ ხდება, არა? კიდევ ერთხელ გეუბნებით, გამოძიება ყველაფერს დაადგენს.

**— ანუ ძაღლის ყიდვის, ძვირად ღირებული ავტომობილისა და საზღვარგარეთ რესტორანში 3 ათასი დოლარის დახარჯვაზე ინფორმაციას არ ადასტურებთ?**

– რა ძვირად ღირებულ რესტორნებში, მთელი ჩემი ცხოვრება რესტორნებშიც დავდივარ, კინოშიც და თეატრშიც. ეგ რა შუაშია. თუ მე სადმე რამე კაპიკი მაინც დამიხარჯავს, ჩემი შრომით მოპოვებული თანხა მაქვს დახარჯული. გამოძიება ყველაფერს დაადგენს-თქო, კიდევ ერთხელ გეუბნებით. სისულელეებზე რა ვისაუბრო. მეცინება, უბრალოდ.

**— ფხოველიშვილმა თქვენი ყოფილი მოადგილე, კახა სოლოღაშვილი ახსენა დანაშაულებრივი სქემის ავტორად...**

– სისულელეა. ადამიანს თუ გაიცნობთ, ყველაფერი ნათელია.

**— ფხოველიშვილმა თქვა, რომ 30 წელია, მეგობრობთ მასთან. ადასტურებთ ამას?**

– ბავშვობაში ვმეგობრობდით, მერე წლებია, არ მინახავს. რეკომენდაციით მოვიდა ჩემამდე. წარმოიდგენდით, რომ 4 შვილის დედა თაღლითი გამოდგებოდა? კაზინოში 700 ათასამდე აქვს წაგებული ამ პერიოდში. დამტკიცებული და ამოღებული რომ აქვს ეს ყველაფერი, იცით? რაც მოპარული აქვს, ის თანხები ამოიღეს.

**— ზვიად ჯანყარაშვილთან თქვენს მეგობრობასა და ახლობლობას თუ ადასტურებთ?**

– რა თქმა უნდა, ჩემი მეგობარია ჯანყარაშვილი, მაგრამ რა შუაშია?!

**თამარ ფხოველიშვილი წარდგენილ ბრალდებაში თავს ნაწილობრივ ცნობს დამნაშავედ. მისი მეუღლე კი ამბობს, რომ დანაშაულთან კავშირი არ აქვს. შემდეგი პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში 5 ნოემბერს გაიმართება.** (ambebi.ge)

# საყოველთაო ჯანდაცვას თანხა მოაკლდა

როგორც მოსალოდნელი იყო, საყოველთაო დაზღვევის პროგრამას წლის ბოლოს თანხა დააკლდა. წლევანდელ ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხა ნოემბრის დასაწყისში თითქმის მთლიანად ამოწურულია. ჯანდაცვის სამინისტრომ შიდა რესურსით რაღაც თანხა კი გამოძებნა, მაგრამ ის საკმარისი არ იქნება. სავარაუდოდ, საქმეში ფინანსთა სამინისტრო უნდა ჩაერთოს.

ჯანდაცვის სამინისტრომ ჯანდაცვის პროგრამების 12 თვის ბიუჯეტის გეგმა 21 მილიონი ლარით გაზარდა. აღნიშნული თანხა სამინისტრომ მოიძია სხვა პროგრამების ხარჯების შემცირების შედეგად, კერძოდ ადმინისტრაციული ხარჯების გეგმა შემცირდა 2.3 მილიონი ლარით, სოციალური დახმარებების გეგმა შემცირდა 14 მილიონი ლარით, ხოლო სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის ბიუჯეტი შემცირდა 5.8 მილიონი ლარით.

მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის პროგრამების ბიუჯეტი უკვე 21 მილიონი ლარით გაიზარდა, წლის ბოლომდე ამ მიმართულებით სამინისტროს დასახარჯად დარჩენილი აქვს 30 მილიონი ლარის რესურსი, როცა იანვარ-ოქტომბერში, საშუალოდ, 65 მილიონი ლარი იხარჯებოდა. აქედან გამომდინარე, სამინისტროს მოუწევს დამატებით 100 მილიონამდე ლარი მოიძიოს. ასეთი მოცულობის რესურსის მოსაზიდად კი 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირება იქნება საჭირო.

ყველაზე მეტი თანხა, რასაკვირველია, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას აკლდება. ე.წ. სახელმწიფო დაზღვევას თვეში დაახლოებით 45 მლნ სჭირდება. რამდენადაც 2015 წლის ბიუჯეტში ამ მიმართულებით 470 მლნ ლარი იყო გამოყოფილი და ეს თანხა თითქმის მთლიანად ათვისებულია, დასამატებელი თანხის ლომის წილი სწორედ საყოველთაო ჯანდაცვაზე მოდის.



ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა სოფრომაძეც ადასტურებს, რომ თანხის დამატება აუცილებლად დასჭირდება. ოღონდ რა დამატებითი რესურსი იქნება საჭირო, მინისტრის მოადგილე აცხადებს:

„ეს ძნელი დასათვლელია, ანაზღაურების მექანიზმიდან გამომდინარე. თვის დასრულების შემდეგ, მომდევნო თვის განმავლობაში კლინიკა წარმოადგენს შესაბამის ანგარიშს სოციალური მომსახურების სააგენტოში. მას აქვს უფლება, სამი თვის განმავლობაში წარმოადგინოს საბუთები და ეს თავად მისი მენეჯმენტის გადასაწყვეტია. ამის შემდეგ იწყება ანგარიშის დამუშავება. ხელაღებით, მხოლოდ კლინიკის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს ვერ დავეყრდნობით. ამ მონაცემების დამუშავებისთვის 30 სამუშაო დღეა განსაზღვრული. დამუშავებას, შესაძლოა, თანხების კორექტირება მოჰყვეს“, – აცხადებს სოფრომაძე.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას დაფინანსებასთან დაკავშირებით პრობლემა ნამდვილად აქვს. ბოლო რამდენიმე თვეა, ხელისუფლების ოპონენტები და სპეციალისტთა ნაწილი ამაზე აქტიურად საუბრობს. „ნაცმოძრაობაში“ ამბობდნენ, რომ პროგრამას ფული არ ყოფნის და წლის ბოლოს ბენეფიციარებს ჯანდაცვაზე ხარჯის გაწევა საკუთარი ჯიბიდან მოუწევთ. საპირისპიროს ამტკიცებდნენ ჯანდაცვის სამინისტროში.

სოფრომაძის თქმით, პროგრამის სრულყოფილად განხორციელებას არავითარი საფრთხე არ ემუქრება: „სავარაუდოდ, წლის ბოლომდე დაგვჭირდება თანხის დამატება. მთავრობა, ცხადია, საქმის კურსშია და თუ პროგრამას რესურსი დააკლდა, ის იქნება მოძიებული, რათა არ შეწყდეს პროგრამის განხორციელება“. (for.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „დაუყოვნებლივი აღსრულების შეჩერება ბანკებზე არ ვრცელდება“



მიაყენებს თუ არ ზიანს საკონსტიტუციოს მიერ დაუყოვნებლივი აღსრულების ნორმის შეჩერება კერძო ბიზნესსა და ბანკებს, როგორც ამაზე იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმაც ისაუბრა, იურისტი, დავით კლდიაშვილი განმარტავს.

„ჯერ უნდა ავხსნათ, რის შეჩერებასთან გვაქვს საქმე, – სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებობს 268-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს იმ დავების ჩამონათვალს, რომელზეც გადაწყვეტილება შესაძლებელია მიქცეული იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. მაგალითად, დავა გამომდინარე შრომითი ურთიერთობიდან, ალიმენტის დაკისრებაზე. აქვე არსებობს „ზ“ პუნქტი, რომელიც ზოგადი ხასიათის ჩანაწერი იყო და იძლეოდა საშუალებას, რომ ნებისმიერ დავაზე გადაწყვეტილება მიქცეული ყოფილიყო დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. ამ შემთხვევაში მოხდა ამ კონკრეტული პუნქტის შეჩერება. თეორიულად კი ეს იმას ნიშნავს, რომ, თუკი ორი სუბიექტი ერთმანეთში დაობს, პირველ ინსტანციაში მოგებულ მხარეს აღარ შეუძლია დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიაქციოს. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ რეალობა, რამდენად ხშირად იყო გამოყენებული ეს პუნქტი. ზოგადი პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ ეს იყო ძალიან იშვითად გამოყენებული პუნქტი“, – განმარტავს იურისტი.

შესაბამისად, როგორც დავით კლდიაშვილი აცხადებს, საკონსტიტუციოს გადაწყვეტილება კერძო ბიზნესზე თეორიულ დონეზე გავლენას მოახდენს, მაგრამ რეალობაში ეს ნაკლებად სავარაუდოა.

„მით უმეტეს, როდესაც კერძო დავაა, ალბათ, 98%-ში არ დააკმაყოფილებს სასამართლო შუამდგომლობას დაუყოვნებლივ აღსრულებაზე“.

რაც შეეხება საბანკო სექტორს, რომელსაც ასევე, სავარაუდოდ, შეიძლებოდა საფრთხეები გასჩენოდა აღნიშნული ნორმის შეჩერებით, იურისტი აცხადებს:

„ბანკების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღსრულებას ვერ გამოიყენებენ, რადგან ბანკები დავის გადასაწყვეტად იყენებენ არბიტრაჟებს, და თუკი რომელიმე იყენებს სასამართლოს, ისინი ეყრდნობიან 268-ე პირველ პრიმა მუხლს, რომელიც აბსოლუტურად სხვა მუხლია და ითვალისწინებს იმას, რომ მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსრულდეს“.

შეგახსენებთ: 2 ნოემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ „რუსთავი 2“-ის სარჩელი წარმოებაში მიიღო და მათივე შუამდგომლობის საფუძველზე შეაჩერა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ მუხლის ქვეპუნქტის მოქმედება, სადაც საუბარია, რომ სასამართლოს შეუძლია, დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები „ყველა სხვა საქმეზე, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ან თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდება“. (ნეტგაზეთი)

## ალასანიადან ჯაფარიძესთან აბაშიძე და ცაგარეიშვილი მიდიან?



პოლიტიკურ კულუარებში გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა, უახლოეს მომავალში „თავისუფალი დემოკრატები“ ზურაბ აბაშიძემ და გია ცაგარეიშვილმა დატოვონ. როგორც „პირველი რადიოსთვის“ გახდა ცნობილი, ცაგარეიშვილი და აბაშიძე წინააღმდეგი არიან ხელისუფლებასთან და ყოფილ პრემიერთან სხვადასხვა საკითხებში და მათ შორის „რუსთავი 2“-ის პროცესთან დაკავშირებით, პარტიამ მკვეთრი პოზიცია დაიკავოს. ამ კითხვაზე დახურულ ფორმატში „თავისუფალი დემოკრატების“ შიგნით არაერთი კამათი იყო.

ამავე ინფორმაციის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ალასანიას გუნდში პოზიციები ვერ შეჯერდა, შესაძლოა, აბაშიძემ და ცაგარეიშვილმა „თავისუფალი დემოკრატების“ რიგები და შესაბამისად, საპარლამენტო ფრაქცია დატოვონ და ისინი „ახალ პოლიტიკურ ცენტრს“ შეუერთდნენ, რაც ჯაფარიძე-კუბლაშვილს, პარლამენტში ფრაქციის შექმნის საფუძველს მისცემს. გავრცელებულ ინფორმაციაზე, კომენტარისთვის ჩვენ რამდენჯერმე დავუკაშირდით „თავისუფალი დემოკრატების“ წევრებს, თუმცა ისინი ჩვენ სატელეფონო ზარებს არ პასუხობენ. (პირველი რადიო)

## სულ შეშფოთებულები როგორ არიან...




აშშ აზერბაიჯანში არსებული ვითარების გამო შეშფოთებას გამოთქვამს. ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ელისაბეთ ტრიუდომ განაცხადა.

„ვწუხვართ, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს არ მისცა უფლება დამკვირვებელთა საჭირო რაოდენობა გაეგზავნა, რის გამოც ორგანიზაციამ არჩევნების მონიტორინგი ვერ შეძლო“, – განაცხადა ტრიუდომ.

მისი თქმით, ვაშინგტონი შეშფოთებულია აზერბაიჯანში „შემზღუდველი პოლიტიკური გარემოს“ არსებობის გამო.

„მოვუწოდებთ აზერბაიჯანის ხელისუფლებას, პატივი სცეს მშვიდობიანი შეკრებისა და დამოუკიდებელი აზრის თავისუფლებას, მათ შორის მედიასაც, რაც საერთაშორისო ვალდებულებების ნაწილია. ასევე მოვუწოდებთ იმუშაოს ეუთოსთან და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროსთან“, – განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა.

აზერბაიჯანში საპარლამენტო არჩევნები კვირას ჩატარდა. წინასწარი მონაცემებით, არჩევნებში ილჰამ ალიევის მმართველმა პარტიამ, „ახალმა აზერბაიჯანმა“ გაიმარჯვა.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## გაიხსენონ „ნაცებმა“, 9 წლის განმავლობაში სასამართლოებს როგორი განაჩენი გამოჰქონდათ




საქართველოში აზერბაიჯანელების ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე უკრაინული სააგენტოს მიერ აუდიოჩანაწერების გავრცელებას ეხმაურება.

მისი განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოს მოსახლეობაში არეულობისა და დესტაბილიზაციის მოწყობას ცდილობს. „საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნება უნდა დავირაზმოთ ერთად „ნაციონალური მოძრაობის“ ბანდის წინააღმდეგ. მათ 9 წლის განმავლობაში რა დანაშაულებიც ჩაიდინეს, ეს არის მათი ქართული ფაშიზმი. ზოგი გაქცეულია, ზოგი საქართველოშია და ისინი საქართველოში არეულობას გეგმავენ. აუდიოჩანაწერები, რომლებიც ბოლო დროს უკრაინული მედიასაშუალებით გავრცელდა, ძალიან ცუდი მანიშნებელია ქვეყნის არეულობისთვის, ძლივს დაწყნარდა საქართველოს მოსახლეობა, ადამიანები განთავისუფლდნენ სტრესისგან, „ნაციონალური მოძრაობის“ წნეხიდან განთავისუფლდა ბიზნესი, ამ დროს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ქვეყანაში სიტუაციას ძაბავენ და პროვოკაციებს აწყობენ.

მივმართავ სააკაშვილისა და მისი ბანდის ევროპელ მფარველებს, 2008 წელი არ ჰყოფნის ჩვენს ქვეყანას და საქართველოს მოსახლეობას, როდესაც დიდი უბედურება დაატყდა თავს? სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების მმართველობის შედეგია, რომ დღეს საქართველოს 20 პროცენტი რუსეთმა დაიტაცა. ახლა რა უნდათ? კიდევ უნდათ საქართველოში სისხლი დაიღვაროს? ვურჩევ მათ ლობისტებს ევროპაში, თავი დაანებონ „ნაციონალური მოძრაობის“ დაცვას ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში“, – აღნიშნა ბაბაევმა.

„გაიხსენონ ნაცებმა, 9 წლის განმავლობაში სასამართლოებს როგორი განაჩენი გამოჰქონდათ, ხალხი გასაჩივრებასაც კი ვერ ბედავდა. კიდევ როგორ ან რატომ ლაპარაკობენ „ნაცები“ ქართველი ხალხის სახელით?!“ – აღნიშნავს ბაბაევი. (kvira.ge)

## ფინეთის ყველა მოქალაქე სახელმწიფოსგან თვეში 800 ევროს მიიღებს



ფინეთში აუცილებელი შემოსავლის პროგრამა მზადდება. მისი ამოქმედების შემდეგ ქვეყნის ყველა მოქალაქე სახელმწიფოსგან თვეში 800 ევროს მიიღებს. ამის შესახებ ფინური მედია იუწყება.

„საბაზისო შემოსავლის“ იდეა ისაა, რომ ადამიანი გარკვეულ თანხას ყოველგვარი პირობების გარეშე იღებს, იმისდა მიუხედავად, მუშაობს თუ არა.

ახალი სისტემა ორ ეტაპად ამოქმედდება. პირველ ეტაპზე ფინეთის მოქალაქე თვეში 550 ევროს მიიღებს, ხოლო პროგრამის სრული ამოქმედების შემდეგ ის 800 ევრომდე გაიზრდება.

ასეთივე საპილოტე პროექტი ნიდერლანდების ერთ-ერთ ქალაქში, უტრეხტში 2016 წლის იანვრიდან ამოქმედდება. იქ ერთი ადამიანი თვეში 900 ევროს მიიღებს.

ცნობისთვის, ფინეთში საშუალო ხელფასი დღეს 3 300 ევროს შეადგენს, ხოლო უმდიდრესი ფენის საშუალო შემოსავალი, რომელიც მთელი მოსახლეობის 10%-ია, თვეში 4900 ევროა. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სალომე ზურაბიშვილი: „ნაციონალური მოძრაობა“ მიშამ რეალურად გაანადგურა!



სალომე ზურაბიშვილი უკრაინული საიტის მიერ მიხეილ სააკაშვილის აუდიოჩანაწერების გავრცელებას გამოეხმაურა.

„სააკაშვილის საუბრები!!!!!!...

შეურაცხადი რომ იყო, ეს ვიცოდით და ამაში არაფერია ახალი, გარდა იმისა, რომ უკრაინელები ჯერ ვერ მიუხვდნენ და არ ესმით მათ ასეთ ადგილას ასეთი ადამიანის დიდხანს დატოვება რამდენად მათთვის სახიფათოა (თუმცა ზოგ ქართველმაც ჯერ ვერ გაიგო ეს ელემენტარული ჭეშმარიტება)!

როგორც ამ საუბრებიდან ჩანს, რუსებმაც დაიწყეს მისი ხელახლა გამოყენება (მას რომ ჰგონია, რომ რუსეთსა და ამერიკას „ათამაშებს“ და სინამდვილეში მათ მარიონეტად არის გამოყენებული|) და არავინ იცის, რუსეთის არხებზე გახმაურებული საუბრები როგორ იქნება კრემლის მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოყენებული, მეტადრე რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების ტრაგედიის შემდეგ!

ამას რომ მოჰყვა „ნაციონალური მოძრაობის“ რიგებში რღვევები, ეს გასაგებია: ვის უნდა რომ წასული ლიდერის ხუშტურების გამო აღმოჩნდეს თვითონ სახიფათო მდგომარეობაში და დაბრალდეს სახელმწიფო წესრიგის დარღვევისკენ მიმართული განცხადებები! ანუ „ნაციონალური მოძრაობა“ მიშამ რეალურად გაანადგურა!

ყველაზე საინტერესო და ახალი ამ ყველაფერში მაინც მეჩვენება ბიზნესწილებზე გაკეთებული კომენტარები!!!!

ხელისუფლების ადგილას სასწრაფოდ დავიწყებდი გამოძიებას (რაღას უნდა ველოდოთ!) და ამ ფირების საფუძველზე შვეიცარიას ვთხოვდი რამდენიმე ანგარიშის გახსნას!

ბევრი სხვა რამ არის გასაანალიზებელი, თუ ამ ფირების ავთენტურობა დადგინდა (ვგულისხმობ მთლიანობაში და დეტალურად, თორემ საუბრების არსებობას არავინ დაობს უკვე) და ბევრი კითხვას გაეცემა პასუხი, რაზედაც დიდი ხანია ეჭვი გვაქვს და მტკიცებულებები გვაკლია!“ – წერს ზურაბიშვილი სოციალურ ქსელში. (ივერიონი)

## თაკო გაჩეჩილაძე გაქურდეს — „დილას რომ დაგხვდება მანქანის ნაწილი მოპარული, „ედიკას“ დროს როგორც იყო, 20 წლის მერეც იგივე მეორდება. სირცხვილია!“



თაკო გაჩეჩილაძე გაქურდეს – ინფორმაციას ამის შესახებ თავად მომღერალი, „ფეისბუკზე“ გამოქვეყნებული სტატუსის საშუალებით ავრცელებს.

– დილას რომ დაგხვდება მანქანის ნაწილი მოპარული, „ედიკას“ დროს როგორც იყო, 20 წლის მერეც იგივე მეორდება. სირცხვილია! – წერს მომღერალი.

როგორც სტატუსზე დაწერილი კომენტარებიდან ირკვევა, საუბარია მანქანის იმ ნაწილზე, რომელიც ნიკელისგან იყო დამზადებული და საკმაოდ ძვირი ღირს. სტატუსს მუსიკოსი ლაზარე ადამიაც გამოეხმაურა:

„ნაბოზვრულად მოტეხილს უფრო ჰგავს ეგ, ვიდრე მოპარულს“, რასაც თაკომ შემდეგნაირად უპასუხა – „მე მგონი, ნაბოზვრულად მოპარულს გავს“. (musicbox.ge)

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ავსტრალიის დედაქალაქი
2. მწვადის ლუმელი
3. ვენახის ხედამხედველი
4. მსახ. ... ანჯაფარიძე
5. ჩანჩქერი აშშ-ში
6. ჰიპოპოტამი
7. ვივიენ ლი ფილმში „ლედი ..."
8. მსახიობი ... ფრიმენი
9. ცხენების სარბენი ადგილი
10. ნუშის ლიქიორი
11. მხ/ფ „უკანასკნელი ..."
12. კომპოზიტორი ედვარდ ...
13. ტბა აფხაზეთში
14. მეტროს მოძრავი კიბე
15. მატონიზირებული სასმელი
16. 1000კგ
17. ტუჩი
18. ქალაქი სირიაში
19. მუსიკოსი ... გილელსი
20. ერთ-ერთი გვერდი, მაგალითად კუბის ან ბრილიანტის
21. მსახ. ... ფრეინდლიხი
22. რეჟისორი ლუკინო ...
23. ირლანდიური ცეკვა
24. მსახიობი ... მუტი
25. უნაპირო ზღვა ატლანტიკის ოკეანეში
26. მდინარე აფრიკაში
27. დიდი ვაჭარი (ძვ.)
28. ჯეინ ეარის პროფესია
29. „ვეფხისტყაოსნის" ავტორი
30. იტალიური მაკარონი
31. ზღვის ცხოველი წვეტიანი ცხვირით
32. ქალაქი საფრანგეთში
33. მოკრივე მაიკლ ...
34. ლეშის მჭამელი ფრინველი
35. მარილიანის გემო
36. ნიშნავს სწავლებას
37. მწერალი ... ტოლსტოი
38. ... გრუზინსკი
39. მწერალი ... ჩუკოვსკი
40. მოგზაური ნიკოლოზ ...
41. დადებითი ელექტროდი
42. უეცარი შიში
43. შინაური ცხოველი
44. მუხის ქერქი
45. მსახიობი ... ტომეი
46. ფარაონთა დინასტია
47. იუველირი, ანუ ...
48. მდინარე აფხაზეთში
49. საზეიმო წვეულება
50. იაპონური ხალათი
51. ერთგვარი კანფეტი
52. შოკოლადის კვერცხი სათამაშოთი
53. ქალაქი გერმანიაში
54. ძვირფასი წითელი ქვა
55. მწერალი ემილ ...
56. უბე
57. იაპონური ჭიდაობა
58. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
59. მსახიობი რობერტ დე ...
60. მსახიობი რობერტ ...
61. მწერალი ალფონს ...
62. ყველაზე პატარა ფრინველი
63. ქედმაღალი
64. თეატრალ. ქუჩა ნიუ-იორკში
65. მან ეგოროვთან ერთად აღმართა დროშა რაიხსტაგზე
66. სახელმწ. სამხ. აზიაში
67. გულის მთავარი სისხლძარღვი
68. მდინარე სამხ. ამერიკაში
69. ჟურნალი. სიმბოლოა კურდღელი
70. სიმებიანი მუსიკ. საკრავი
71. ფიზიკოსი ალბერტ ...
72. ლოტბარი გიორგი ...
73. მიმართვა ქალისადმი აშშ-ში
74. მზის ამოსვლა
75. მსახიობი ... იოვოვიჩი
76. კურორტი ბულგარეთში
77. ვენეციური ნავი
78. სახელმწ. ... ჰერცოგოვინა
79. პლატონ სამანიშვილის მამა
80. ქალაქი სამეგრელოში
81. მდინარე დას. საქართ.
82. მსახიობი ... სარაჯიშვილი
83. უდაბნო პერუში
84. მახრჩობელა გველი ამაზონში
85. ... გათეთრდების ყორანი
86. ნუსხა
87. დასაქირავებ. ეტლი ძველ ლონდონში
88. რა ეფარება მზეს
89. ქალაქი სომხეთში
90. ნარინჯისფერი პიგმენტი
91. მხ/ფ „რიგითი ... გადასარჩენად"
92. ... და ობელიქსი
93. რუსი მხატვარი პერედვიჟნიკი
94. რომის პაპის გვირგვინი
95. შტატი აშშ-ში
96. სახალხო პოეტი მომღერალი
97. ... სიკეთით არავის გადაუხდია
98. ფუტკრების სახლი
99. მწერალი პროსპერ ...
100. რეჟისორი ... უელსი
101. მამლის ჯიღა
102. ხმლის ტარი
103. ქალაქი ესპანეთში
104. ... გავეყარე და ვეის შევეყარე
105. ჰორმონ. ნაკლებობა იწვევს დიაბეტს
106. ადამიანის გაფეტიშება
107. კუდიანი ვარსკვლავი
108. კოშკი პარიზში
109. ღლავი
110. ... პუგაჩოვა
111. მსახ. ... სმოქტუნოვსკი
112. თურქეთის დედაქალაქი
113. რუსი მხედართმთავარი
114. ... შვარცენეგერი
115. ვალუტა, ანუ ...
116. პოეტი ... ასათიანი
117. წყლის მოლუსკი
118. მსახიობი მერილინ ...
119. ქალაქი იაპონიაში
120. მზის ღმერთი ეგვიპტეში
121. მეფე ძველ ეგვიპტეში
122. მსახიობი ... დეპი
123. პოეტი ... ჩიქოვანი
124. უკრაინული ავტომობილი
125. რეჟისორი ალფონსო ...
125ა. თავადის ტიტული ინდოეთში
126. ხერხემლის ძვალი
127. ქალაქი სამხ. რუსეთში
128. მსახიობი ... პაპასი
129. მსახიობი ... გარდნერი
130. ცხვრის ჯიში
131. ... ძედუნი
132. მაროკოს დედაქალაქი
133. ... მოგივა დავითაო
134. მსახიობი ბენისიო ... ტორო
135. რაზა
136. ყვავილი
137. მსახიობი ... დელონი
138. ესპანელი მხატვარი
139. ყვითელი საიუველირ. ქვა
140. მანქანის კორპუსი

პასუხები: 1. კანბერა; 2. მაყალი; 3. მეველე; 4. ვერიკო; 5. ნიაგარა; 6. ბეჰემოთი; 7. ჰამილტონი; 8. მორგან; 9. იპოდრომი; 10. ამარეტო; 11. იმპერატორი; 12. გრიგი; 13. რიწა; 14. ესკალატორი; 15. ყავა; 16. ტონა; 17. ბაგე; 18. ალეპო; 19. ემილ; 20. წახნაგი; 21. ალისა; 22. ვისკონტი; 23. ჯიგა; 24. ორნელა; 25. სარგასო; 26. ლიმპოპო; 27. სოვდაგარი; 28. გუვერნანტი; 29. რუსთაველი; 30. პასტა; 31. ნარვალი; 32. ნანტი; 33. ტაისონი; 34. სვავი; 35. მლაშე; 36. ლოგია; 37. ლევ; 38. პეტრე; 39. კორნეი; 40. მიკლუხო-მაკლაი; 41. ანოდი; 42. ელდა; 43. თხა; 44. კორპი; 45. მარისა; 46. რამზესი; 47. ოქრომჭედელი; 48. ენგური; 49. რაუტი; 50. კიმონო; 51. ნუგა; 52. „კინდერსიურპრიზი"; 53. ბონი; 54. აყიყი; 55. ზოლა; 56. ყური; 57. სუმო; 58. მექა; 59. ნირო; 60. პატინსონი; 61. დოდე; 62. კოლიბრი; 63. ყოყოჩი; 64. ბროდვეი; 65. ქანთარია; 66. ბანგლადეში; 67. აორტა; 68. ორინოკო; 69. „პლეიბოი"; 70. ქნარი; 71. აინშტაინი; 72. უშიკიშვილი; 73. მემ; 74. აისი; 75. მილა; 76. ვარნა; 77. გონდოლა; 78. ბოსნია; 79. ბეკინა; 80. აბაშა; 81. რიონი; 82. ნანული; 83. ნასკა; 84. ანაკონდა; 85. არ; 86. სია; 87. კები; 88. ღრუბელი; 89. აბოვიანი; 90. კაროტინი; 91. რაიანის; 92. ასტერიქსი; 93. შიშკინი; 94. ტიარა; 95. ილინოისი; 96. აშუღი; 97. სიკეთე; 98. სკა; 99. მერიმე; 100. ორსონ; 101. ბიბილო; 102. ვადა; 103. ვალენსია; 104. ვაის; 105. ინსულინი; 106. კულტი; 107. კომეტა; 108. ეიფელი; 109. ლოქო; 110. ალა; 111. ინოკენტი; 112. ანკარა; 113. სუვოროვი; 114. არნოლდ; 115. ფული; 116. ლადო; 117. მიდია; 118. მონრო; 119. ოსაკა; 120. რა; 121. ფარაონი; 122. ჯონი; 123. სიმონ; 124. „ტავრია"; 125. არაუ; 125ა. რაჯა; 126. მალა; 127. კრასნოდარი; 128. ირენ; 129. ავა; 130. მერინოსი; 131. მაო; 132. რაბატი; 133. რაც; 134. დელ; 135. ურდული; 136. ენძელა; 137. ალენ; 138. გოია; 139. ქარვა; 140. ძარა. იკითხება: ბაყაყი.

## რა სარგებლობა მოაქვს სექსისთვის ლუდს?



ამერიკელი სექსოლოგის კეტ ვან კირკის თქმით, ლუდის ინტენსიური მიღებისას ორგანიზმში ფიტოესტროგენები ხვდებიან, რაც ხელს უწყობს ორგაზმის შეკავებას. გარდა ამისა, მუქ ლუდს რკინის შემცველობის წყალობით, შეუძლია, ორგანიზმში ლიბიდო გააძლიეროს. სტატისტიკის თანახმად, 31 პროცენტი ადამიანებისა, რომლებიც ზომიერად იღებენ ალკოჰოლს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პრობლემა უფრო იშვიათად აწუხებთ, ვიდრე მათ, ვინც ალკოჰოლს არ იღებს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ზომიერად ლუდის მიღება ფიზიკურ ვარჯიშთან ერთად ორგანიზმს მეტ გამძლეობას ანიჭებს და სხვადასხვა დაავადებების მიმართ უფრო ბრძოლისუნარიანს ხდის.

*correspondent.net*

## წყვილში ცეკვა — როგორც ტკივილგამაყუჩებელი



სინქრონულ მოძრაობას მოცეკვავეებისთვის სარგებელი მოაქვს – ამაღლებს ენდორფინების კონცენტრაციას. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ წყვილში ცეკვა ადამიანებზე ისე მოქმედებს, როგორც ტკივილგამაყუჩებელი. რაც მეტია სინქრონი და თანმიმდევრული მოძრაობა მით უფრო ეფექტურია შედეგი. ექსპერიმენტის თანახმად, რომელშიც 264 ადამიანი მონაწილეობდა აღმოჩნდა, რომ პარტნიორთან ერთად მოცეკვავეების სისხლში ენდორფინების რაოდენობა გაზრდილიყო. წყვილში სინქრონული ცეკვით მოცეკვავეები სიამოვნებას იღებენ და მათ შორის სოციალური კავშირიც ძლიერდება, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ზრდის ენდორფინების კონცენტრაციას. ენდორფინს შეუძლია ტკივილის შეგრძნების შემცირება და დადებით გავლენას ახდენს ადამიანის ემოციურ მდგომარეობაზე.

*correspondent.net*

## სამხრეთ კორეა 5G ქსელს გამოუშვებს



სამხრეთ კორეამ გადაწყვიტა, მთელ მსოფლიოს გაუსწროს და 5G სტანდარტის ქსელი გამოუშვას. გაიხსნა ცენტრი, რომელიც მეხუთე თაობის ქსელების განვითარებაზე მუშაობს. ამჟამად სამხრეთ კორეაში მომხმარებლების 4G ქსელით სარგებლობენ, რის გამოც ქვეყანა მსოფლიო ლიდერია. ცენტრის გახსნის პრეზენტაციაზე, რომელსაც „Samsung“, „nokia“, „intel“ და „ericsson“ თანამშრომლები ესწრებოდნენ, ნაჩვენები იყო ახალი ტექნოლოგია, რომელიც უკაბელო ქსელის 19.1-გეგაბაიტიანი სიჩქარით მუშაობას უზრუნველყოფს. ეს კი, არსებულ მაჩვენებელზე ათასჯერ უფრო მეტია. ასე რომ, 2-გეგაბაიტიანი ფილმის ჩატვირთვას 1 წუთი დასჭირდება. ქსელი 2017 წლიდან საცდელ რეჟიმში დაიწყებს მუშაობას. მსოფლიო მასშტაბით კი, ეს ღონისძიება 2020 წლისთვის იგეგმებოდა.

*segodnya.ua*

## წლინახევრის ბრაზილიელმა შხამიანი გველი სასიკვდილოდ დაკბინა



ბრაზილიელ წლინახევრის ლორენცოს, როგორც ჩანს, არაფერი სმენია გველის შხამისა და ადამიანის ქუსლის ურთიერთობაზე, ისე გადაწყვიტა, როლები გაეცვალა და აქეთ დაეკბინა გველი. რა ექნა დაგესლილ გველს, რომელი ქუსლით გაეჩეჩქვა ლორენცოსთვის თავი? ლორენცო ეზოში თამაშობდა, როცა დედამ შენიშნა, რომ სახე და ხელები სისხლში ჰქონდა ამოსვრილი და დელიკატესს უმად მიირთმევდა. დედამ მამას დაუძახა, მამას ძაღლის, კატისა და თაგვის მოხმობა აღარ დასჭირვებია. ექიმებმა თქვეს, რომ პატარას ორგანიზმში შხამი არ ჰქონდა და არც საფრთხე ემუქრებოდა. მსგავსი შემთხვევა ნეპალშიც მოხდა. 55 წლის მუჰამედ სალმო მიია გველმა დაგესლა. მან კი ნაცვლად იმისა, რომ ჯოხით მოეგერიებინა, მისივე მეთოდებით გადაწყვიტა, დაპირისპირებოდა და კბილებით დაგლიჯა. როგორც თავად ამბობს, ძალიან გაბრაზებული იყო და ჯოხი არ ეყოფოდა ბრაზის ამოსანთხევად. მუჰამედი შხამს გადაურჩა. კოკა ყოველთვის მაინც არ მოიტანს წყალს და მკითხველო, მოდი ნუ დაიწყებთ გველთან პირად ანგარიშსწორებას, სჯობს, გაერიდოთ.

*lenta.ru*

## არიზონელმა 5 წლის შეიარაღებული შვილიშვილი უდაბნოში მარტო დატოვა



სპარტელებიც კი, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი მკაცრი და დისციპლინური აღზრდის მეთოდით, 7 წლის ასაკიდან იწყებდნენ ბავშვების წვრთნას. 53 წლის არიზონელმა, პოლ არმანდ რეტერმა კი რეკორდის გაუმჯობესება გადაწყვია და 5 წლის შვილიშვილი დატენილი იარაღით ხელში უდაბნოში ინსტრუქციით – „ესროლე ცუდ ბიჭებს“ დატოვა. ბავშვის დედამ 4 საათის შემდეგ აღმოაჩინა, რომ გოგონა სახლში არ იყო და პოლიციას შეატყობინა. თვითმფრინავით ძებნისას მალევე აღმოაჩინეს უდაბნოში მიტოვებული ბავშვი. ბაბუა კი მოგვიანებით, მაღაზიაში დააკავეს. როგორც „მზრუნველი“ ბაბუა ამბობს, მანქანა გაუფუჭდა, ბავშვმა კი ფეხით ველარ იარა და სადაც გაჩერდა, იქვე დატოვა. ყოვლის მნახველი, მაგრამ ამ ფაქტით მაინც გაოგნებული სამართალდამცავი აცხადებს: „არ ვიცი, 5 წლის ბავშვი როგორ უნდა მიხვდეს, ვინ არის კარგი და ვინ – ცუდი“. ჯანდაბას, რომ ბავშვს ლამის ჩანასახშივე მკვლელად აქცევ, ჯანდაბას, რომ დაუცველ გარემოში მარტო ტოვებ, მაგრამ აი, ასეთმა პატარამ და ჩამოუყალიბებელმა როგორ უნდა გაარჩიოს კეთილი და ბოროტი, ეს ხომ ფსიქოლოგიური ზეწოლაა. ბაბუა სასჯელს ბავშვისადმი სასტიკი მოპყრობისა და მისი სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნის ბრალდებით იხდის.

*lenta.ru*

## 97 წლის ამერიკელს საშუალო სკოლის დიპლომი გადასცეს



თუ დიდხანს და დაჟინებით იფიქრებთ ერთსა და იმავე რამეზე, ახდენის შანსი ორმაგდებაო – ვიღაცას უთქვამს. ჰოდა, მარგარეტ ბიკემსაც 80 წლის მანძილზე უოცნებია დიპლომზე და 97 წლის ასაკში მოულოდნელად ახდენია ოცნება. მიჩიგანის შტატის ქალაქ გრანდ-რაისში კათოლიკური ეკლესიის საშუალო სკოლაში სწავლობდა, როცა 17 ასაკში ოჯახის გამო იძულებული გახდა, სწავლა მიეტოვებინა. დედას კიბო სჭირდა და მოვლა სჭირდებოდა. დედის გარდაცვალების შემდეგ კი ოთხ დედმამიშვილს უვლიდა. მერე მუშაობა დაიწყო და სწავლისთვის დრო აღარ რჩებოდა. „მე მიყვარდა სკოლა, იქ ბევრი მეგობარი მყავდა და ძალიან დამწყდა გული, რომ მისი მიტოვება მომიხდა“, – ამბობს მარგარეტი. დღეისთვის მარგარეტი მოხუცთა სახლში ცხოვრობს. დიპლომის გადაცემის ცერემონიალიც იქ ჩატარდა. მარგარეტის ნათესავმა იცოდა მისი ოცნების შესახებ. სწორედ, მან სთხოვა სკოლას მარგარეტისთვის სიურპრიზის მოწყობა. „მარგარეტის გული სკოლის მიტოვების შემდეგ გატეხილი იყო, ეს ცერემონიალი დაეხმარება, მისი ტკივილები ნაწილობრივ მაინც განიკურნოს“, – განაცხადა მღვდელმა, გრეგ დერჯიმ. მარგარეტს ორი შვილი, ოთხი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი ჰყავს.

*lenta.ru*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99



შვილი დედას ეკითხება:

– დედიკო, დედიკო, სკლეროზი რა არის?

– რა მკითხე?

– როდის?

*****

– როცა 2 მეტრის სიღრმეში ხარ, მაშინ ყველას უყვარხარ!..

*****

– რამდენიმე საათის წინ საგადასახადო ინსპექციის მთავარ ოფისში ხანძარი გაჩნდა. მოქალაქეები ეხმარებოდნენ, რითიც შეეძლოთ: შეშით, ნახშირით, ბენზინით...

*****

სტუმრების მოლოდინში რაბინოვიჩი ცოლს აფრთხილებს:

– სადღესასწაულო სერვიზი შეგიძლია გამოიღო, მაგრამ ვერცხლის დანა-ჩანგალი მაგიდას არ გააკარო!

– საყვარელო, ნუთუ ფიქრობ, რომ სტუმრები დანა-ჩანგალს მოგვპარავენ?

– არა, ჩემო სარა, ვფიქრობ, იცნობენ!..

*****

დამშვიდობება ინგლისურად – მიდიხარ და არ ემშვიდობები.

დამშვიდობება ქართულად – ემშვიდობები მინიმუმ 10-ჯერ, მაგრამ არა და არ მიდიხარ...

*****

საშუალო სტატისტიკური მამაკაცის ცხოვრების პერიოდები:

– პირველი 20 წლის მანძილზე დედა მუდმივად ეკითხება, სად მიდის.

– შემდეგი 40 წლის მანძილზე ახლა ცოლი უსვამს იმავე კითხვას.

– და როცა კვდება, კუბოს გარშემო შეკრებილები უმეორებენ ისევ იმავე კითხვას, თანაც ძალიან ბევრჯერ...

*****

– მასწავლებელო, არ დამიწეროთ ორიანი, თორემ რომ გავიზრდები და მდიდარი გავხდები, ძალიან ინანებთ!

– გაჩუმდი, და წერა განაგრძე, ბიძინა!!!

*****



– კოტე, რას აკეთებ?

– სკამს – სიდედრისთვის.

– ბევრი დაგრჩა?

– არც ისე – მხოლოდ ელექტროსადენებსღა შევაერთებ და ეგ არის...

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ***

***დავით ახობაძის ნახატი***

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## რატომ ეცხადებიან სიზმრებში გარდაცვლილები ცოცხლებს



სტატისტიკის თანახმად, ქალების 60 და მამაკაცების 40 პროცენტი სიზმრებში გარდაცვლილ ნათესავებსა და ახლობლებს ხედავს. სიზმარში შეხვედრილი მონატრებული ადამიანები ერთმანეთს ეხვევიან, საუბრობენ, რაღაცაში თანხმდებიან, შეიძლება იკამათონ კიდეც... ამ უჩვეულო მოვლენის ახსნას ამერიკელი მეცნიერები შეეცადნენ.

მკვლევარების თქმით, ცხოვრების რთული წესი – გამოუძინებლობა, ტელევიზორთან გვიანობამდე ჯდომა, მაღვიძარები და ასე შემდეგ, სიზმრის ნახვის შესაძლებლობას სპობს და მხოლოდ ღრმა ძილის დროს შეიძლება ისეთი სიზმრის ნახვა, რომელსაც ადამიანი იმახსოვრებს. გარდა ამისა, ბევრი მიიჩნევს, რომ სიზმრები ჩვეულებრივი შემთხვევითობაა და მას რეალობასთან არავითარი კავშირი არ აქვს, რაც, ამერიკელი მეცნიერების თქმით, დიდი შეცდომაა.

თავის ტვინის დეტალურმა შესწავლამ აჩვენა, რომ შუბლისწინა მონაკვეთი, ადგილი, რომელიც ლოგიკურ აზროვნებაზეა პასუხისმგებელი, ძილის დროს ითიშება, თუმცა აქტიურდება ტვინის სხვა მონაკვეთები, რომლებიც წარმოდგენებთან და ემოციებთან არიან კავშირში და შესაბამისად, ადამიანი ხედავს იმას, ვისზეც და რაზეც ერთხელ მაინც უფიქრია...

1999 წელს გლენ ლორდის 4 წლის ვაჟი ნუშისებრი ჯირკვლის ამოკვეთის შედეგად გარდაიცვალა. ტრაგედიის შემდეგ ლორდი სიზმრებში ნახულობდა, რომ მისი შვილი გაიზარდა და ჯანმრთელ ზრდასრულ ადამიანად იქცა. გულნატკენ მამას ასეთი სიზმრები ძალიან ამშვიდებდა, მაგრამ 2002 წელს მას ესიზმრა, თითქოს, ვაჟმა ორი ახალგაზრდა ყმაწვილი გააცნო.

– მან ამიხსნა, რომ უნდა წასულიყო, ჩემთან კი მისი მეგობრები უნდა დარჩენილიყვნენ, – იხსენებს გლენ ლორდი, – როცა გავიღვიძე, მეუღლეს ვუთხარი, რომ შვილი აღარასოდეს დამესიზმრებოდა და მართლაც ასე მოხდა.

გლენ ლორდის აზრით, ბოლო სიზმრით შვილმა აცნობა, რომ თავად კარგად იყო და რომ არსებობენ სხვა ადამიანებიც, ვისაც გვერდში დგომა და დახმარება სჭირდებოდა. აქედან გამომდინარე, ლორდმა და მისმა მეუღლემ ორი მცირეწლოვანი ბავშვი აიყვანეს და მათ აღზრდაზე გადაერთვნენ...

მსგავსი მაგალითები ამერიკელმა მეცნიერებმა მრავლად მოიძიეს და დაადგინეს:

– თავის ტვინის კონკრეტული მონაკვეთები, რომლებიც წარმოდგენებთან და ემოციებთანაა კავშირში, უხილავი ძალებით უკავშირდება ირეალურ სამყაროს და გარკვეულ ინფორმაციას იღებს, რომელთა უდიდესი ნაწილი ხშირად, გამოუსადეგარია, თუმცა არსებობს შემთხვევები, როცა მიღებული ცნობები გასათვალისწინებელია. ამდენად, სიზმრებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და ეს ადამიანებს კარგად უნდა ესმოდეთ...

*newsru.com*

## ადამიანს ტყუილის თქმის სურვილი განსაკუთრებით შუადღის შემდეგ უჩნდებაო

ერთ კაცს იმდენად კარგად გამოსდიოდა მამალივით ყივილი, შუაღამეზეც რომ ეყივლა, მზე ამოდიოდაო...



მოგეხსენებათ, აქვს ადამიანს ტყუილის თქმის განსაკუთრებული უნარი, რომელიც თურმე, ყველაზე მეტად შუადღის შემდეგ ძლიერდება.

სპეციალისტების განმარტებით, დილიდან ადამიანი იმდენად ძლიერი ფსიქოლოგიური გავლენის ქვეშ ექცევა და ამის მიზეზი უამრავი შეიძლება იყოს, დღის მეორე ნახევარში ტყუილის თქმის სურვილი განსაკუთრებით მძაფრდება.

ჰარვარდის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ოთხი ექსპერიმენტი ჩაატარეს, რათა დაედგინათ, როგორ მოქმედებს ადამიანის მორალურ ქცევებზე დღის სხვადასხვა მონაკვეთი.

თითოეული დავალებისას ექსპერიმენტის მონაწილეებს ტყუილისთვის ფინანსური სტიმული ეძლეოდათ და პრაქტიკულად ყველა უფრო უკეთ დღის მეორე ნახევარში ცრუობდა.

სპეციალისტების განმარტებით, ადამიანები, რომელთაც, ზოგადად, ტყუილის თქმა აწუხებდათ, სიცრუისკენ სწორედ დღის მეორე ნახევარში იყვნენ მიდრეკილები, ხოლო ისინი, ვინც ტყუილს სინდისის ქენჯნის გარეშე ამბობდა, ნებისმიერ დროს უპრობლემოდ აფერისტობდა.

საბოლოო ჯამში, დასკვნა ასეთია:

– ადამიანის ტვინი დღის მანძილზე იმდენად იღლება, რომ სხვადასხვა საკითხის მოგვარებას დღის მეორე ნახევარში სიცრუით ამჯობინებს...

*pronowosti.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**4 ნოემბერი:** რაღაც მიზნის მისაღწევად იქნებით შემართული, მაგრამ მიზნის არსი ბოლომდე არ გეცოდინებათ. ვინც თქვენს სურვილებში ეჭვს შეიტანს, კარგი დღე არ ელის.

**კურო 22.04-21.05**

**4 ნოემბერი:** წინა პლანზე ფინანსური პრობლემები წამოიწევს. ეს სიახლე არაა, მაგრამ ზედმეტად გაღიზიანებაც არაა სასურველი.

**ტყუპები 22.05-21.06**

**4 ნოემბერი:** სენტიმენტალურად იქნებით განწყობილი. ამიტომ მხიარულ კამპანიებს მოერიდეთ. შესაძლოა, უნებლიეთ გაწყენინონ და არც კონფლიქტია გამორიცხული.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**4 ნოემბერი:** გარშემომყოფებთან ურთიერთობაში სიფრთხილე გმართებთ. ნუ იქნებით ქედმაღალი და საუბარში ხმას არ აუწიოთ, თავადვე დაზარალდებით.

**ლომი 23.07-22.08**

**4 ნოემბერი:** საკმაოდ ენერგიული იქნებით და საგმირო საქმეებისთვის შემართული. დასანანი იქნება, ამ ენერგიას უაზრობებში თუ დახარჯავთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**4 ნოემბერი:** თავს ემოციურად სუსტად იგრძნობთ. საუკეთესო გამოსავალი იქნება, თუკი სადმე განმარტოვდებით და კონტაქტებს შეზღუდავთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**4 ნოემბერი:** აუცილებლად უნდა გაგიმართლოთ. თქვენი ამოცანაა, კარგად დააკვირდეთ მოვლენებს და დაინახოთ, რაში გაგიმართლათ.

**მორიელი 23.10-21.11**

**4 ნოემბერი:** თქვენთვის უჩვეულო, ლირიკულ განწყობაზე იქნებით და ხვალ შეიძლება ახსნა ვერ მოუძებნოთ თქვენს ამა თუ იმ ქმედებას.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**4 ნოემბერი:** უმეტესწილად ბრძნული საუბრებით იქნებით დაკავებული. ზოგიერთ თქვენს ნათქვამში სასარგებლო ინფორმაციებიც გაიჟღერებს. ჭორები ახალ ამბებში არ აურიოთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**4 ნოემბერი:** დღევანდელი მოვლენები შეგმატებთ რწმენას, რომ დრო კიდევ გაქვთ და ბევრ რამეს მოასწრებთ. იმოქმედეთ, არც ერთი საქმის გადადება არ ღირს.

**მერწყული 20.01-18.02**

**4 ნოემბერი:** ყურადღებით იყავით, თქვენი მდგომარეობის გამოსწორების საუკეთესო საშუალება მოგეცემათ, მაგრამ ამ ყველაფერს დანახვა უნდა.

**თევზები 19.02-20.03**

**4 ნოემბერი:** შეიძლება დღეს გაუბედავი იყოთ და ნებისმიერ საკითხზე ყოყმანი დაიწყოთ. ძალიან რომ არ იწვალოთ არჩევანის გაკეთებაზე, ახლობლების რჩევებს მიენდეთ.

2015 წლის 03 ოქტომბერს შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილებაში მოქალაქე ალი აბდულქარიმ მთერანმა, დაბ: 22.09.1996, პასპორტის/ნ: A4076891, მცხ: ქ.თბილისი, გაზაფხულის ქ. №17, განაცხადა, რომ მიმდინარე წლის 01 ოქტომბერს მან, სავარაუდოდ, ქ. თბილისი, ავლაბარი, მშვიდობის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე დაკარგა მისი კუთვნილი ერაყის მოქალაქის პასპორტი ნომრით: A4076891.

*გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და დაუბრუნოთ ჩვენს უცხოელ სტუმარს კუთვნილი პასპორტი.*

*საკონტაქტო პირი: 558095090 სანდრო*

## ადამიანს საკუთარი ენის ჩაყლაპვა არ შეუძლია



საუბარი არ ეხება შემთხვევას, როცა ვიღაც არამზადა მსხვერპლს ამ მნიშვნელოვან ორგანოს ამოაჭრის და შეჭმას აიძულებს: ასეთი ფაქტები, სამწუხაროდ, ისტორიისთვის ცნობილია. აი, დამხმარე ადამიანებისა და ბასრი ნივთების გარეშე, ენის არათუ გადაყლაპვაა შეუძლებელი, არამედ ყელში მისი ღრმად შეწევაც – ენა საიმედოდაა დაფიქსირებული ლაგამით, რომელიც მის ქვედა ნაწილს პირის ღრუს ფსკერთან აერთებს.

სპეციალისტების განმარტებით, ეპილეფსიური გულყრის დროს ენით გაგუდვის საშიშროება ჩნდება, მიუხედავად მისი ზომებისა და ლაგამის შეერთების ადგილისა, თუმცა, როგორც წესი, ასეთი შემთხვევები ძალიან იშვიათია.

ეპილეფსიით დაავადებულთა გარდაცვალების მიზეზი როგორც წესი, მათივე ნერწყვი ან გულისრევა ხდება, რადგან უგონო მდგომარეობაში ადამიანს ამოხველების უნარი არ აქვს, რის გამოც ფიზიოლოგიური გამონადენები სასუნთქ სისტემაში ხვდება – ასეთ დროს საჭიროა მხოლოდ ავადმყოფის გვერდზე გადაბრუნება, რათა ენამ ჰაერის ნაკადის მოძრაობას ხელი აღარ შეუშალოს ან ნერწყვი თუ ნარწყევი ფილტვებში არ მოხვდეს.

*zablugdeniyam-net.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



სახანძროში ზარია:

– მორიგე ხართ? ჰოდა, მომისმინეთ: შარშან მარიხუანა დავთესე, „ტრუხა“ აღმოჩნდა, არაფერში გამომადგა...

მორიგე აწყვეტინებს:

– შენ ხომ არ გადარეულხარ?! სახანძროში რა გინდა, მიდი და ნარკოლოგიურში დარეკე!

10 წუთში ისევ ზარია:

– იმას გეუბნებოდით, წელსაც დავთესე, მაგარი მოსავალია, ძმაო, სასწაულად მოაქვს...

– ხომ გითხრეს, ნარკოლოგიურში დარეკეო?! აქ არაფერი გესაქმება!

20 წუთში ისევ იგივე ტიპი რეკავს:

– მომისმინეთ, მე ვარ... არ გამითიშოთ... მეზობლის სახლი იწვის... როცა მოხვალთ და ცეცხლის ჩაქრობას დაიწყებთ, ფრთხილად იყავით, მოსავალი არ გამითელოთ, თორემ დაგხოცავთ ყველას!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია ≫ 21135945 7 კვირის ქრონიკა

გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი (577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე 599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური ☎ 2-333-170 577-444-442 მიხეილ სახვაძე 221 21 80 (შიდა ნომერი 108) E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.55